745/2ო 15579

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. რეგულარული ნომერი გამოდის ყოველი თვის 23 რიცხვში.
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №7 (2017) 24.11.2005 • ფასი 50 თეთრი

სეპარატიზმი

მე-2-7 გვ.

იყიდება საქართველო!

მე-10 გვ.

აკად. დ. მუსხელიშვილი

მე-8 გვ.

შუა საუკუნეების საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურის ისტორიისათვის

მსოფლიო შეთქმულება (თუ – მხოლოდ საერთაშორისო შეთქმულება?) საქართველოს წინააღმდეგ



მე-2 გვ.

უცნაური ქაჯეთი

მე-9 გვ.

სხვა ქვეყნები სუქდებიან, ამერიკა ხდება. რატომ? და რა შედეგით?



მე-13 გვ.

გერმანია ჯერ კიდევ გზაჯვარედინზეა

მე-15 გვ.

და მასთან ერთად — ევროპაც. ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილი მაინც

უკრაინის სამზარეულოში

მე-10 გვ.



სავალუტო ფონდი და დემოკრატია

მე-11 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო შეთქმულება
(თუ - მხოლოდ საერთაშორისო შეთქმულება?)
საქართველოს წინააღმდეგ

რატომ „მსოფლიო"? იმიტომ, რომ ჩვენ დამკვიდრებას ვეძებთ მსოფლიოში, რომელშიც ჯერ არ ვართ: გვინდა მოვიპოვოთ მასში სტაბილური ადგილი და მდგომარეობა. იმისთვის, რომ. ეს შევძლოთ, ყველა სხვამ უნდა „ჩაიჩოჩოს" ცოტა მაინც: ზოგმა ერთი მილიმეტრით, ზოგმა ერთი სანტიმეტრით და ზოგმა კილომეტრით. საკუთარი ნებითა და ინიციატივით იმ მილიმეტრს არავინ დათმობს. თუ, მაგალითად, საქართველომ კარგი წიწმატი მოიყვანა და წიწმატის მსოფლიო ბაზარზე ადგილის მოპოვება მოიწადინა, გამოჩნდებიან დაინტერესებულნი, მას წიწმატის თესვაზე ხელი ააღებინონ, როგორც დღეს ცდილობენ გლეხს ვაზი ააჩეხინონ. ეს არც საწყენია, არც შეურაცხმყოფელი. მსოფლიოში ყველა ყველას ებრძვის, გარდა მოკავშირეებისა. ჩვენც ბრძოლის წესები უნდა ვისწავლოთ და ჩვენი გავიტანოთ.

რატომ შეიძლება ეს შეთქმულება იყოს არა მსოფლიო, არამედ მხოლოდ „საერთაშორისო", ანუ მოიცავდეს არა მთელ მსოფლიოს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს? იმიტომ, რომ მსოფლიოს დიდ ნაწილს ის მილიმეტრი დიდ არაფრად უღირს და ჩვენთან საბრძოლველად არ სცხელა. სამაგიეროდ დანარჩენთა საერთაშორისო მოქმედება, ანუ მსოფლიოს მრავალი ძალის ჯგუფური მოქმედება ჩვენი ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ არც აგვცდომია და არც აგვცდება. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით მხოლოდ „ერის წინააღმდეგ", და არა „ქვეყნის წინააღმდეგ". რადგან ქვეყანა „საქართველოს" აღმოფხვრა გეოგრეფიული ნომენკლატურიდან არავის სჭირდება. ბრძოლა მიმდინარეობს მხოლოდ ქართველი ერის მოსასპობად, როგორც ერისა, და მის ნამოსახლარზე უქართველებო — ან თითქმის უქართველებო, — საქართველოს შესაქმნელად.

სცენარი ასეთია, ვასახელებთ მხოლოდ მის ძირითად ხაზებს): საქართველოში მიმდინარეობს ორი ურთიერთდამოუკიდებელი პროცესი. პირველი: ეკონომიკა ინგრევა (ხელოვნურად), მოსახლეობა საქართველოდან გადის. მეორე: ძირითადი ეკონომიკური სიმძლავრეები (ჰესები, საბადოები, პორტები, რკინიგზა, სანაოსნო, აეროდრომები, რაც მთავარია — მიწა) გადადის უცხოელთა საკუთრებაში. როცა ორივე ამ პროცესების შედეგები მიაღწევს (ურთიერთდამოუკიდებლად) რაღაცა წინასწარ განსაზღვრულ ნიშნულს (ვთქვათ, საქართველოში დარჩება ერთი მილიონი ქართველი და უცხოელთა ხელში გადავა ძირითად ეკონომიკურ სიმძლავრეთა 60%), მაშინ მიიცემა სიგნალი (გარედან) და საქართველოში შემოვარდება უცხო მოსახლეობის მასა. იგი დასაქმდება ეკონომიკურ სიმძლავრეთა ამ 60 პროცენტში (რადგან ახალ მესაკუთრეს უფლება ექნება ის დაასაქმოს, ვისაც მოისურვებს) და მაშინ აიშვება მუხრუჭი: დაიწყება საქარათველოში ეკონომიკური აყვავება. საქართველო სულ მოკლე დროში გახდება მდიდარი, კეთილდღიანი ტერიტორია, რომელსაც ან ისევ „საქართველო" ერქმევა, ან რაღაც სხვა სახელი, მას ან დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ექნება, ან მისი ნახევარი, მაგრამ ქართული აღარ იქნება. შესრულდება ის, რასაც მრავალნი ნატრობდნენ (მათ შორის — ანდრეი სახაროვი) და ნატრობენ — შეიქმნება უქართველებო საქართველო.

ეს სცენარის მხოლოდ არამეცნიერული, ასე ვთქვათ — „მდაბიური ენით" გადმოცემაა. იგივე რომ მეცნიერულთან ცოტა მიახლოებული ენით გადმოვცეთ, დაგეგმილი ოპერაციის დედაძარღვი შეგვიძლია ასე დავახასიათოთ: საქართველოში უნდა შეიქმნას ასეთი კომბინაცია: მსოფლიოში კონკურენტუნარიანი წარმოებისათვის საკმარისი ბუნებრივი ბაზა შეთქმულთა საკუთრებაში, ერთის მხრივ, და შრომისუნარიანი კვალიფიციური არაქართველი მოსახლეობა, რომელიც ამ ბაზას რაციონალურად გამოიყენებს, მეორეს მხრივ. ეს სიცოცხლისუნარიანი, უფრო მეტიც — ექსპანსიისუნარიანი კომბინაციაა, რომელსაც ახალი ხელშეწყობა არ სჭირდება არც არსებობისათვის, არც ზრდისათვის, არც ადგილზე გაბატონებისათვის. ამგვარად, პროცესის დანარჩენი ნაწილი უკვე გარედან ჩარევის გარეშე, ბუნებრივად მოხდება. რაკი ეს კომბინაცია — ეს ჯანსაღი და უძლეველი ძალა — შეიქმნება, მის არსებობასა და განვითარებას ვეღარ დაემუქრება ვერც ხელისუფლების შეცვლა, ვერც ახალი კანონმდებლობა, ვერც რაგინდარა ენერგიული ზომები სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარად, ამით მოიხსნება საქართველოში მარიონეტულ ხელისუფლებათა კულტივაციის საჭიროებაც: საქართველოში შესაძლებელი იქნება, ეკონომიკურ ბუმთან ერთად, ჭეშმარიტი დემოკრატიის დაწყებაც, რომელშიც ახალი უმრავლესობა ისე აღგვის ძველ უმციერესობას, რომ არც ერთი არსებული ნორმის დარღვევა არ მოუხდება.

ვინ იქნება ის ახალი მოსახლეობა, რომელმაც, გეგმის თანახმად, ემიგრირებული ქართველების ადგილი უნდა დაიკავოს? მათი ნაწილი შედგენილი იქნება, უეჭველია, იმ

ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილი პრეზიდენტები

მეზობელი ერებისაგან, რომლებიც საქართველოს დემოგრაფიულ დაპყრობას დღევანდელ პირობებშიც ცდილობენ და დღემდისაც ცდილობდნენ. ნაწილი იქნება, უეჭველად, იმ დემოგრაფიულად აგრესიული არაევროპული მასების პროცენტის პროცენტის პროცენტი, რომლებიც დღეს ევროპას ტბორავენ. მაგრამ რთულია არა ამათი, არამედ მესაკუთრედ ნაგულისხმევი კონტინგენტის ვინაობის პროგნოზირება. ამ მხრივაც ზოგი რამ უკვე ვიცით. სახელდობრ, ვიცით ის, რომ ენერგეტიკული ობიექტების ყველაზე აქტიური მყიდველია რუსეთი. მან იყიდა მადნეულიც (ინგლისელი პარტნერების ზურგს უკან ამოფარებით), თითქმის ნაყიდი ჰქონდა (თუმცა ყიდვის ოპერაცია ბოლოს ჩაეშალა) ისევ სხვის ზურგს უკან, ბათუმის პორტი, ყიდვას უპირებს რკინიგზას. ჩუბაისის კომპანიამ თუ ხუდონჰესის მშენებლობა დაიწყო, ის მუშებად და, რაც უარესია, სპეციალისტებად, რა თქმა უნდა, რუსებს შემოიყვანს. მაგრამ მესაკუთრეებად ძირითადად იქნებიან სხვანი, ვისაც, ტრადიციულად, თვითიდენტიფიკაცია ნაკლებად აქვთ შეზღუდული პასპორტით, ვიდრე გენეტიკითა და რელიგიით, და რომელთაც მსოფლიოში დღეს უძლიერესი ფინანსური და პოლიტიკური პოზიციები აქვთ.

კითხვა დგას, ბუნებრივია, როგორ უყურებენ რუსეთის ზემოხსენებულ ახალ დამკვიდრებას რუსეთის მთავარი მოპირისპირენი — ამერიკელები? ცხადია, უარყოფითად, მაგრამ დასმული კითხვა ერთგვარად შერბილებულია იმით, რომ იმ ზემოხსენებულ პოტენციალურ მესაკუთრეებს ამერიკაშიც დიდი გავლენა აქვთ (უფრო ზუსტად — აშშ ერთი იმ ქვეყანათაგანია, რუსეთთან. ერთად, სადაც მათ ყველაზე დიდი გავლენა აქვთ.). მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის მომსვლელთა კონკრეტული ვინაობა ნაკლებ არსებითია. მთავარია, რომ უცხოელნი იქნებიან და ერთიანი გეგმის ელემენტები იქნებიან.

საქართველოს ნგრევის სხვა მიმართულებები. სახელდობრ, ა) მისი დაქუცმაცების კურსი, რომელიც შედგება არაქართული სეპარატისტული მოძრაობების ორგანიზაციისაგან და საქართველოს ფედერალიზაციის მხარდაჭერისაგან, ბ) მასში განათლებისა და მეცნიერების ჩაკვლის კურსი და გ) მისი მოსახლეობის ზოგადი მენტალური დეგრადაციის ორგანიზების კურსი (რასაც ძირითადად ანგაჟირებული მედია ემსახურება) ამ ძირითადი სცენარის შემავსებელი, დამატებითი ზომებია.

საქართველო დღეს თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ჯვარედინზე დგას. მის გადარჩენას ხანგრძლივი და ორგანიზებული საერთოეროვნული ძალისხმევა სჭირდება.

საქართველოს სახალხო ფრონტი

საერთო-ეროვნულიძალისხმევა, რომელიც საქართველოს გადარჩენას სჭირდება, დღეისათვის ორი ნაწილისგან შედგება. ერთია ელიტარული მოქმედება, ანუ მცირერიცხოვანი (ან შედარებით მცირერიცხოვანი) მოქალაქეების შრპომა და ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბირთვის შესაქმნელად. სახელმწიფოებრიობის ბირთვი არის, პირველ ყოვლსა, მდგომარეობის ცოდნა და არსებული კრიტიკული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსვლის შესაძლებელ გზათა ხედვა, რაც რეალური ფაქტების რაც შეიძლება სრულ გათვალისწინებას (აღრიცხვას) და ანალიზს მოითხოვს. მეორეც, ეს არის მტკიცე და სათანადოდ კვალიფიცირებულ ადამიანთა (მოქალაქეთა) ჯგუფი (ჯგუფები), რომელნიც დარგობრივად არიან დასპეციალებულნი და კონკრეტულად იციან, რომელ სფეროში (დარგში) (ტერიტორიის აღდგენაში, წესრიგის დაცვაში, საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ეკოლოგიაში, განათლებაში, ჯანდაცვაში, სოცდაცვაში და ა.შ.) რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ (და რა თანმიმდევრობით), რომ გადარჩეს და წინ წავიდეს. ანუ: უნდა შეიქნას ხელი, რომელიც მზად იქნება, რომ სახელმწიფო საჭე დაიჭიროს. დღეს საქართველოში ასეთი ხელი არ არსებობს. საქართველოს არსებული ხელისუფლება არა მხოლოდ ორგულია ქვეყნისა, არამედ უსუსურიც (მოკლებული მდგომარეობის რეალურ ხედვას, სამომავლო გეგმას და მოქმედების უნარს). ასევე უსუსურია (და როგორც ზემოხსენებლ ცოდნას, ასევე ზემოხსენებულ ქმედითობას მოკლებულია), სამწუხაროდ, ის „ოპოზიციური" ნაწილიც ხელისუფლებისა, რომელიც ჩანს. სახელმწიფოებრიობის ეს ბირთვი უნდა ჩამოყალიბდეს მოქმედების (ბრძოლის) პროცესში: მან ყველა ცალკეულ ვითარებაში უნდა იცოდეს, რა სჭირდება (რა ნაბიჯის გადადგმა ჰმართებს) საქართველოს და, ქვეყნისა და ხალხის ინტერესთა სახელით, ეკონტაქტებოდეს საქართველოს პარტნერი ქვეყნების წარნმომადგენლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს (ეპაექრებოდეს ან, პირიქით, მხარს უჭერდეს მათს კურსს) საქართველოსათვის სასიცოცხლო ყველა საკითხზე. საქართველოს ეროვნულად აქტიური პოლიტიკური ძალები — მისი ნამდვილი (და არა მოჩვენებითი პოლიტიკური ელიტა — უნდა აკეთებდეს იმ საქმეს, რომელსაც ხელისუფლება უნდა აკეთებდეს, მაგრამ ვერ აკეთებს ან არ აკეთებს. ამას ეს ელიტა უნდა აკეთებდეს ხელისუფლების გვერდის ავლით და ხელისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაუპირისპირდეს კონფლიქტურად ამ კონკრეტულ საკითხზე, როცა ამას თვით საკითხის საჭიროება მოითხოვს.

მეორე მხარე საერთო-ეროვნული ძალისხმევისა არის მასობრივი მოქმედება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და გასატანად. ასეთი გამოსვლებისათვის დღეს (სხვა ამოცანათა გარდა, რომელთაც მომენტის საჭიროება მოიტანს) თვალსაჩინოა ორი ამოცანა: „ქუჩის" აქციებით მიღწეული უნდა იქნას რეალური საარჩევნო კანონის მიღება (რადგან არსებული კანონმდებლობით არჩევნები შეუძლებელია) და ყველა ქალაქის მერების არჩევითობა. ამ ორი მიზნისათვის მასობრივი გამოსვლა, სავარაუდოდ, აუცილებელი იქნება, რადგან დღევანდელი ხელისუფლება უუფლებო თანამონაწილეა იმ საერთაშორისო შეთქმულებისა ქართველი ერის წინაალმდეგ, რომელზეც ლაპარაკობს საქარტველოს სახალხო ფრონტის გამგეობის (ეროვნული დარბაზის) განცხადება (იხ. აქვე ზემოთ) და მისი მმართველობის გაგრძელება (მით უმეტეს — განახლება კიდევ ერთხელ გაყალბებული არჩევნების გზით) შეუთავსებელია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან.

* * *

გაზეთი „საქართველო" სიღრმისეულად განიხილავს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემებს. ამჯერად ჩვენი თემაა აფხაზეთის პრობლემის ერთი მხარე.

აფხაზეთის «სუვერენიტეტი» მიზანმიმართულად ანტიქართული გეგმაა

ე.წ. ბოდენის დოკუმენტი, რომელიც გაერაში დევს, როგორც „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის" დარეგულირების გეგმა, შეიცავს ორ ისეთ მომენტს, რომლებიც, — თითოეული ცალცალკე, — ნიშნავს აფხაზეთის გასვლას საქართველს შემადგენლობიდან უახლოეს მომავალში. ერთია ის, რომ „აფხაზეთისა" და „საქართველოს" ერთობლივი სახელმწიფო, ამ დოკუმენტის მიხედვით, იქმნება ამ ორი ერთეულის ხელშეკრულების („ფედერალური შეთანხმების") საფუძველზე, ანუ იმგვარ საფუძველზე, რომლის დარღვევა ყოველთვის შეიძლება იმ სემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულებაში იქნება დათქმა, რომ მისი დარღვევა არ შეიძლება (ხელშეკრულების დარღვევა, რაც ყველა სუბიექტის შეუვალი უფლებაა, ეხება ხელშეკრულებას მისი „დათქმებითურთ". ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება ისჯებოდეს, მაგრამ არავის აქვს უფლება მხარეს მისი დარღვევა აღუკვეთოს). ამგვარად, ბოდენის გეგმით, აფსუა („აფხაზი") სეპარატისტულ ძალებს, ეძლევათ ხელთ იურიდიული მექანიზმი საქართველოდან აფხაზეთის სეცესიისთვის (გამოყოფისთვის), რომელიც დღესდღეობით არ არსებობს. მეორე ასეთი მომენტია ის, რომ აფხაზეთს, ბოდენის პროექტის მიხედვით, აქვს „სუვერენობის" სტატუსი: იგი არის „სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს შემადგენლობაში". სიტყვა „სუვერენული" ნიშნავს მხოლოდ „გარეთკენ დამოუკიებელს და შიგნითკენ უზენაესს", ანუ გარეგანი ძალებისაგან დამოუკიდებელს და შიგნით (თავის ტერიტორიაზე) თავისი ნების განხორციელების უფლებამოსილს ყველა სხვა ამ ტერიტორიაზე არსებულ სუბიექტთა უზენაესად. ამ ტერმინის ხმარება აფხაზეთის მიმართ ნიშნავს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას და, ამდენად, მისი ხმარება აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისას, როგორც საქართველოსთან ხელშეკრულებით ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული ერთეულისას, ცალსახად ნიშნავს იმას, რომ ეს სახელმწიფო არის კონფედერაცია — ურთიერთდამოუკიდებელთა შეთანხმება გაერთიანებს შესახებ, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება კვლავ გაყოფილ (დაშლილ) იქნას.

ბოდენის ამ გეგმის უარყოფა, — მისი მიუღებლად გამოცხადება ოფიციალური წესით, — საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან არ მოხდა, თუმცა ეს უკანასკნელი თავს იურისტად თვლის და ვალდებულია, ამ სიტყვის მნიშვნელობა ესმოდეს, ისევე, როგორც სახელშეკრულებო კავშირის დარღვევადი ხასიათი. უფრო მე-

გაგრძელება მესამე გვერდზე

დასაწყისი იხ. მე-2 გვერდზე

ტიც: ბოდენის გეგმის მხარდასაჭერად თვითმარქვია „ექსპერტის“ პ. ზაქარეიშვილის და ძალიან ყხვად დაფინანსებული რამდენიმე ამდენადვე შემთხვევითი ქართველი მოხალისის შემადგენლობით შექმნილმა ჯგუფმა შექმნა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გეგმა, რომელიც მოიცავს „აფხაზეთსა“ და „საქართველოს“ შორის „ფედერალურ შეთანხმებას“ ერთობლივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელშიც აფხაზეთი იქნება „სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნის“ სტატუსით. ეს ტექსტი რადიკალურად იქნა გაკრიტიკებული ქართულ პრესაში და ეს კრიტიკა უპასუხოდაა დღესაც. მაგრამ პროექტის პოპულარიზაცია მასმედიაში გრძელდება და მისდამი ხელისუფლების სიმპათიის არაპირდაპირი გამოვლენაა ის ფაქტიც, რომ მისი ერთერთი ავტორი კ. კუბლაშვილი, არაფრით არ გამორჩეული ახალგაზრდა იურისტი, რომელმაც ზემოხსენებულ კრიტიკას ვერ უპასუხა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ბოდენის გეგმის მხოლოდ ერთი ზემოხსენებულ ორ მომენტაგანი — ტერმინი „სუვერენული“. ჩვენი ინტერესის მიზეზი ისაა, რომ კულუარულად, — პუბლიკაციის გარეშე და, მით უმეტეს, დასაბუთების ან ილუსტრაციის გარეშე — ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს სახლმწიფოთა (მათ შორის — სუპერსახელმწიფოთა) სუვერენიტეტის ფაქტობრივი კვეცის მსოფლიოპოლიტიკური პროცესი (პროცესები), რის მოწმენიც ვართ (იგულისხმება: მისი კვეცა მათი საერთაშორისო სამართლებრივი მოვალეობების ზრდის მიმართულებით მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, რაც ეხება მხოლოდ ადამიანური უფლებებისა და ეკოლოგიის საკითხებს, მაგრამ არა სხვას), ცვლის ტერმინ „სუვერენულის“ შინაარსს და, ამგვარად, აუქმებს — ან ნაწილობრივ აუქმებს, — ბოდენის დოკუმენტში ამ სიტყვის ხმარებიდან იმ დასკვნის გამტანის აუცილებლობას, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა ხდება. ეს დებულება ყალბია. სიტყვა „სუვერენული“ დღესაც, ისევე როგორც ტრადიციულად, ნიშნავს მხოლოდ „გარეთკენ დამოუკიდებელს და შიგნითკენ უზენაესს“ და, ამდენად, ბოდენის დოკუმენტის შემოთავაზებით საქართველოს ეძლევა წინადადება, თავისი ტერიტორიის ერთი ნაწილის — აფხაზეთის — დამოუკიდებლობა ცნოს. საბუთად იძულებულნი ვართ მოვიყვანოთ ორი კომპეტენტური და საყოველთაოდ აღიარებული პოზიცია ამ საკითხზე — ერთი ამერიკული, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოდან მომდინარე, მეორე გერმანული, როგორც ყველაზე დიდი ფილოსოფიური კულტურის ქვეყნიდან მომდინარე. პუბლიკაციებს მივართმევთ საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიას და პარლამენტს, რათა შეუძლებელი გახდეს მათ მიერ სიტყვის „სუვერენული“ დღევანდელი შინაარსის არცოდნის და, აქედან გამომდინარე, ბოდენის დოკუმენტში მისი გამოყენებიდან გამომდინარე შედეგების ვერხედვით სიმულაცია.

The Encyclopedia Now Needs Your Support
Please Read How Ypu Can Help Keep the Encyclopedia Free
www.plato.stanford.edu/entries/sovereignty

სუვერენიტეტი

თუმცა ამ სიტყვის „სუვერენიტეტი“ მნიშვნელობამ ისტორიის მანძილზე ვარიაცია განიცადა, მისი ძირითადი მნიშვნელობა მაინც ერთია — უზენაესი ძალაუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით. იგი პოლიტიკური ძალაუფლების აღმნიშვნელი თანამედროვე ცნებაა. მისი პოლიტიკური ვარიაციები სამ განზომილებაში ხდება: ვინ არის სუვერენიტეტის მპყრობელი, რამდენად აბსოლუტურია სუვერენიტეტი და რომელია მისი შინაგანი და გარეგანი პარამეტრები. სახელმწიფო ის პოლიტიკური ინსტიტუტია, რომელშიც სუვერენიტეტი ხორციელდება. სუვერენულ სახელმწიფოთა შენაერთი ქმნის სახელმწიფოთა სუვერენულ სისტემას.

სუვერენიტეტის ისტორიის გაგება შეგვიძლია ორი ფართო მოძრაობის მაგალითზე, რომლებიც გამოიხატა პრაქტიკული ინსტიტუტების სახითაც და პოლიტიკური აზრის სახითაც. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ განვითარდა სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა, რომელიც დაგვირგვინდა ვესტფალიის ზავით (1648). იმავდროულად სუვერენიტეტი გახდა პოლიტიკური აზრის წამყვანი თემა მაკიაველის, ლუთერის, ბოდენის (BODIN) და ჰობსის ნაწერთა სახით. მეორე მოძრაობა გახლავთ სუვერენული სახელმწიფოს შემოსაზღვრა (შემოზღუდვა), რომელიც პრაქტიკაში დაიწყო II მსოფლიო ომის შემდეგ და მას აქეთ გრძელდება ევროპული ინტეგრაციის სახით, ერთის მხრივ, და ადამიანის უფლებათა დამცველი კანონებისა და შესაბამისი პრაქტიკის გაძლიერების სახით, მეორეს მხრივ.

ყველაზე გამოჩენილი შესაბამისი პოლიტიკური აზრი გვხვდება სუვერენიტეტის კრიტიკოსთა ნაწერებში, როგორნიც არიან, მაგალითად, ბერტრან დე ჟუვენალი და ჟაკ მარიტენი.

1. სუვერენიტეტის განსაზღვრა

თავის კლასიკურ ნაშრომში „მეფის ორი სხეული“ (1957) მედიევალისტი (შუა საუკუნეთა სპეციალისტი. რედ.) ერნსტ კანტოროვიცი აღწერს პოლიტიკური ძალაუფლების ცნების ღრმა ტრანსფორმაციას (გარდაქმნას) შუა საუკუნეთა მანძილზე. ეს ცვლილება მაშინ დაიწყო, როცა ქრისტეს სხეულის ცნება თანდათან განვითარდა ორი სხეულის ცნებად. ერთია Corpus Naturale (ბუნებითი სხეული. რედ.), რომელიც წარმოგვიდგება (ლიტურგიაში. რედ.), როგორც კონსაკრირებული (ნაკურთხი. რედ.) ჰოსტია საკურთხეველში, მეორეა Corpus Mystikum — სოციალური სხეული, ეკლესია თავისი თანმხლები ადმინისტრაციული სტრუქტურებითურთ. ეს უკანასკნელი ცნება, — კოლექტიური სოციალური ორგანიზაციისა, რომლსაც აქვს მუდმივი (არაწარმავალი) მისტიკური არსი, — გადატანილ იქნა, შემდეგ, პოლიტიკურ ერთეულებზე, პოლიტიკურ სხეულზე. შემდეგ კანტოროვიცი აღწერს, როგორ გაჩნდა ამ ცნებიდან გვიან შუა საუკუნეებში მეფის ორი სხეულის იდეა, რომელიც გაცოცხლებულია შექსპირის „რიჩარდ II“-ში და შეიძლებოდა მიჰყენებოდა ახალი დროის პირველი ხანებისდროინდელ პოლიტიკურ სხეულს: თუმცა მეფის ბუნებითი, მოკვდავი სხეული წარვალს მისი სიკვდილის შედეგად, მეფეს, ამ წარმოდგენის თანახმად, აქვს წარუვალი, არაბუნებითი სხეული, რომელსაც ვერ გაანადგურებს მკვლელობაც კი, რადგან იგი წარმოადგენს (ასახიერებს) პოლიტიკური სხეულის მისტიკურ ღირსებასა და სამართლიანობას. თანამედროვე პოლიტეია (სახელმწიფო. რედ.), რომელიც დომინანტურ (გაბატონებულ) ორგანიზაციულ ფორმად ჩამოყალიბდა თანამედროვე ევროპის ქმნადობის გარკვეულ ეტაპზე, ასახიერებდა კოლექტიურობის იმ მახასიათებლებს, რომლებსაც აღწერს კანტოროვიცი: ერთადერთი, გაერთიანებული, ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული, ინტერესთა საერთო სისტემის მქონე და ისეთი ძალაუფლების მიერ მართული, რომელიც ერთ ერთეულადაა შეკრული და უზენაესობა აქვს პოლიტეიის (სახელმწიფოს), როგორც მთელის, ინტერესთა წინ წაწევაში. თუმცა ახალი დროის პირველ ხანებში ასეთი ძალაუფლების მპყრობელნი მეფეები იყვნენ, შემდგომ პოლიტიკაში ასეთი ძალაუფლებით სხვათა აღჭურვაც მოხდა: მათი, ვინც მართავს კონსტიტუციის ძალით, ერებისა, კომუნისტური პარტიისა, დიქტატორებისა, ხუნტებისა და თეოკრატიებისა. თანამედროვე პოლიტეია (პოლიტიკური ერთეული) ცნობილია (აღიარებულია), როგორც სახელმწიფო და მისი ფუნდამენტური მახასიათებელია ის, რომ მას მის შიგნით აქვს ძალაუფლება — სუვერენიტეტი.

კანტოროვიცის მიერ აღწერილი ეს ევოლუცია ფორმატიულია: იგი თანამედროვე პოლიტიკის შემქმნელი არსებითი შტრიხია. ზოგ მეცნიერს ეჭვი ეპარება, არსებობს თუ არა სუვერენიტეტის სტაბილური, არსებითი ცნება. მაგრამ სინამდვილეში არსებობს ამ ცნების იმგვარი დეფინიცია (განსაზღვრება), რომელიც მოიცავს ყოველივე იმას, რაც კი ოდესმე აღუნიშნავს ამ სიტყვას ადრეულ ახალ ევროპაში და რის მიმართაც მას შემდეგ გაჩენილი სხვადასხვა განსაზღვრებები მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენენ. ეს დეფინიცია **უზენაესი ძალაუფლება მოცემულ ტერიტორიაზე**. ეს ის თვისებაა, რომელიც ჰქონდათ ადრეული ახალი დროის სახელმწიფოებს, მაგრამ არ ჰქონდათ პაპებს, იმპერატორებს, მეფეებს, ეპისკოპოსებს და კეთილშობილთა და ვასალთა უმრავლესობას შუა საუკუნეებში. ამ განსაზღვრების ყოველი კომპონენტი ყურადღების ცენტრში გვიყენებს ამ ცნების რომელსამე ასპექტს. პირველი ისაა, რომ ის, ვისაც სუვერენობა აქვს, ფლობს ძალაუფლებას. ანუ: მოცემულ პიროვნებას ან ერთეულს აქვს არა მხოლოდ მაიძულებელი ძალა, რომ ამას და ამას აიძულოს იმის ქმნა, რასაც ეს უკანასკნელი სხვა შემთხვევაში არ იზამდა. ძალაუფლება უფრო იმას ნიშნავს, რომ, როგორც განსაზღვრავს ფილოსოფოსი ვოლფი, „გქონდეთ უფლება ბრძანებისა და, შესაბამისად, უფლება, რომ თქვენს ბრძანებას დაემორჩილონ“. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ აქ არის სიტყვა „უფლება“, რომელიც გულისხმობს ლეგიტიმურობას. სუვერენიტეტის მფლობელი თავის ძალაუფლებას იღებს ლეგიტიმურობის რომელილაცა ორივე მხარის მიერ აღიარებული წყაროდან: ბუნებითი სამართალისგან, ღვთიური მანდატისაგან, მემკვიდრეობის კანონიდან, კონსტიტუციისაგან, თვით საერთაშორისო სამართლისგანაც კი. თანამედროვეობაში სამართლის მიერ განსაზღვრული რომელიღაცა კორპუსი (ადამიანთა ერთობლიობა) ყველგან არის სუვერენიტეტის წყარო.

მაგრამ სუვერენიტეტი უბრალოდ ძალაუფლებას კი არ ნიშნავს, არამედ უზენაეს ძალაუფლებას. უზენაესობა ის არის, რაც აშშ-ის კონსტიტუციას უფრო მაღლა აყენებს პენსილვანიის შტატის მთავრობაზე, ან რაც სუვერენიტეტის რომელსამე მფლობელს ასხვავებს პოლიციის უფროსისაგან ან რომელიმე კორპორაციის აღმასრულებელი თანამშრომლისაგან. სუვერენიტეტის მფლობელი უმაღლესია ყველა ხელისუფლებაზე, რომელიც იმყოფება მისი კომპეტენციის საზღვრებში. უზენაესობაც თანამედროვეობის ენდემური თვისებაა. შუა საუკუნეებში მრავალ ხელისუფლებას ჰქონდა ხოლმე ამა თუ იმ სახის კანონისმიერი რწმუნება, როგორც საფუძველი თავისი ძალაუფლებისათვის — ფეოდალური, კანონიკური თუ რამე სხვაგვარი, — მაგრამ ასეთი საფუძველი იშვიათად თუ იძლეოდა უზენაესობას.

დასასრულ, სუვერენიტეტის შემადგენელია ტერიტორიალობა, რაც აგრეთვე წარმოადგენს პოლიტიკური ძალაუფლების დამახასიათებელ ნიშანს დღევანდელობაში. ტერიტორიალობა არის ის პრინციპი, რომლითაც განისაზღვრება, ვინ ეკუთვნის მოცემულ თემს (საზოგადიებას). იგი განსაზღვრავს, რომ პიროვნებანი თავის წევრობას ამ თემში ფლობენ იმ საფუძველზე, რომ მის საზღვრებში ცხოვრობენ. ეს ძალიან ძლიერი პრინციპია, რადგან იგი წევრობას განსაზღვრავს იდენტობისაგან (ვინაობისაგან) დამოუკიდებლად. რომელიმე სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები სრულებითაც არაა აუცილებელი, რომ მოიცავდნენ რომელსამე „ხალხს“ ან „ერს“, ისინი შეიძლება მოიცავდნენ რამდენიმე იდენტობის (ვინაობის) მატარებლებს, რასაც თვითგამორკვევისაკენ მიმართული და ირიდენტული მოძრაობების ფაქტი თვალსაჩინოს ხდის. ადამიანები რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკუთვნიან და მისი მმართველის ძალაუფლებას ემორჩილებიან, ამას განსაზღვრავს მათი მყოფობა (LOCATION) ამ საზღვრებს შიგნით. თანამედროვე სუვერენები თავის უზენაეს ძალაუფლებას ამა თუ იმ გეოგრაფიული ტერიტორიის შიგნით ფლობენ.

ტერიტორიულობა დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულია: იგი ხელისუფლების განუყრელი ელემენტია მთელ მსოფლიოში. თვით სუპრაეროვნული და ინტერნაციონალური ინსტიტუტებიც კი, როგორიცაა ევროკავშირი ან გაერო, შედგებიან სახელმწიფოებისაგან, რომლებშიც წევრობა განსაზღვრულია ტერიტორიულობის მიხედვით. ფორმის ეს უნივერსალობა დამახასიათებელია თანამედროვეობისათვის, იგი ხაზს უსვამს სუვერენობის კავშირს თანამედროვეობასთან. თუმცა ტერიტორიალობა არსებობდა სხვადასხვა ეპოქებში და ადგილებში, იქ მაღალი პრესტიჟი ჰქონდა წევრობის სხვა პრონციპებსაც, როგორიცაა ნათესაობა, რელიგია, ტომი თუ ფეოდალური ურთიერთობები. ყველაზე ცოცხალ კონტრასტს ტერიტორიალობის პრინციპისადმი წარმოადგენს მომთაბარე ტომი, რომლის ძალაუფლებითი სტრუქტურა სავსებით დამოუკიდებელია მიწის რომელიმე ნაკვეთისაგან. ტერიტორიალობა განსაზღვრავს იმას, თუ თავისი რა მახასიათებლის ძალით არიან ადამიანები მოცემული ხელისუფლების დაქვემდებარებულნი: ესაა მათი გეოგრაფიული მოთავსებულობა ამა და ამ საზღვრებში. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორეტიკოსებს შემჩნეული აქვთ სუვერენიტეტის მსგავსება სხვა ინსტიტუტთან, რომლის ხაზებიც აგრეთვე ადგილს ემთხვევიან — ესაა კერძო საკუთრება. ეს ორი განსაკუთრებით ერთობლივად იყო მოაზრებული ჰობსის მიერ.

„უზენაესი ძალაუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით“ სუვერენიტეტის ზოგადი განსაზღვრებაა. სუვერენიტეტის კონკრეტული მანიფესტაციები ისტორიის მანძილზე თითქმის ყოველთვის ამ განსაზღვრების კერძო შემთხვევებია. ფილოსოფოსები და პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანები ყველაზე უფრო ხშირად ამ კერძო შემთხვევებზე ლაპარაკობენ ხოლმე, როცა ამ თუ იმ პიროვნებისათვის ან სამართლებრივი (კანონმდებელი) კორპუსისათვის სუვერენიტეტს იოხოვენ. ამგვარად, იმის გაგებას, თუ რა არის სუვერენიტეტი, განუხრელად ახლავს იმის გაგებაც, რა არის სუვერენიტეტზე პრეტენზიის გაცხადებები ან, სულ ცოტა, ყველაზე მნიშვნელოვნები ამ განცხადებებს შორის.

გასული ნახევარი ათასწლეულის მანძილზე ასეთი განცხადებები უაღრესად ურთიერთგანსხვავებული სახისა იყო — ერები ითხოვდნენ დამოუკიდებლობას დედა სახელმწიფოებისაგან, კომუნისტები — კოლონიალისტებისაგან, „ხმა ერისა“ — „ძველი რეჟიმებისაგან“, თეოკრატები — საერო სახელმწიფოებისაგან და აუარებელი სხვა. ეს, მართლაც, ნიშანია სუვერენული სახელმწიფოს ელასტიურობისა, რომ მან (ისტორიის მანძილზე) ძალაუფლების ამდენი სხვადასხვა სახეობა მოირგო. თუმცა ამ ძალაუფლებათა სახეებს აქ ვერ ჩამოვთვლით, უნდა აღვნიშნოთ სამი განზომილება, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია მათი კატეგორიებად დაყოფა. ესენია: ვინ არიან სუვერენიტეტის მფლობელნი, აბსოლუტური თუ არააბსოლუტური ბუნებისაა სუვერენიტეტი და რა მიმართებაა სუვერენიტეტის საშინაო და საგარეო განზომილებებს შორის.

როგორც ითქვა ზემოთ, სუვერენობა ჰქონდათ სხვადასხვა ხელისუფლებებს — მეფეებს, დიქტატორებს, ხალხს, რომელიც მართვას ახორციელებდა კონსტიტუციის საშუალებით, და ა.შ. ის, თუ როგორია უზენაესი ხელისუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით, ალბათ, სუვერენიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებაა. ახალი დროის დასაწყისში ფრანგ თეორეტიკოსს ფრანსუა ბოდენს მიაჩნდა, რომ სუვერენიტეტი უნდა სახიერდებოდეს ერთ ინდივიდში. მასაც და ინგლისელ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სუვერენიტეტი

მე-3 გვერდიდან

ჰობსსაც წარმოედგინათ, რომ სუვერენი კანონზე მაღლა დგას. შემდგომი მოაზროვნეები სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ ამ თემას — ისინი სუვერენიტეტის ადგილს სხვადასხვაგან ხედავდნენ, მაგრამ ამავე პრინციპის ერთგულნი რჩებოდნენ.

სუვერენიტეტი ამავე დროს შეიძლება აბსოლუტურიც იყოს და არააბსოლუტურიც. როგორაა შესაძლებელი, რომ სუვერენიტეტი იყოს არააბსოლუტური, თუკი იგი უზენაესია? ბოლოსდაბოლოს, ზოგი მეცნიერი, ალენ ჯეიმსივით, ხომ ასაბუთებს, რომ სუვერენიტეტი ან არის, ან არ არის, იგი ვერ იქნება ნაწილობრივი. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში სიტყვა „აბსოლუტური" ეხება არა სუვერენიტეტის გავრცელებას (ამა და ამ ტერიტორიაზე), არამედ მის ხასიათს (რაგვარობას), რომელიც ყველა შემთხვევაში უზენასია, არამედ, უფრო, იმ საკითხთა მოცულობას, რომლებშიც სუვერენიტეტის მპყრობელი სუვერენულია. ბოდენი და ჰობსი სუვერენიტეტს ხედავდნენ, როგორც აბსოლუტურს, უპირობოდ გავრცელებულს ყველა საკითხზე მოცემული ტერიტორიის შიგნით. მაგრამ შესაძლებელია, სუვერენიტეტი ვრცელდებოდეს მხოლოდ ზოგ საკითხებზე მოცემული ტერიტორიის შიგნით, და არა ყველაზე. (მაგალითად) დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები გვიჩვენებენ სუვერენიტეტის არააბსოლუტურობას. ისინი სუვერენულნი არიან თავდაცვის მართვაში, მაგრამ არა ვალუტისაში ან ვაჭრობის საკითხებისაში და სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის არაერთი მიმართულებისაში, რასაც ისინი ახორციელებენ ევროკავშირში, მისი კანონის თანახმად, ევროკავშირის ხელისუფლებასთან კოოპერაციაში. აბსოლუტური სუვერენიტეტი თანამედროვე სუვერენიტეტის კვინტესენციაა. მაგრამ ბოლო ათწლეულებში მიმდინარეობს მისი შემოზღუდვა ისეთი ინსტიტუტებით, როგორიცაა ევროკავშირი, გაეროს პრაქტიკა სანქციებული ჩარევისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო.

დაბოლოს, უკანასკნელი წყვილი ზედსართავებისა, რომელიც განსაზღვრავს სუვერენიტეტს, არის „საშინაო" და „საგარეო". ამ შემთხვევაში ეს სიტყვები აღწერენ არა სუვერენიტეტის ექსკლუზიურ სახეებს, არამედ მის სხვადასხვა ასპექტებს, რომლებიც თანაარსებულია და ყველგან მყოფი. სუვერენული ძალაუფლება ხორციელდება საზღვრების შიგნით, მაგრამ, თავისი განსაზღვრებითვე, უცხოებთან მიმართებითაც, რომელნიც ვერ ჩაერევიან სუვერენულ მართვაში. სახელმწიფო საგარეო სუვერენიტეტის მთავარი მპყრობელია ვესტფალიის ზავის შემდეგ (1648), რომლის ძალითაც ჩარევა სხვა სახელმწიფოს მმართველობითს პრეროგატივებში გახდა უკანონო. ცნებას „სუვერენიტეტი" საერთაშორისო სამართალში ხშირად აქვს კონნოტაცია (თანმხლები მნიშვნელობა) საგარეო სუვერენიტეტისა. ალენ ჯეიმსსაც ამგვარადვე ესმის საგარეო სუვერენიტეტი, როგორც კონსტიტუციური დამოუკიდებლობა — სახელმწიფოს თავისუფლება გარეგანი გავლენისაგან მისი ძირეული პრეროგატივებით გათვალისწინებულ სფეროში. დამახასიათებელია, რომ საგარეო სუვერენიტეტი დამოკიდებულია უცხოთა მიერ ცნობაზე. სახელმწიფოებისათვის ეს იგივეა, რაც ჩაურევლობის (NO-TRESPASSING) კანონია (სამართალია) კერძო საკუთრებისათვის — ურთიერთ შეთანხმებულობათა (Understending) სისტემა, რომელიც საკუთრებას, ან სახელმწიფოს, ანიჭებს შეუვალობას (იმუნიტეტს) გარედან ჩარევის მიმართ. იგივე საგარეო სუვერენიტეტი ადგენს საგარეო ურთიერთობების ძირითად პირობას — ანარქიას, რომელიც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს უმაღლესი ხელისუფლება, რომელსაც პრეტენზია ექნება უფრო დაბალი ძალაუფლების მიმართ. სახელმწიფოების კრებული, რომელნიც შინაგანადაც და გარეთაც სუვერენულნი არიან, ქმნის საერთაშორისო სისტემას, რომელშიც სუვერენული ერთეულები კავშირებს კრავენ, ვაჭრობენ, ომს და ზავს აცხადებენ.

2. სუვერენული სახელმწიფოს წარმოშობა. თეორია და პრაქტიკა

„უზენაესი ძალაუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით", — ამ დეფინაციით (განსაზღვრებით) სუვერენიტეტის უფრო დეტალური გაგება შეგვიძლია მისი ისტორიის გათვალისწინებით. ამ ისტორიის გადმოცემაში შეგვიძლია გამოვყვეთ ორ მთავარ მოძრაობას. პირველია მრავალსაუკუნოვანი ევოლუცია ჯერ სუვერენულ სახელმწიფოთა კონტინენტის ჩამოყალიბებისაკენ ევროპის სახით, შემდეგ კი მათი პლანეტის ჩამოყალიბებისაკენ. მეორეა აბსოლუტური სუვერენიტეტის პრეროგატივების შემოსაზღვრა XX საუკუნის II ნახევარში.

ევროპის ხანგრძლივი გადასვლის პროცესი შუა საუკუნეებიდან სუვერენულ სახელმწიფოთა სამყაროს მდგომარეობისკენ დაასრულა ვესტფალიის ზავმა (1648). ისტორიკოს სტრეიერის მიხედვით, ბრიტანეთი და საფრანგეთი სუვერენულად გამოიყურებოდნენ ჯერ კიდევ 1300 წლის მიდამოებში, როცა მათ მეფეებს ჰქონდათ უზენაესობა მოცემული ტერიტორიის შიგნით. მაგრამ ევროპა 1517 წლამდე ჯერ კიდევ შორს რჩებოდა ვესტფალიის ზავის მდგომარეობისაგან. დიდი ისტორიული შემობრუნება დაიწყო მაშინ, როცა ესპანეთის მეფემ კარლოს V-მ გააერთიანა კასტილია, არაგონი და ნიდერლენდები და ამავე დროს გახდა რომის საღვთო იმპერატორი, რითაც მოიპოვა პრეროგატივები ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიმართ, ამავე დროს თავისთავზე აიღო როლი კათოლიკური ეკლესიის ჯერ კიდევ ძლიერი პრეროგატივების განხორციელებისა თავისი იმპერიის შიგნით, მათ შორის საეკლესიო ორთოდოქსიის განხორციელებისაც. მაგრამ თავისი იმპერიის შიგნით კარლოს V არ იყო სუვერენი, რადგან მასში მთავრები და კეთილშობილნი ინარჩუნებდნენ მისი კონტროლის გარეთ მყოფ პრეროგატივებს. 1555 წელს სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის მყარი ნიადაგი შეიქმნა აუგსბურგის ზავის სახით, რომლის ფორმულამ **Cuins Regioeins Religio** (ვისიც ძალაუფლებაა, იმისივეა რელიგია) საშუალება მისცა გერმანელ მთავრებს თავისი ტერიტორიების შიგნით თავისი სარწმუნოება დაედგინათ. მაგრამ ეს სისტემა არამყარი აღმოჩნდა. გაჩნდა მრავალი დავა ამ შეთანხმების პუნქტთა გაგებაზე, რასაც მოჰყვა ომები და მათი კულმინაცია ოცდაათწლიანი ომის სახით, რომელიც დაასრულა ვესტფალიის 1648 წლის ზავმა.

ამ ზავის რომელი მახასიათებლები ქმნიან სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის გაჩენის საფუძველს? (ამ ზავისათვის ასეთი სტატუსის მიცემას ყველა მეცნიერი არ იზიარებს). არსად ხელშეკრულებებში არ არის ლაპარაკი სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის სავალდებულოობაზე ან თუნდაც სახელმწიფოსაზე, როგორც მმართველი ლეგიტიმური ერთეულისაზე. ისიც ცხადია, რომ ამ ზავს სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა არ შეუქმნია არარასაგან (Ex Nihilo): მისი კომპონენტები არსებობდა მანამდე და მათი აკუმულირება ხდებოდა საუკუნეთა მანძილზე. ამ ზავის შემდეგაც ცალკეული შუასაუკუნეობრივი ანომალიები არსებობას განაგრძობდა, მაგრამ ორი ფართო ასპექტით — კანონისმიერი პრეროგატივებისა და პრაქტიკული ძალების ასპექტით — სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემამ გაიმარჯვა. ჯერ ერთი, გაჩნდა სახელმწიფოები, როგორც რეალურად ერთადერთი ფორმა არსებითი კონსტიტუციური ძალაუფლებისა ევროპაში, მათს ძალაუფლებას სერიოზულად ველარ აყენებდა კითხვის ქვეშ რომის საღვთო იმპერია. ნიდერლანდებმა და შვეიცარიამ მიიღეს სიტყვაშეუბრუნებელი სუვერენიტეტი, რომის საღვთო იმპერიის გერმანულმა სახელმწიფოებმა მოიპოვეს უფლება მოკავშირეების ყოლისა იმპერიის გარეთ, ამავე დროს დიპლომატიურ ურთიერთობათა სისტემამაც და საგარეო პოლიტიკამაც მიიღო ის სქემა, რომელიც დღეს არსებობს თანამედროვე დიდ ძალთა სახით, რაშიც გამოიხატა საერთო გაგება იმისა, თუ რა არის სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა. ეკლესიის საერო ძალაც შეიკვეცა იმ ზომამდე, რომ მას აღარ შეეძლო მეტოქეობა გაეწია რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტისათვის. საპასუხოდ, პაპმა ინოკენტი X-მ შეაჩვენა ამ ზავის ხელშეკრულებები, როგორც „არარაული, ცარიელი, უსამართლო, უმართებულობით შემზარავი, უჭკუო, უწმინდური, ყოველსავე აზრს და ნაყოფს მოკლებული სამარადისოდ".

მეორეც, ამ ზავმა ბოლო მოუღო ჩარევას რელიგიურ საქმეებში, რაც მანამდე ხშირი საფუძველი იყო სუვერენულ პრეროგატივათა ხელყოფისათვის. შეიარაღებულ დაპირისპირებათა ათწლეულების შემდეგ აუგსბურგის ზავის სქემა საბოლოოდ გამყარებულ იქნა, არა ზუსტად 1555 წლის ფორმით, მაგრამ ისე, რომ ეფექტიანად დადგინდა მთავართა ძალაუფლება რელიგიის საკითხებში. სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა რომ კიდევ განვრცო შემდგომ ათწლეულებში, ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო ვერ ეომებოდა მეორეს მისი რელიგიური კურსის გამო, რაც მკვეთრ კონტრასტში იყო მანამდელ 130 წელთან, როცა ევროპას რელიგიური ომები გლეჯდა. სუვერენული სახელმწიფოების სისტემა რომ განვრცო შემდგომ წლებში, ჩაურევლობის ეს სისტემაც განზოგადდა ერთ-ერთ ფუძემდებელ ნორმად იქცა.

შემდგომ სამ საუკუნეში სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა მსოფლიოში გავრცელდა და თავის კულმინაციას მიაღწია ევროპელთა კოლონიური იმპერიების დაშლის სახით XX საუკუნის შუაში, როცა სახელმწიფო გახდა პოლიტეიის ერთადერთი ფორმა, რომელსაც ოდესმე დედამიწის ზედაპირის მოცვა ეწერა. დღეს სუვერენიტეტის ნორმები შესულია გაეროს ქარტიაში, რომლის მუხლი 2(4) კრძალავს სხვისი „პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის" ხელყოფას და მუხლი 2(7) სასტიკად კრძალავს ჩარევას (ინტერვენციას).

სუვერენული სახელმწიფო რომ ევროპის კონტინენტს ნაწილ-ნაწილ, ახალი დროის დამდეგს, რითაც იქმნებოდა ევენტუალურად მთელი მსოფლიოს მომცველი სისტემა, მაშინ იმდროინდელმა პოლიტიკურმა მოაზროვნეებმა შეინწყარეს პოლიტეიის ეს ფორმა და ჩამოწერეს, თუ რა ქმნიდა მას ლეგიტიმურად. ისინი არ იყვნენ ამ ცნებისა და იდეის აღმომჩენები, რადგან თვით შუა საუკუნეებშიც კი დანტე და მარსალიუს პადუელა ქადაგებდნენ საერთო და საეკლესიო ძალაუფლებათა გამიჯვნას, რაც, მათი აზრით, მიიღწეოდა პრეროგატივების გადაცემით საერო მმართველობის ხელში. მაშინ, უხეში მიახლოებით, იყო ორი ფილოსოფოსი, რომელნიც, მართალია, ექსპლიციტურად და შეგნებულად არ წერდნენ სუვერენიტეტის შესახებ, მაგრამ თავისი იდეებით, რეალურად, აღწევდნენ დიდ წინსვლას ამ ცნების შემუშავებაში. მაკიაველი აკვირდებოდა ქალაქ-სახელმწიფოთა პოლიტიკას თავის რენესანსულ იტალიაში და აყალიბებდა, რა უნდა მოიმოქმედოს მთავარმა, რათა წინ წაწიოს თავისი აყვავებული რესპუბლიკა, — აყალიბებდა იმგვარ ტერმინებში, რომლებიც ამ მთავარს ანიჭებდა უზენაეს ძალაუფლებას ამ ტერიტორიაზე. მკაფიო იყო, რომ ეს მთავარი არ უნდა შეზღუდულიყო არც ბუნებითი კანონით, არც კანონიკური სამართლით, არც სახარების მცნებებით, არც სხვა რამ ნორმებით და ავტორიტეტებით, რომლებიც სავალდებულო იქნებოდა მისთვის, როგორც საქრისტიანოს წევრისათვის. მეტიც, იგი მზად უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ „კეთილი არ ყოფილიყო", არამედ მზად ყოფილიყო ავის საქმელადაც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბოროტი ბოროტი აღარაა, არამედ იმიტომ, რომ ეს ზოგჯერ საჭიროა მაკიაველისათვის ცენტრალური მიზნის — სახელმწიფოს ძლიერებისა და მოწესრიგების მისაღწევად. მთავრისთვის ვალდებულებაა მხოლოდ **Raison D'etat** — სახელმწიფოსათვის აზრი. იგი უზენაესია სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით და პასუხისმგებელია მხოლოდ ამ ერთი (ერთეული) კრებულის კეთილდღეობისათვის.

მარტინ ლუთერი სულ სხვა მხრიდან ასაბუთებდა სუვერენიტეტს. მისი რეფორმაციის თეოლოგია მოითხოვდა კათოლიკური ეკლესიისაგან მრავალი უფლების ჩამოცილებას — არა მხოლოდ საეკლესიოსას, არამედ ისეთებისასაც, რომლებიც, ყველა თანამედროვე განსაზღვრებით, საერია. მას მიაჩნდა, რომ ეკლესია აღარ უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ხილული იერარქიული ინსტიტუტი, არამედ როგორც უხილავად გაერთიანებული აგრეგატი (ერთობა) ადგილობრივი ეკლესიებისა, რომლებიც სწორ მოძღვრებას მიჰყვებიან. ამგვარად, კათოლიკურ ეკლესიას აღარ უნდა სჭეროდა კანონიერად ვრცელი მიწები, რომლებსაც იგი ბეგრავდა და იცავდა და რომელშიც სამართალს ახორციელებდა. მის ეპისკოპოსებს აღარ უნდა სჭეროდათ საერო თანამდებობები მეფე-მთავრების ხელქვეით. აღარც პაპს უნდა შესძლებოდა საერო ხელისუფალთა გადაყენება განკვეთის უფლების გამოყენებით. რაც ყველაზე არსებითია, რომის იმპერატორს აღარ უნდა შესძლებოდა კანონიერად ძალით განეხორციელებინა კათოლიკური ერთგვაროვნება. ეკლესიას და მისი სახელით მოქმედთ აღარ უნდა შესძლებოდათ პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების განხორციელება. ვის უნდა აეღო ხელში ეს ამგვარად განთავისუფლებული უფლებამოსილებები? ტერიტორიულ მთავრებს. „ეკლესიის დამოუკიდებლობისა და მის მიერ ტერიტორიისგარე საზოგადოებრივი აზრის მართვის გაუქმებით მოცილებული იქნა სახელმწიფოს შიგნით ერთიანობის უკანასკნელი დაბრკოლება" (ფიგსი). ვესტფალიაში ვითარების სწორედ ამ ხედვამ გაიმარჯვა.

ლუთერის პოლიტიკური თეოლოგია ყოველივე ამის ახსნა იყო. იგი ამბობდა, რომ ღვთის ძალაუფლების ქვეშ არსებობს ორი ფორმა მართვისა — „სულის სამეფო" არის ის ფორმა (ის წესრიგი), რომლითაც ქრისტე მიმართებაშია მორწმუნის სულთან. ამა ქვეყნის სამეფო კი არის ის ფორმა (ის წესრიგი) საერო საზოგადოებისა, სადაც საერო ხელისუფალნი ამუშავებენ თავის მმართველობითს ინსტიტუტებს კანონისა და იძულების მეშვეობით. ორივე ამ სამეფოს კეთილი მოაქვს მორწმუნეთათვის, მაგრამ სხვადასხვა აზრით; ისინი ცალ-ცალკე უნდა იყონ ორგანიზებულნი. ეკლესიის მესვეურებმა სულიერი მოვალეობები უნდა აღასრულონ, მეფე-მთავრებმა და მაგისტრატურებმა — საერო. პაპისა და კათოლიკური ეკლესიის ძალისაგან გათავისუფლებულებმა, თავის საბრძანებელში შესაბამისი საერო ძალაუფლების მქონეებმა, მთავრებმა ახლა ეფექტიანად უნდა განახორციელონ თავისი საკუთარი სუვერენიტეტი. იმ ეპოქაში მთავრები მნიშვნელოვან კონტროლს ახორციელებდნენ თვით პროტესტანტულ ეკლესიებზეც კი, ხშირად ნიშნავდნენ მათს ადგილობრივ ლიდერებს, როგორც ამას ხატავს „ერასტიანიზმის" დოქტრინა. თუმცა არც ლუთერს, არც სხვა პროტესტანტ რეფორმატორებს არ განუხილავთ სუვერენიტეტის დოქტრინა მის დეტალებში, მათ მთავრებს შესთავაზეს მისი თვით დედაარსი. ფიგსი წერს: „ერთიანობა, უნივერსალობა და არსებითი სისწორე ტერიტორიული სუვერენული სახელმწიფოსი, უარყოფა ყოველივე ტერიტორიისგარე ან დამოუკიდებელი კომუნალური ფორმისა ცხოვრების სარეგულაციოდ — აი, ეს არის ლუთერის წარუვალი წვლილი პოლიტიკაში".

ახალი დროის დამდეგს სხვა ფილოსოფოსები, რა თქმა უნდა, ექსპლიციტურად იღებენ სუვერენიტეტის ამ დოქტრინას და, ამგვარად, ისინი უფრო ფართოდ დაკავშირებულნი არიან მასთან. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდენი პირველი ევროპელი ფილოსოფოსია, რომელიც ფართოდ იხილავს ამ ცნებას. მისეული ცნება Souverainete-ს (სუვერენიტეტისა) ცენტრალურია მის შრომაში. მისი De La Republique („რესპუბლიკისათვის") (1576) დაწერილია კალვინისტებისა და კათოლიკური მონარქიის ომის ქარცეცხლში. იგი წესრიგის პრობლემას თვლიდა ცენტრალუ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

რად და არ ფიქრობდა, რომ იგი გადაწყვეტადია მოძველებული შუასაუკუნობრივი აზრებით სეგმენტირებული (დაყოფილი) საზოგადოების შესახებ, არამედ დაძლევადია მხოლოდ იმ იდეით, რომ მმართველნი და მართულნი გაერთიანებულნი არიან ერთ პოლიტიკურ სხეულად, რომელიც მაღლა დგას ყოველსავე ადამიანურ კანონზე და, სინამდვილეში, ამ კანონის წყაროა. ეს იდეა არის სუვერენიტეტის იდეა: მხოლოდ უზენაეს ძალაუფლებას მოცემული ტერიტორიის შიგნით ძალუძს, გააძლიეროს დაქუცმაცებული საზოგადოება.

ბოდენი ფიქრობდა, რომ ეს კორპუსი („სხეული"), რომელიც სუვერენიტეტს განახორციელებს, უნდა აკავშირებდეს თავის თავში ბუნებითსა და ღვთაებრივ კანონს, თუმცა ვერც ერთი ადამიანური კანონი ვერ განსჯის და ვერ მიჰმართავს მას. კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ, მისი აზრით, მართებულად განსხვავებული სუვერენიტეტი პატივს სცემდა ჩვეულებითსა და საკუთრებითს უფლებებს. არ არის ნათელი, თუ ასეთი შეზღუდვა როგორაა შეთავსებადი სუვერენული ძალაუფლების უზენაესობის სტატუსთან. შესაძლოა, ბოდენ ფიქრობდა, რომ ასეთი უფლებები უნდა ყოფილიყო მახასიათებლები ლეგალური რეჟიმისა, რომელიც თვითონაა სუვერენული სხვა ხელისუფლებებთან მიმართებაში. იგი ფიქრობდა აგრეთვე, რომ სუვერენიტეტის მატარებელი ხელისუფლება შესაძლებელი იყო ლეგიტიმურად ყოფილიყო მონარქიული ან არისტოკრატული ან დემოკრატიული, თუმცა პირადად მას არისტოკრატია ერჩია. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ეს ხელისუფლება თავისი ტერიტორიის შიგნით დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი გარე ადამიანური კანონისაგან ან ძალაუფლებისაგან. ჰინსლი წერს:

„ისეთ დროს, როცა იმპერატიული გახდა ბოლოს მოღება კონფლიქტისათვის მმართველებსა და მართულებს შორის, ბოდენმა გააცნობიერა, — და ეს დიდი ინტელექტუალური ღვაწლი იყო, — რომ კონფლიქტი დაცხრებოდა მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლებელი იქნებოდა აუცილებლად შეუზღუდველი შინაგანი ძალის ორგანიზებაც, ერთის მხრივ, და ამ ძალის განსხვავებაც ყველა კანონისა და წესისადმი გულგრილი აბსოლუტიზმისაგან, მეორეს მხრივ, — მან ეს იმით შეძლო, რომ (თავის აზრში) ძალის ლეგალურობაც და მისი სიბრძნეც, რომელიც უზრუნველყოფდა მის მიერ საჭირო შეზღუდვათა დაცვას, დაამყარა იმ პოლიტიკური კორპუსის („სხეულის"), როგორც პოლიტიკური საზოგადოების, ბუნებაზე, რომელსაც უნდა მოეცვა მმართველნიც და მართულნიც. მისი ეს კონსტატაცია სუვერენიტეტის (აუცილებელობისა) იყო ერთადერთი შესაძლებელი შედეგი".

ბოდენისეული „სუვერენიტეტის განცხადება" პირველი სისტემური ნაბიჯია ამ მიმართულებით ევროპულ ფილოსოფიაში და, ამგვარად, დროის ნიშანსვეტია.

ჰობსიც სამოქალაქო ომის ვითარებაში წერდა და ისიც სუვერენიტეტის ცნებამდე მივიდა, როგორც ხსნამდე. მის თვალში ადამიანები ადგენენ (აყალიბებენ, აფუძნებენ) სუვერენულ ხელისუფლებას ხელშეკრულების საშუალებით, რომლითაც ისინი ყველა თავის უფლებას გადასცემენ ლევიათანს — სახელმწიფოს ცნების აბსტრაქტულ განსახიერებას. ამ უკანასკნელის ნება უზენაესია და იგი განასხეულებს მისი ამომრჩევლების და მართვის თავის ყველა უფლებათა გადამცემების ნებას. ბოდენისეული სუვერენიტეტივით, იგიც ყოველსავე კანონზე მაღლაა, იგი მოკვდავი ღმერთია და არაა შეკრული არანაირი ხელშეკრულებითი ვალდებულებით არანაირ გარეშე მხარესთან. მაგრამ, ბოდენისაგან განსხვავებით, ჰობსის ლევიათანი არაა შეზღუდული რაიმე ბუნებითი, საღვთო ან ჩვეულებითი სამართლით, კანონი, უფრო, მისი ბრძანებაა, მისი ნებიდან გამომდინარე, და აღსასრულებლად სავალდებულოა აბსოლუტურად.

ბოდენიცა და ჰობსიც ქადაგებენ სუვერენიტეტს, როგორც უზენაეს ხელისუფლებას. ეს იდეა განაგრძობს პრევალირებას, როგორც სახელმწიფოთა პოლიტიკური მართვის პრეზუმფცია, მთელს დედამიწაზე დღემდე, ისეთ სახელმწიფოთა ჩათვლით, სადაც სუვერენული მმართველი კორპუსი აწესებს შეზღუდულ მმართველობას და სამოქალაქო უფლებებს ინდივიდისათვის. საუკუნეთა მანძილზე გაჩნდა სუვერენიტეტის მჰყრობელის ახალ-ახალი ცნებები. რუსო, ბოდენისა და ჰობსისაგან ძალიან განსხვავებულად, ადამიანთა კოლექტივს სახელმწიფოს შიგნით განიხილავდა როგორც სუვერენს, რომელიც მართავს საერთო ნებით. კონსტიტუციურ მმართველობებში სწორედ ხალხი მართავს საკანონმდებლო კორპუსის მეშვეობით, რომელიც სუვერენულია. ეს ის ვერსიაა, რომელსაც, უმეტესწილად, ლეგიტიმურობა აქვს მსოფლიოში დღეს.

3. სუვერენული სახელმწიფოს შეზღუდვა („შემოფარგვლა"): თეორია და პრაქტიკა

სუვერენიტეტის შობა და გლობალური გავრცელება, რომელსაც აქებენ და განადიდებენ კიდეც პოლიტიკური ფილოსოფოსები, ახალ დროში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ყველაზე საშინელი პოლიტიკური ტენდენციაა. მაგრამ თავისი გაჩენის პირველი დღეებიდანვე სუვერენიტეტი, ამასთან ერთად, შეჰხვდა მოეჭვეებსაც და კვალიფიციურ (შემზღუდველ, ნაწილობრივ. რედ.) მხარდამჭერებსაც. ამ უკანასკნელთა შორის მრავალნი მიიჩნევდნენ, რომ ყოველი კორპუსი („სხეული"), რომელიც განასახიერებს კანონის მიერ სუვერენიტეტის სტატუსზე პრეტენზიის გაცხადებას, კერპთაყვანისმცემლობის ფორმაა, ზოგჯერ — დამცავი ბაკანი, რომლის მიღმაც მმართველნი მალავენ თავის სისასტიკესა და უსამართლობას, რათა კანონიერი უცხო თვალი არ მოჰხვდეთ. რეალურად, მხოლოდ ჰოლოკოსტის (ჰიტლერელთა მიერ ებრაელების გენოციდის) შემდეგ მოხდა ის, რომ რეალურად გაჩნდა სუვერენიტეტის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური შეზღუდვა, რის შედეგადაც მნიშვნელოვანწილად შეიკვეცა სუვერენული სახელმწიფოს უფლებები. ყველაზე დიდი შეკვეცებია ის, რომელიც განხორციელდა. ადამიანი უფლებაა დაცვის მიმართულებით და ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით.

1948 წელს სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რითაც იკისრა, პატივი სცეს ინდივიდთა 30-ზე მეტ ცალკეულ უფლებებს. ვინაიდან ეს არ იყო სამართლებრივად დამაკმაყოფილებელი დეკლარაცია და არ შეიცავდა იძულებითი განხორციელებინების მექანიზმებს, მან სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ხელშეუხებელი დატოვა, მაგრამ ეს მაინც იყო პირველი ნაბიჯი მათი მიბმისა საერთაშორისო საყოველთაო ვალდებულებებზე, რომლებიც შეეხებოდა მათს შინაგან საქმეებს. შემდგომი ათწლეულების მანძილზე ხდებოდა ამ ადამიანურ უფლებათა სტატუსის თანდათანობითი ამაღლება. ერთერთი ყველაზე მძლავრი კონვენცია ადამიანის უფლებათა თემაზე, — რომელიც მართლაც კვეცავს სუვერენიტეტს, — არის „ევროპული კონვენცია ადამიანთა უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ", რომელებიც დაფორმულდა 1950 წელს. მისი დაახლოებით თანამედროვე, 1948 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი იყო კონვენცია გენოციდის შესახებ, რომელიც ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, თავი შეიკავონ გენოციდისაგან და დასაჯონ იგი. შემდეგი, 1960-იანი წლების შუახანებში, დაიდო „შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ" და „შეთანხმება ეკონომიკურ, სოციალური და კულტურულ უფლებათა შესახებ", რამაც სამართლებრივად დაავალდებულა მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა, პატივი სცენ თავისი ხალხების ადამიანურ უფლებებს. ამჯერად ხელმომწერ სახელმწიფოთა კონსტიტუციური ძალაუფლება დიდწილად ხელუხლებელი დარჩა, რამდენადაც ისინი არ უშვებდნენ იმას, რომ რომელსამე ამ ვალდებულებათაგანს გამოეწვია მათი სუვერენიტეტის ხელყოფა. შემდგომი შეთანხმებებიც ადამიანურ უფლებათა შესახებ, რომელთაც ხელი მოაწერა სახელმწიფოთა უმრავლესობამ, ასევე შეიცავდა დათქმებს სუვერენიტეტის ხელყოფის დაუშვებლობის თაობაზე.

მხოლოდ ადამიანურ უფლებათა უკან სამხედრო იძულების დგომისა და ძლიერი იურიდიული პროცედურებით დამუქრების პრაქტიკას შეეძლო, სერიოზულად შემოეზღუდა სუვერენიტეტი. ამ მიმართულებით სერიოზული პროგრესი დაიწყო ცივი ომის დამთავრების შემდეგ ვესტფალიის ზავის გადახედვის სახით — გადახედვისა, რომელიც კვეცავს ამ ზავში მძლავრად წინ წამოწეულ ნორმას ინტერვენციის დაუშვებლობის თაობაზე. ეპიზოდთა მთელ სერიაში, დაწყებული 1990 წლიდან, გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს იმგვარ პოლიტიკურ ქმედებას, ჩვეულებრივ — სამხედრო მოქმედების მომცველს, რომელსაც სახელმწიფოთა ფართო კონსენსუსი მანამდე განიხილავდა, როგორც უკანონო ჩარევას სხვათა შინაგან საქმეებში. ეს ეპიზოდები მოიცავდა სამხედრო ჩარევის მოწონებას, როგორც ჩადენილი უსამართლობის გამოსწორების საშუალებას ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით ან რომელსამე სახელმწიფოშო გაჩენილი შინაგანი პრობლემების ადმინისტრირების პოლიტიკური აქციის სახით ქმედებით. ცივი ომისდროინდელი სამშვიდობო ოპერაციებისაგან განსხვავებით, ამ ოპერაციებს ჩვეულებრივ არ ჰქონდა ხოლმე დამნაშავე სახელმწიფოს მთავრობის დასტური. ასეთი ოპერაციები ჩატარდა ერაყში, ყოფილ იუგოსლავიაში, ბოსნიაში, კოსოვოში, სომალიში, ჰაიტიზე, კამბოჯაში, ლიბერიაში და სხვაგან. თუმცა ცალკეულ ინტერვენციათა კანონიერება და სიბრძნე არც თუ იშვიათად დგება კითხვის ქვეშ სხვადასხვა სახელმწიფოთა მხრიდან — მაგალითად, აშშ-ის მიერ იუგოსლავიის დაბომბვამ და ნატოს ინტერვენციამ კოსოვოში ვერ მიიღო გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა, — მაინც ამგვარი ჩარევის პრაქტიკა მოსალოდნელია გაგრძელდეს და გაეროში უშიშროების საბჭოს მხრიდან დიდი მხარდაჭერაც ჰქონდეს, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა.

მეორე გზა სუვერენიტეტის შემოზღუდვისა ევროპული ინტეგრაციაა. ეს იდეაც იშვა როგორც რეაქცია ჰოლოკოსტზე — უბედურებაზე, რომელიც მრავალმა ევროპელმა ლიდერმა მიაწერა, ნაწილობრივ მაინც, სუვერენული სახელმწიფოს არა ანგარიშვალდებულებას მსოფლიოს წინაშე. ისტორიულად, ევროპის ინტეგრაციის ყველაზე ენთუზიასტი მხარდამჭერები კათოლიკური ქრისტიან-დემოკრატიული პარტიებიდან წარმოდგებოდნენ, რომელთა იდეალებს ფესვი ჰქონდა შუა საუკუნეთა ქრისტიანობაში, სადაც, — თეორიაში მაინც, — არც ერთი ლიდერი არ იყო სუვერენული და ყველა მათგანი ანგარიშვალდებული იყო ღირებულებათა საყოველთაო სისტემის წინაშე. ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის თანამედროვე ენით ისინი ეხმაურებოდნენ პაპი ინოკენტი X-ის მიერ ვესტფალიის ზავის შეჩვენების ტექსტს.

ევროპის ინტეგრაცია დაიწყო 1950 წელს, როდესაც ექვსმა სახელმწიფომ პარიზის შეთანხმებით შექმნა „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება". ამ გაერთიანებამ შექმნა გაერთიანებული ევროპული ხელისუფლება, ექვსი ქვეყნის მონაწილეობით, ქვანახშირისა და ფოლადის საქმეთა სამართავად, რასაც მოჰყვა აღმასრულებელი კონტროლი მუდმივად არსებული ბიუროკრატიის ხელით და გადაწყვეტილებათა მიმღები მინისტრთა საბჭოს შედგენა, რომლის წევრები იყვნენ ამ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები. ეს მოდელი განივრცო საერთო ეკონომიკურ ზონად, რომელიც შეიქმნა რომის ხელშეკრულებით 1957 წელს. იგი კიდევ გააძლიერა ევროპის სასამართლოსა და ერთიანი ლეგისლატურის — ევროპის პარლამენტის შექმნამ, რომელიც ევროპის მომცველი, პირდაპირი არჩევნებით დაკომპლექტებული კორპუსი იყო. დროთა მანძილზე ევროპის ინტეგრაცია კიდევ განივრცო (დღეს ეს ინსტიტუტი შედგება 15 წევრისაგან) და გაღრმავდა. 1991 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გააფართოვა მისი უფლებამოსილებები და გარდასახა იგი ევროპის კავშირად. დიდად დაშორებული ამ პრეტენზიას, რომ სახელმწიფოებს ჩაენაცვლოს, ევროკავშირი, უფრო, „კრებს" (Pools) მათი სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ასპექტებს „სუპრანაციონალურ" (ზეეროვნულ) ინსტიტუტად, რომელშიც მათი მოქმედების თავისუფლება ჩარჩოშია მოქცეული. ისინი აღარ არიან აბსოლუტურად სუვერენულნი. დღეს ევროპული ინტეგრაცია სწრაფად მიმდინარეობს. მისი ბირთვი სახელმწიფოები უკვე ფიქრობენ თავიანთი სათავდაცვო ძალების გაერთიანებასაც, გარკვეული მიზნებისათვის მაინც.

სუვერენული სახელმწიფოს ეს შემოზღუდვა საერთაშორისო ნორმებისა და სუპრანაციონალური (ზეეროვნული) ინსტიტუტების საშუალებით პარალელს პოულობს თანამედროვე ფილოსოფოსთა აზროვნებაში, რომელთაც იერიში მიაქვთ აბსლუტური სუვერენიტეტის იდეასა და ცნებაზე. მათი აზროვნება არაა სავსებით ახალი, რამდენადაც ახალი დროის გარიჟრაჟზე ფილოსოფოსები, როგორიც იყო ჰუგო გროციუსი, ალბერტო ჯენტილე და ფრანციისკო სუარესი, თუმც კი იწყნარებდნენ სახელმწიფოს, როგორც ლეგიტიმურ (სამართლებრივ) ინსტიტუტს, მაინც ფიქრობდნენ, რომ მისი ძალაუფლება შეზღუდული უნდა იყოს და არა აბსოლუტური. მაგალითად, ულმობელი მთავარი უნდა დაქვემდებარებული იყოს მეზობელი მთავრების ზემოქმედებას, რომლებიც მას დისციპლინის ჩარჩოებში მოაქცევენ, რაც ფრიად და ფრიად წააგავს ჰუმანიტარული ჩარევის დღევანდელ იდეას.

შესაძლებელია, ორი ყველაზე გამოჩენილი თავდასხმა დღევანდელ სუვერენიტეტზე || მსოფლიო ომის აქეთ ფილოსოფოსთა შორის ეკუთვნით ბერტრან დე ჟუვენალს და ჟაკ მარიტენს. თავის შრომაში „სუვერენიტეტი. გამოკვლევა პოლიტიკური სიკეთის შესახებ" ჟუვენალი აღიარებს, რომ სუვერენიტეტი თანამედროვე პოლიტიკური ძალაუფლების არსებითი ატრიბუტია, რომელიც საჭიროა შინაგანი დისპუტების დასაცხრობად და კოოპერაციის (თანამშრომლობის) საორგანიზაციოდ გარეშეთაგან თავდაცვის საქმეში. მაგრამ იგი პირწმინდად უკუაგდებს სუვერენიტეტის ფანამედროვე იდეას, რომელიც ქმ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მე-5 გვერდიდან

ნის წესებზე მაღლა მდგომ ძალას, — ძალას, რომლის გადაწყვეტილებები ლეგიტიმურად უნდა ჩაითვალოს, უბრალოდ, იმიტომ, რომ ისინი ამ ძალისაგან მომდინარეობენ. ჟუვენალის აზრით, სუვერენიტეტის იდეამ თავის მწვერვალს მიაღწია ჰობსის აზროვნებაში, რომლის „საზარელ კონცეფციაშიც ყოველივე დაიყვანება იძულების საშუალებამდე, რომელიც სუვერენს საშუალებას აძლევს, გამოცეს უფლებები და ქვეყანას უკარნახოს კანონები, როგორც მოეხასიათება. მაგრამ თვით ეს იძულების საშუალებები მხოლოდ ერთი ნაწილია სუვერენის ხელში თავმოყრილი ძალისა“. მიუხედავად მათი ურთიერთგანსხვავებისა სუვერენიტეტის ადგილისა და ფორმის თაობაზე, შემდგომ მოაზროვნეებს ლოკის, პუფენდორფისა და რუსოს სახით „ენებათ თავის თავზე გამოეცადათ ამ მექანიკურად სრულყოფილი კონსტრუქციის მიმზიდველი ძალა“. ეს იყო „თვით სუვერენიტეტის ტრიუმფის საათი“, რომლის უარსაყოფად მას აქეთ „კადნიერება არავის ეყოფა“.

როგორც გვაგრძნობინებს მის მიერ ჰობსის გადმოცემა, ჟუვენალი ახალი დროის დამდეგის აბსოლუტურ სუვერენობას დიდი შეშფოთებით განიხილავს. „თვით ეს იდეა სახიფათოა“ — წერს იგი. მაგრამ ის ამ იდეის გადაგდებას კი არ ითხოვს, არამედ მიაჩნია, რომ სუვერენიტეტი წარმართულ უნდა იქნას იმგვარად, რომ სუვერენული ხელისუფლება არ ინდომებდეს არაფერს ისეთს, რაც არ არის კანონიერი. მორალი, რომელიც არანაირად არ არის დამოკიდებული სუვერენის ნებაზე, დამოუკიდებელი ჭეშმარიტების მატარებელია. მიჰმართავს რა თვალს „ქრისტიანი მოაზროვნეების“ პერსპექტივისაკენ, იგი ამბობს, რომ „არსებობენ ისეთი ნებანი, რომლებიც სამართლიანნი არიან, და ისეთი ნებანი, რომელნიც უსამართლონი არიან“. ამგვარად, „ძალაუფლებას ახლავს ვალდებულება, რომ ბრძანოთ ის, რისი ბრძანებაც ჯერარს“. ეს ძალაუფლების ის გაგებაა, რომელიც ჰქონდა „ანსიენ რეჟიმს“ („ძველ რეჟიმს“, საფრაგეთის მონარქიას 1789 წლის რევოლუციამდე. რედ.), რომლის თანახმადაც კარგ მრჩეველებს შეეძლოთ მონარქის ძალისხმევა მიემართათ საერთო სიკეთისაკენ. რას ძალუძს დღევანდელი სუვერენიტეტის წარმართვა? ჟუვენალი, როგორც ჩანს, ეჭვობს, რომ ამისათვის კმაროდეს იუსტიციური ან კონსტიტუციური სქემა. მას, უფრო, იმის იმედი აქვს, რომ ასეთ „რჩევას“ მოიცემს მოქალაქეთა საერთო მორალური წარმოდგენები, რომლებიც მოქმედებს სუვერენის არჩევანების სოციოლოგიურ-იურიდიული თეორიის გამო, და არც მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ცნება ქმნის აუარებელ გადაულახავ სიძნელეებს და თეორიულ ხლართებს საერთაშორისო სამართლის სფეროში, არამედ იმიტომ, რომ, თუ მას განვიხილავთ მისი ნაღდი (გენუინური) მნიშვნელობის მიხედვით და იმ საკუთრივ მეცნიერული სფეროს პერსპექტივის თვალსაზრისით, რომელსაც იგი (ეს ცნება) ეკუთვნის — პოლიტიკური ფილოსოფიისაში, — მაშინ ეს ცნება (იდეა) შინაგანად ყალბია და გარდუვალად გზიდან ამცდენია — თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ იგი მეტისმეტად დიდხანს და მეტისმეტად ფართოდ იყო საიმისოდ, რომ უფლება გვქონდეს მისი უკუგდებისა, და მასში გაუთვალისწინებელი რჩება ის ყალბი კონნოტაციები (თანმხლები მნიშვნელობები), რომლებიც მისგან განუშორებელია“.

ბოდენისა და ჰობსის შეცდომა ის იყო, რომ მათ სუვერენიტეტი მოაზრებული ჰქონდათ, როგორც ძალაუფლება, რომელიც ხალხს პერმანენტულად გადაქვს და რომელსაც ასხვისებს გარეგან ერთეულზე, ამ შემთხვევაში — მონარქზე. იმის ნაცვლად, რომ იყოს ხალხის წარმომადგენელი და იყოს ანგარიშმგებელი ამ უკანასკნელის წინაშე, სუვერენი, ამ კონცეფციის მიხედვით, გახდა ტრანსტენდენტური ერთეული, რომელსაც უპყრია ამ ხალხის მართვის უფლება, ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად. ჟუვენალის მსგავსად, მარიტენი გმობს სუვერენის ნების ეგზალტაციას იმ ზომამდე, რომ სამართლიანად მივიჩნევდეთ იმას, რაც ამ ნების ინტერესს ემსახურება. ეს კერპთაყვანისმცემლობაა. ყოველივე გადაცემა პოლიტიკური კორპუსის („სხეულის) ძალაუფლებისა თუნდ მისსავე ნაწილზე, თუნდ რამე უცხო ერთეულზე, — სახელმწიფო აპარატი იქნება ეს, მონარქი თუ თვით ხალხიც კი, — უკანონობაა, რადგან მთავრობის ჭეშმარიტობა (Validity) ეფუძნება მის კავშირს ბუნებითს სამართალთან. სუვერენიტეტი შობს სამ ფუნქციისეულ დარღვევას. პირველი. მისი საგარეო განზომილება გაუგებარს („მოუაზრებადს“) ხდის საერთაშორისო სამართალს და მსოფლიო სახელმწიფოს (ერთსაც და მეორესაც მარიტენი დიდი სიმპათიით ეკიდება). მეორე. სუვერენიტეტის საშინაო განზომილება, აბსოლუტური ძალა სახელმწიფოსი პოლიტიკური კორპუსის („სხეულის“) მიმართ იწვევს ცენტრალიზმს და არა პლურალიზმს. მესამე. სუვერენული სახელმწიფოს უზენაესი ძალა ეწინააღმდეგება ანგარიშვალდებულების დემოკრატიულ იდეას.

ვინაიდან მარიტენი კათოლიკე ფილოსოფოსია, მისი არგუმენტაცია მსგავსია ახალი დროის დამდეგის ევროპის ქრისტიანი ფილოსოფსების არგუმენტებისა, რომელნიც აკრიტიკებდნენ აბსოლუტურ სუვერენიტეტს. რაკი მოწმენი იყვნენ სახელმწიფოს, როგორც საშინელი ერთეულის, აღზევებისა, ისინი ცდილობდნენ საზღვარი დაედოთ მისი ძალისა და ძალაუფლებისათვის. ისინი იმათი წინაპარნი არიან, ვინც დღეს მოითხოვს საზღვრის დადებას სუვერენიტეტის ძალისა და ძალაუფლებათა სათვის ადამიანის უფლებათა სახელით, გენოციდის და სხვა უბედურებების აღკვეთის უფლების სახელით, — საერთაშორისო სისხლის სამართლისაგან და იმ ზეეროვნული ერთეულებისაგან დახმარების მიღების სახელით, რომელიც ძალას იძენს ეკონომიკური საქმეების სამართავად და ახლა, შესაძლოა, სამხედრო საქმეებისასაც.

სუვერენიტეტი

სიტყვა „სუვერენული“, როგორც დარგობრივი ცნება, იხმარება XIII საუკუნიდან საფრანგეთში და XIV საუკუნიდან ინგლისშიც. ვინც სუვერენულია, ის გადაწყვეტილებათა მიღების უკანასკნელი ინსტანციაა — მაგალითად, როგორც ბარონი, ან როგორც მეფის მოხელე, ან როგორც სასამართლო. მეფე სუვერენულია, კერძოდ, მოსამართლედაც, მაგრამ მხოლოდ იმ ზომით, რა ზომასაც მისი უფლებამოსილებები გასწვდება. ამ უკანასკნელებსაც ზოგჯერ „სუვერენიტეტებს“ უწოდებენ. XVI საუკუნეში ფრანგი იურისტი ბოდენი (Bodin) ამ ფრენგულ-ინგლისურ ცნებას ალათინურებს („suverenitas“) და ათანაბრებს (აიგივებს. რედ.) მას გვიანდელი რომის იმპერატორთა დროიდან ნაანდერძევ ცნებებთან „summum imperium“ („ზოგადი (საყოველთაო, სრული) ხელმწიფება“). „summa potestas“ („ზოგადი (ჯამური, სრული) შემძლებლობა“) და „magestas imperii“ („ხელმწიფების (ძალაუფლების, შეძლების) უზენაესობა“). თუ ამავდროულად სიტყვა „souverainete“ მონარხომახებთან (მონარქიასთან მებრძოლებთან) არასპეციფიკურად იხმარება, — სახელდობრ, აღნიშნავს იმპერატორების, მეფეების წოდებითს ბატონობითს უფლებმოსილებებს საერთოდ და ცალცალკე, ბოდენი თავის მთავარ ნაწარმოებში ამ სიტყვას ზუსტ ცნებად აქცევს. სუვერენიტეტი არის საჯარო ხელისუფლების ერთი ნაწილი, იგი განისაზღვრება, როგორც „აბსოლუტური და მუდმივი ძალაუფლება რესპუბლიკისა, რომელსაც ლათინები ეძახიან უდიდებულესობას“. ეს ძალაუფლება ალტერნატიულად (ანუ სხვა შემთხვევაში. რედ.) ეკუთვნის მის გარკვეულ „მფლობელს“ (მთავარს, არისტოკრატიას, ხალხს...) და მოიცავს, როგორც თავის უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას, საყოველთაო კანონმდებლობის ფუნქციას, რომლიდანაც გამოიყვანება სუვერენის სხვა ბატონობათა უფლებები: ომი და მშვიდობა, უმაღლესი თანამდებობის პირთა დანიშვნა-გადაყენება, გადაწყვეტილებები უმაღლეს მაგისტრატურათა მიერ გამოძიებულ-გამოკვლეულ ვითარებათა შესახებ, გამოსაღებთა დაკისრება და მოხსნა, შეწყალება; ფულის ფიზიკური საფუძვლის (mьnzfuss) დადგენა და ერთგულების ფიცის მოთხოვნა და ა.შ.). კანონმდებლობა, რომელიც ადრე, ფაქტობრივად, მხოლოდ წოდებებთან ერთად იყო შესაძლებელი, ცენტრალურ ადგილს იკავებს და ამით გვამცნობს თანამედროვე „სახელმწიფო“ კანონმდებლის გაჩენას. მკაფიოდ განსაზღვრულია, რომ ამიერიდან სუვერენმა სამოქალაქო კანონებიც უნდა ცვალოს და ახლის შემოღების უფლება უნდა ჰქონდეს. მისი ფუნქციების მიჯნაა მხოლოდ ძალიან ზოგადად და აღმსარებლობისათვის ანგარიშგაუწევლად განსაზღვრული „ღვთისა და ბუნების კანონები“ და სახელმწიფოს ფუნდამენტური „წყობისეული“ (კონსტიტუციური) კანონები. გადამწყვეტი ნახტომი თანამდროვეობისაკენ ამ კონცეფციაში კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მოხსნილია გაყოფა საეროსა („წარმავალსა“) და სპირიტუალურს შორის. („ამგვარად მღვდელი სასულიერო საქმეებში მთავარზე მაღლა დგას და, პირიქით, საერო საქმეებში მთავარი მაღლა დგას“ — ასეთი იყო მანამდე ლათინურად ფორმულირებული პრინციპი). ბოდენი ამ მატერიალურსა და ინსტიტუციონალურ დაყოფას უგულებელყოფს საერო ინსტანციის ფორმალური უმაღლესობის აღიარების სასარგებლოდ: „რადგან აბსოლუტურად სუვერენულია ის, რომელიც არვის ცნობს, ღმერთის შემდეგ, თავისზე უფრო დიდად“. ან: „ჩვენ ვამბობთ, რომ სუვერენული უფლებები მოუდის იმას, ვინც არავის ქვეშევრდომია ღმერთის გარდა“. „დროებითი“ (საერო) საკითხების დადგენის თემის გამოტოვება (ბოდენის მიერ. რედ.) ათავისუფლებს მას შუა საუკუნეებისათვის ტიპიური კონფლიქტის განხილვისაგან საერო და სასულიერო ინსტანციებს შორის და აფუძნებს სახელმწიფოს კომპეტენციას, რომ თვითონვე განსაზღვრავდეს, ერთპიროვნულად, თავისი კომპეტენციის წესებსა და საზღვრებს („კომპეტენციათა განსაზღვრის კომპეტენცია“), მაშასადამე, განსაზღვრავდეს იმასაც, რაც საერია, და იმასაც, რაც, როგორც „სასულიერო“, ეკლესიის კომპეტენციას ექვემდებარება. ამით წანამძღვრები ეცლება სახელმწიფოსა და ეკლესიის ძველ დუალიზმს, რაც მზადდებოდა (მწიფდებოდა) მას აქეთ, რაც რელიგიური ერთობა დასრულდა, რელიგიური სამოქალაქო ომები მოხდა და პოლიტიკური აზროვნება XVI და XVII საუკუნეებში თავისთავადი გახდა. თანამედროვე სახელმწიფოს განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა ამ „კომპეტენციათა დადგენის კომპეტენციის“ გარეშე, რომელიც საშინაო სუვერენიტეტის ბირთვია.

მესამე ნაბიჯი: სუვერენს უნდა შეეძლოს თავისი კომპეტენტურობის „ერთმხრივად“, „სხვისი“ თანხმობის გარეშე აღსრულება. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი სუვერენი არაა. ეს დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებისა მიმართულია გარეთკენ და შიგნითკენ. გარეთკენ იგი მიმართულია სამართლისისტორიული (სამართლის ისტორიისათვის ცნობილი. რედ.) ხელისუფლებითი ინსტანციების — პაპისა და იმპერატორის — წინააღმდეგ, აგრეთვე ტრადიციულად შემორჩენილი დამცველობითი, ხარკის აღებითი და ვასალური ურთიერთმიმართების წინააღმდეგ, რომლებიც XVII საუკუნეში არსებობდა სახელმწიფოებს შორის. საგარეო სუვერენიტეტი ნიშნავს ბრძანების დამოუკიდებლობას: „ვინც იმპერატორისაგან, პაპისაგან ან რომელიმე მეფისაგან მითითებებს იღებს, იგი მოკლებულია უზენაეს ხელისუფლებას“. ვითარების დასახასიათებლად გადამწყვეტია უფლებრივი მიმართებები. დამოუკიდებლობა არ ნიშნავს სამართლებრივ მოვალეობათა უქონლობას, რადგან ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები „ღვთისა და ბუნების კანონებისა“, რომელთა რიცხვს, პირველ ყოვლისა, ფიცის ერთგულება მიეუთვნება, ერთმანეთზე აბამენ სახელმწიფოებრივ სუვერენებს (სუვერენულ სახელმწიფოებს. რედ.) ისევე, როგორც შიგნითკენ მიმართული ბატონობა იძულებულია ამ პრინციპებს ანგარიში გაუწიოს. „შინაგანი“ სუვერენიტეტი მიმართული იყო მართვაში სამღვდელოების, თავადაზნაურობისა და ქალაქის მოქალაქეთა (წოდებათა) თანამონაწილეობის წინააღმდეგ. გვიანი შუასაუკუნეებისდროინდელი კონცეფცია „წოდებათა სახელმწიფოს“ იდეაში ნაგულისხმევი ჰარმონიისა ერთის მხრივ მთავრის ინტერესთა და მეორეს მხრივ „ქვეყნის უდიდესთა და საუკეთესოთა“ (maiores at meliores terrae) ინტერესთა შორის ამ დროისათვის დიდად ჩამომდნარი იყო მზარდი სოციალური დიფერენციაციის წყალობით და XVI საუკუნეში უკვე აღმსარებლობითი სხვადასხვაობის მსხვერპლად იყო გამხდარი. წოდებათა შესაძლებლობების დაყვანამ „რჩევისა და შემწეობის“ მიცემაზე ისინი გამოთიშა საკუთრივ სახელმწიფოს ნების ფორმირების პროცესიდან და, ფაქტობრივად, საზოგადოების ნაწილად ყოფნის სტატუსამდე ჩამოაქვეითა. წოდებათა თანხმობის (კონსენსუსის) პოზიციის მნიშვნელობისა და მათი ვეტოს უფლების უარყოფამ მთავრისეულ აბსოლუტიზმს თეორიული გამართლება მიანიჭა, მაგრამ, ამავე დროს, იმაზე იზრუნა, რომ ბატონობის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ აპარატს მომავალში ლეგიტიმაციის მხოლოდ ერთი საფუძველი დარჩენოდა და თავისი სამოქმედო პროგრამები თვითონ განესაზღვრა. მის წყალობით იყო, რომ 200 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა, რომ სუვერენიტეტის ცნება დემოკრატიულ დოქტრინას გაუჭირვებლად შეეტანა თავის შინაარსში.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სუვერენიტეტი

HISTORISCHES WÖRTERBUCH DER PHILOSOPHIE

UNTER MITWIRKUNG VON MEHR ALS 1200 FACHGELEHRTEN

IN VERBINDUNG MIT
GÜNTHER BIEN, TILMAN BORSCHE, ULRICH DIERSE, GOTTFRIED GABRIEL
WILHELM GOERDT, OSKAR GRAEFE, WOLFGANG HÜBENER
ANTON HÜGLI, FRIEDRICH KAMBARTEL, FRIEDRICH KAULBACH†
THEO KOBUSCH, RALF KONERSMANN, HERMANN LÜBBE, ODO MARQUARD
REINHART MAURER, FRIEDRICH NIEWÖHNER, LUDGER OEING-HANHOFF†
WILLI OELMÜLLER, THOMAS RENTSCH, KURT RÖTTGERS
ECKART SCHEERER, HEINRICH SCHEPERS, GUNTER SCHOLTZ
ROBERT SPAEMANN, PETER STEMMER

HERAUSGEGEBEN VON

JOACHIM RITTER† UND KARLFRIED GRÜNDER

VÖLLIG NEUBEARBEITETE AUSGABE
DES ‹WÖRTERBUCHS DER PHILOSOPHISCHEN BEGRIFFE›
VON RUDOLF EISLER

BAND 9: Se–Sp

2. სუვერენიტეტის მოძღვრების ცალკეული ელემენტების შემუშავებას ჯერ კიდევ რომის სამართალში და საშუალო და გვიანი შუასაუკუნეების კურიალისტურსა და ლეგისტურ თეორიებში ვხედავთ. თეორიულად გადამწყვეტი მნიშვნელობის ნაბიჯი, რომელმაც ამ მხრივ ყველა „წინამორბედებს" გაუსწრო, იყო ყველა ამ ელემენტთა კომბინაცია და შემდგომი განვითარება პირწმინდად საერო მოძღვრებად სახელმწიფოს შესახებ, რომელმაც (ამ მოძღვრებამ) არსებული ევროპული საკონსტიტუციო სამართალი, წარსულისა და აწმყო ვითარების კომბინაციით, სისტემად ჩამოაყალიბა (რაც მეთოდური სიახლე იყო) და თეორიული სპეკულაცია მსოფლიოისტორიულ დასაბუთებასთან შეაერთა. თანამედროვეები მაშინვე მიხვდნენ ამ ცნების მნიშვნელობას. იგი, მართალია, მხოლოდ თავისი პროგრამით (და არა რეალური ზემოქმედებით, რედ.) აღასრულებდა, მაგრამ მაინც აღასრულებდა ახალი დროის მოთხოვნებს. ეს სქელტანიანი ნაწარმოები მრავალ ენაზე და მრავალი გამოცემის სახით ევროპას მოედო.

სუვერენიტეტის ცნება ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში გავრცელდა 1648 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებათა დადების (ვესტფალიის ზავი. რედ.) შემდეგ და მას აქეთ განუყრელად უკავშირდება დამოუკიდებლობას გარეთკენ და „სრულ შემძლებლობას" (summa potestas) შიგნითკენ. ფილოსოფიურად „სუვერენიტეტის" ცნებამ ყველაზე მეტად ჰობსის „ლევიათანში" (1651) გაიხარა. ჰობსი ბოდენისაგან სესხულობს „შერეული" სახელმწიფოებრივი ფორმების უარყოფასაც, მასავით, მოაზრებულ სისტემას წმენდს სუვერენული ხელისუფლების ყოველგვარი შეზღუდვებისაგან მოქმედი სამართლის მიერ, რომელზეც იურისტი ბოდენი ხელს ვერ აიღებდა (უგულებელსაყოფად ვერ გაიმეტებდა) და სუვერენული ბატონობის მოუგერებლობას იმით ზრდის ხარისხობრივად, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთხელშეკრულების ისეთ კონსტრუქციას აგებს (იაზრებს), რომლითაც სუვერენს თავისთავზე აღებული აქვს ყოველივე ინდივიდუალური ძალა და ამით დაუძლეველ (გადაულახავ) „სუვერენულ ძალას" ქმნის. ეს თეორიაც სამოქალაქო ომის ნაყოფი იყო, მაგრამ არა ლეგიტიმისტური აზროვნებით მიღებული.

3. სუვერენიტეტის შესახებ მოძღვრება განვითარებას განაგრძობს სამი პუნქტის სახით. **პირველი**. ბოდენისა და ჰობსის მიერ აღიარებული შეუძლებლობა სახელმწიფოების „შერეული" ფორმებისა განვლილი კონსტიტუციური კამათების შემდეგ (რისაც ორსავე მოაზროვნეს ეშინოდა) ბრიტანეთის სახელმწიფო პრაქტიკაში გადაილახა იმით (გარეგნულად), რომ შემოვიდა ფორმულირება „King in the Parliament" („მეფე პარლამენტში" პარლამენტის ძალით): „ყველა სახელმწიფოში არსებობს აბსოლუტური უზენაესი ძალა, რომელსაც ეკუთვნის კანონმდებლობის ძალაუფლებაც და რომლითაც, მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციით, აღჭურვილნი არიან მეფე, ლორდები და თემები. კონტინენტზე „შერეული" სახელმწიფოებრივი ფორმების იდეა გადის ჰუგო გროციუსის ავტორიტეტის წყალობით. XVIII საუკუნის სახელმწიფოს თეორიაში, რომელიც დამყარებულია ბუნებითი სამართლის იდეაზე, ჯერ კიდევ ჰობსთან და პუფენდორფთან არც თუ იშვიათად განმეორებულ კონსტიტუციურ ჩამონათვალს, თუ კერძოდ რა კომპეტენციები მოუდის სუვერენს, ენაცვლება ერთადერთი, ყოვლისმომცველი სრული ძალის წარმოდგენა, რომელიც ერთი და იგივეა ყველა სახელმწიფოში და რომელსაც ეწოდება „potestas civilis" (სამოქალაქო შესაძლებლობა, ძალაუფლება), „სახელმწიფოებრივი ბატონობა", „საჯარო ხელისუფლება". მისი სპეციფიკური მახასიათებელი თვისებაა „summum imperium" (სრული ძალაუფლება), „majestas" (უდიდებულესობა), „suverenite" (სუვერენიტეტი), „უზენაესი ძალა" ან „უმაღლესი ძალა", რომელიც მხოლოდ მონარქიაში ხორციელდება, აღწერითი ფორმით, მთავრის ცალკეული უფლებამოსილებების ჩამოთვლის გზით. სახელმწიფოს ბუნებითსამართლისეული თეორიის მიხედვით უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლება წარმოდგენილია არა კონკრეტული ბატონობითი უფლებამოსილებების („რეგალიების") ჩამონათვალის სახით (რომლებიც ყველა ცალკეულ შემთხვევაში სათითაოდ ჩამოთვლილ უნდა იყვნენ), როგორც ამას ვხედავდით გერმანული ტერიტორიების „ქვეყნის უმაღლესობის" და გერმანელი კაიზერის შემთხვევაში, არამედ იგი (ეს უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლება) არის „უფლება საკუთარი მოწონებისამებრ (ამ ტერიტორიის) მოწყობისა, როგორც და რა სახითაც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი სიკეთე, აგრეთვე იმ საშუალებათა არჩევისა, რომლითაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო განზრახვა, რასაც განსაზღვრავს და აწესრიგებს მხოლოდ თვით მოცემული სახელმწიფოს წყობა (კონსტიტუცია): თუ XVII საუკუნის აბსოლუტისტურ საფრანგეთში მხოლოდ სუვერენული მონარქიაა მიჩნეული „სრულყოფილ სუვერენიტეტად", საიდანაც რიშელიეს გამოჰყავს არამონარქიულ სახელმწიფოებში ამ მონარქიის ინტერვენციის (ჩარევის) უფლება, ჰობსის „ბუნებით სამართალზე" აგებული კონცეფცია სახელმწიფო ხელშეკრულებისა (ხელშეკრულებისმიერი სახელმწიფოებრიობისა. რედ.) ამ მიმართულებას უკუღმა ატრიალებს: მისთვის სუვერენული სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი არის და ასეთად რჩება ამ ხელშეკრულების პარტნერი (ანუ ხალხი. რედ.). თუ პუფენდორფს აქედან გამოჰყავდა მხოლოდ ერთი დასკვნა — წინააღმდეგობის უფლება, ლოკი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს იყენებს იმისათვის, რომ რევოლუცია გაამართლოს, რადგან „უზენაესი ძალაუფლება ხალხის მიერ დელეგირებული ძალაუფლებაა... იგი ნებისმიერი (ნებისეული) ძალაუფლებაა, ნდობით მიღებული ძალაუფლებაა". გასცდა რა კონკრეტულ საბაბად გამოყენებას იაკობ II-ის გადაყენებისათვის ინგლისში (1688), ლოკის ეს მთავარი დებულება, თუმცა კი ვერ იმუშავა ინგლისში, გადაეცა ამერიკის კონსტიტუციის მამებს (ჯეფერსონი, მედისონი). ისინი ავითარებენ ლოკისეულ „ნდობელობის" კონცეფციას „ხალხის სუვერენიტეტის" ცნებად, რომელსაც პირველად აფიქსირებენ ამერიკული კონსტიტუციის პირველი მონახაზები 1776 წელს: „მაქსიმაა, რომ ყველა მთავრობაში სამართლებრივად უნდა არსებობდეს, სადღაც, უზენაესი, სუვერენული, აბსოლუტური და არაკონტროლირებადი ძალაუფლება (Power). მაგრამ ეს ძალაუფლება ყოველთვის ხალხის კრებულშია (კორპუსში, „სხეულში")". ვირჯინიის „უფლებათა ბილი" (1776) იწყება ფრაზით: „უფლებათა გაცხადება ვირჯინიის კარგი ხალხის მიერ, რომელიც კეთდება მისი სუვერენული ძალაუფლების განხორციელების პროცესში, რომელი უფლებებიც მას და მის შთამომავლობას ეკუთვნის, როგორც ბაზისი უფლებებისა". (ფრანგული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციისა" 1789), მუხლი 3 დასკვნითი პუნქტია: „ყოველივე სუვერენიტეტის საწყისი („პრინციპი") არსებითად ერში (ნაციაში) დევს". რუსოს „საზოგადოებრივმა ხელისუფლებამ" მეტი წვლილი შეიტანა რევოლუციურ სულისკვეთებაში, ვიდრე განუსხვისებადად ხალხში მყოფი სუვერენიტეტის პრაქტიკული პრობლემის კონსტრუქციული დაუფლების საქმეში. სუვერენიტეტის გაიგივება „საერთო ნებასთან", რისი შექმნაც მდუმარე უმრავლესობასაც ძალუძს („გამოუთქმელი თანხმობა ნაგულისხმევია დუმილშიც." რუსო), იმას ნიშნავს, რომ აქ პირველ ყოვლისა განზრახულია უფლების ქმედითობის („ძალაში ყოფნის". რედ.) თეორიის აგება დღემდე გაბატონებულ აზრთან დაპირისპირებაში, რომ „კანონს ქმნის ძალაუფლება, არა ჭეშმარიტება". წარმომადგენლობის აკრძალვას („სუვერენულობა ვერ იქნება წარმოდგენილი იმავე მიზეზით, რომლითაც იგი ვერ იქნება გასხვისებული. იგი არსობრივად შედგება საერთო ნებისაგან, ნება კი ვერ წარმოიდგინება") შევყავართ ჩიხში, რადგან ამით, რუსოს მოძღვრების შესაბამისად, დემოკრატიის შესაძლებლობათა არეალი მხოლოდ მცირე სახელმწიფოებით შემოიფარგლება.

4. XIX საუკუნის დამდეგისათვის სუვერენული ბატონობის ძალაუფლებით აღჭურვილი სახელმწიფოს იდეა ისეა გაბატონებული ფილოსოფიურ აზროვნებაშიც, რომ ძველი გერმანული იმპერიის განსხვავებული წყობა „გაუგებარი გამხდარა". აქ უკვე საკითხი ეხება არა სუვერენიტეტს საერთოდ (გარეთკენ და შიგნითკენ სუვერენიტეტის გასხვავება აქ ჯეროვნად კეთდება), არამედ ცენტრალური საკითხია თვით სახელმწიფოს ცნება (ფიხტეთი, ჰეგელი, შელინგი — მისი „ორგანიზმი") და სამართლის მეცნიერებაში — საშინაო სუვერენიტეტის ლოკალიზცია კონსტიტუციური მონარქიის სისტემაში, რომელსაც (ამ სუვერენობას) „ვენის დასკვნითი აქტების" (1820) მუხლი 57, მიუხედავად ლანდების წოდებათა აუცილებელი თანამშრომლობისა კანონმდებლობისა და მართვის სისტემის დადგენის საქმეში, მაინც სახელმწიფოს მეთაური მთავრის ხელში ტოვებს. პირველად 1837 წელს კ. ალბრეხტის მიერ მოხსენიებული, ხოლო 1865 წლის აქეთ საყოველთაოდ გაზიარებული გადაჭრა ამ ამოცანისა სუვერენიტეტს ათავსებს სახელმწიფოში, როგორც იურიდიულ პირში: მთავარი და ხალხის წარმომადგენლობა მხოლოდ „ორგანოები" არიან, რომელთაც კანონის მიერ დადგენილი თავ-თავისი კომპეტენციები მოუდით.

ფედერალური (Bundesstaatlich) კონსტიტუცია 1871 წლისა გერმანიის იმპერიაში სუვერენიტეტის იმპარიასა და ლანდებს შორის განაწილების საკითხს აყენებს. განსაკუთრებით გიელინეკის მიერ ფორმულირებული გაბატონებული აზრი ისაა, რომ სუვერენიტეტი განუყოფადია. იგი სუვერენიტეტს იმპერიას (რაიხს) აკუთვნებს, მაგრამ იმ მიზნით, რომ ლანდებს სახელმწიფოებრივი ხასიათი შეუნარჩუნოს, სუვერენიტეტს აცხადებს სახელმწიფო ხელისუფლების „არამიუცილებელ თვისებად", რაც სპეციფიკურად გერმანული გზაა: იგი გამოსადეგია მხოლოდ მოძღრებისათვის ფედერალური სახელმწიფოს (Bundestaat) შესახებ. მაგრამ მას არ შეუძენია მნიშვნელობა სახელმწიფოს თეორიისათვის საერთოდ. იმის სამართლისფილოსოფიურმა მცდელობებმა, რომ სუვერენიტეტი, როგორც სამართლებრივი წყობის (სამართლებრივი წესრიგის, თვისება, ზედმეტად გამეცხადებინათ, ან იგი ასეთად ჩაეთვალათ სახელმწიფოსა და სამართლის გაიგივებისა და, ამგვარად, მასზე მაღლა საერთაშორისო სამართლის დაყენების გზით („სუვერენიტეტის ცნება რადიკალურად უნდა განიდევნოს". ჰ.კელზენი) თეორიულადაც უსაფუძვლო აღმოჩნდა. სახელმწიფოსა და ნორმატიულად გაგებული სამართლებრივი წყობის კელზენისეული გაიგივების წინააღმდეგ კამათით და თანადროული ისტორიული გამოცდილების დამოწმებით, როდესაც გერმანიის იმპერიის პრეზიდენტ ებერტის დიქტატორული ნაბიჯი იქნა გამოყენებული რევოლუციური არეულობის პირობებში, შმიტი ცდილობს „საშინაო" სუვერენიტეტი მოიაზროს „გამონაკლისი მდგომარეობის" მხრიდან, ანუ იმ შესაძლებლობის მხრიდან ხედვით, რომ შეჩერებულია აღმასრულებელი ხელისუფლების შემზღუდავი სამართლებრივი ნორმების მოქმედება. მხოლოდ სამართლისა და უფლების (Recht) მისეული დეციზიონისტური გაგებიდან გამომდინარე, — ან გაგებიდან, რომელიც ყოველგვარ სამართლებრივ წყობას განიხილავს, როგორც გადაწყვეტილების შედეგს და არა უფლებათა ნორმატულად განპირობებული დადგენილებისას — არის შესაძლებელი ამგვარი ნორმა, რომელიც, მისი აზრით, „მართებულად გაითვალისწინებს სუვერენიტეტის ცნებას, როგორც ზღვრულ ცნებას": „სუვერენი არის ის, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს გამონაკლისი მდგომარეობის თაობაზე".

5. გერმანიის საკონსტიტუციო სამართალში გადატანილია 1919 წლის და 1949 წლის სახალხო სუვერენიტეტი „(ყოველივე) სახელმწიფო ძალაუფლება ხალხიდან მომდინარეობს". (რაიხის კონსტიტუცია, მუხლი 1, ძირითადი კანონი, მუხლი 20). გაერომ ეს პრინციპი თავში დაუყენა „საერთაშორისო პაქტს მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ" (1966). „ყველა ხალხს აქვს თვითგანსაზღვრის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად წყვეტენ თავის პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად აყალიბებენ თავის სამეურნეო, სოციალურსა და კულტურულ განვითარებას". სახალხო სუვერენიტეტი სამართლებრივად კონსტრუირებადია მხოლოდ იმ საშუალებით, რომ განვასხვავოთ, ერთის მხრივ, სუვერენული, საკუთარი პოლიტიკური სტატუსის, ანუ თავისი კონსტიტუციის შესახებ თავისი „Pouvoir constituent"-ით („დამფუძნებელი ძალით") თავისუფალი გადაწყვეტილების მიმღები ხალხი (ერი, ნაცია) და, მეორე მხრივ, „სახელმწიფოს ხალხი", რომელიც არჩევნებსა და რეფერენდუმებში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოებში, როგორც pouvois constitue (დაფუძნებული ძალაუფლება), თავის სახელმწიფო ძალაუფლებას ახორციელებს და კონსტიტუციური წესრიგის შიგნით რჩება. პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო არ არიან სუვერენულნი, მაგრამ „trusteeship"-ში (ნდობითს მიმართებაში) სუვერენულ, სახელდობრ, ცალმხრივად დამავალდებულებელ სახელმწიფო ძალაუფლებას ახორციელებენ.

6. XX საუკუნის საერთაშორისო სამართალში საგარეო და საშინაო სუვერენიტეტი არის აუცილებელი პირობა, რომ ესა თუ ის ერთეული (ერთობლიობა) აღიარებული იქნას სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტად, აგრეთვე პირობა მილებისა საერთაშორისო ორგანიზაციებში: გაერო ემყარება. „ყველა მის წევრთა სუვერენულ თანასწორობას" (მუხლი 2, აბზ.1). ხელშეკრულება „2+4" (1990) ადგენს, რომ „გაერთიანებულ გერმანიას აქვს, შესაბამისად, სუვერენიტეტი თავის საშინაო და საგარეო საკითხებზე". საგარეო სუვერენიტეტი არ გამორიცხავს ბმულობას საერთაშორისო სამართალზე და მისეულ ხელშეკრულებებზე. იგი დამყარებულია ხალხის სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ იგი, როგორც ამას აღნიშნავდა ბოდენი, წანამძღვრად გულისხმობს ბრძანების თავისუფლებას და სხვა სახელმწიფოთა მხრიდან მის წინააღმდეგ ჩარევის აკრძალვას. აღმოსავლეთი ბლოკის სახელმწიფოებს მოსკოვის მიმართ მხოლოდ მოჩვენებითი სუვერენიტეტი ჰქონდათ, რაც გამოჩნდა გერმანიაში (1953) და ჩეხოსლოვაკიაში (1968), როცა წითელმა არმიამ ჩაახშო სუვერენიტეტის მოპოვების მცდელობა არა მხოლოდ ხალხის მხრიდან, არამედ სახელმწიფო ორგანოთა მხრიდანაც. 1968 წელს ბრეჟნევის მიერ გაცხადებული მოძღვრება აღმოსავლეთის ბლოკის სახელმწიფოთა „შეზღუდული სუვერენიტეტის" შესახებ იყო პრეტენზიის გაცხადება ინტერვენციის უფლებაზე სისტემისათვის საშიშროების გაჩენის შემთხვევაში.

სკეპსისი და პოლემიკა სახელმწიფო სუვერენიტეტის წინააღმდეგ XX საუკუნის მეორე ნახევარში ოპერირებს „მსოფლიო საზოგადოებისა" და „ჰუმანისტური ინტერვენციის" აუცილებლობის ცნებით. ასეთი თეზისები ემსახურება მხოლოდ დიდ ძალთა და მსოფლიო ძალთა სახელმწიფო პრაქტიკას, რათა მათი ინტერესების გატარებას მომცრო სახელმწიფოებთან მიმართებაში სამართლებრივად ხელს არ უშლიდეს ამ უკანასკნეთა სუვერენიტეტი. ამიტომ „სუვერენიტეტი" დღესაც იურიდიულად საკვანძო სიტყვად რჩება ამა თუ იმ ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსანიშნავად როგორც გარეთკენ, ისე შიგნითკენ. მას შემდეგ, რაც 1988 წლის 16 ნოემბერს პირველად მოხდა, რომ ეთნიკური მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (ესტონეთისამ) „ესტონეთის სუვერენიტეტი" მოითხოვა, 1991 წლამდე, სუვერენიტეტი მთელ საბჭოთა იმპერიაში ბერკეტი იყო საბჭოთა ბატონობისაგან განსათავისუფლებელად და საბჭოთა კავშირის დასაშლელად.

რედაქციისაგან. როგორც ვხედავთ, „სუვერენიტეტის" ცნება დღესაც, ისევე როგორც საუკუნეთა მანძილზე, უცვლელი ყოფილა: **სუვერენიტეტი არის დამოუკიდებლობა გარეთკენ და უზენაესობა თავისი ტერიტორიის შიგნით.** ის, ვინც სუვერენულია, დამოუკიდებელია. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რომ პირწმინდად მოკლებული არ იყოს სამართლებრივ აზროვნებას, მას ისიც ეცოდინებოდა, რომ სუვერენიტეტის, როგორც რეალური მოვლენის, დღეს ორი მიმართულებით კვეცა (რეალური კვეცა, და არა მისი იურიდიული შინაარსის ცვლა!) ეხება მხოლოდ ორ სფეროს. **პირველი.** სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი, სახელდობრ, ევროპელები, რომელთაც თავისი ევროპელობა ძალიან უღირთ, აერთიანებენ თავის ძალისხმევათ და თავის უფლებამოსილებებს ევროპის გარე ძალებთან ურთიერთობაში თავისი ქმედუნარიანობის გაზრდის მიზნით. ეს არ ნიშნავს, რომ იგივე მოხდება — ან შეიძლება მოხდეს, ან, მით უმეტეს, უნდა მოხდეს სხვაგან. (არც მოხდება, რადგან დღესდღეობით მსოფლიოში არავინაა სხვა, რომ თავისი კონტინენტის ნაწილად ყოფნა ისე უღირდეს და ისეთ რეალურ უპირატესობებს აძლევდეს, როგორც ევროპელებს ევროპელობა აძლევთ). **მეორე.** სუვერენიტეტები იკვეცება იმ მხრივ, რომ რაგინდარა ძლიერ სახელმწიფოს ეკრძალება, მის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო კონვენციების ძალით, მთელი რიგი არადემოკრატიული და არაჰუმანური ქმედებების განხორციელება, რომელთა ჩამონათვალი განუხრელად იზრდება. შესაბამისად, ეს სიახლე ზღუდავს (ზღუდავს მხოლოდ ცუდ საქმეებში, და არა კარგში, როგორიცაა საკუთარი სახელმწიფოს განმტკიცება) მხოლოდ იმ ერებს, რომელთაც თავისი სახელმწიფო აქვთ და მასში უმრავლესობა არიან, მაგრამ არა ეროვნულ უმცირესობებს, რომლებსაც სუვერენიტეტი უნდათ და მის მოსაპოვებლად მოქმედებენ. **ასე რომ აფხაზეთის (ისიც — აფხაზეთის, როგორც მხოლოდ აფსუა („აფხაზი") ხალხის ქვეყნის, რაც ზემოხსენებულ დოკუმენტებში ლაიტმოტივია) მოხსენიება „სუვერენულ" ერთეულად ცალსახად ნიშნავს მისი საქართველოსაგან გამოყოფის, როგორც იურიდიული ფაქტის, აღიარებას.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია დადგენილია, რომ, განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნისაგან, ისტორიული საქართველოს ტერიტორია წარმოიქმნა არა მეზობელ ქვეყანათა მიწაწყლის თანდათანობითი დაპყრობის გზით, ანუ პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად, არამედ შინაგანი იმანენტური განვითარების საფუძველზე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გეოგრაფიული არეალის ფიზიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებს, სადაც მიმდინარეობდა იგი საუკუნეთა მანძილზე და რომელთაც, საბოლოო ჯამში, განაპირობეს საქართველოს ტერიტორიის, როგორც ერთიანი სისტემის, კონტურებიც და შინაგანი სტრუქტურაც.

ფრიად საინტერესოა, რომ, ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით, პირველი ქართველი მეფის, ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოში დასავლეთი საქართველოც შემოდიოდა.

ზემოხსენებულის შედეგად უნდა დავასკვნათ: ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია არ იყო მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე, შემთხვევით მოქცეული გარკვეული პოლიტიკური ნების გავლენის არეალში. პირუკუ, ეს იყო იმანენტური სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული მრავალსაუკუნოვანი განვითარების კანონზომიერი პოლიტიკური გამოვლინება მოცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიალურ-ეკონომიკური ერთიანობა ერთ-ერთ ფუნდამენტურ მახასიათებელია მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება. ამიტომ ბუნებრივია, თუ, ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, პირველმა ქართველმა მეფემ მას შემდეგ, რაც მთელი საქართველო გააერთიანა, სათანადო რეფორმაც განახორციელა.

ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ფარნავაზმა მთელი სამეფო ცხრა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყო, რომლებიც სპასპეტს და ერისთავებს დაუმორჩილა.

ეს დიდი საერისთავოები შემდგომი საზოგადოებრივი განვითარების, კერძოდ კი — ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი გაბატონების შედეგად მცირე ერთეულებად ანუ იმავე „ხევებად“ იშლებიან.

საბოლოო ჯამში, საზოგადოების ფეოდალიზაციის ეს პროცესი იმით დამთავრდა, რომ VIII ს-ის შუახნისათვის, როგორც ნიშანდობლივ მიგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა“. ეს დიდ ერისთავთა მემკვიდრე გამრავლებული მთავრები იგივე ძველი „ხევისთავები“ თუ „ხევისუფალნი“ იყვნენ, რომელნიც ახლა უკვე მეფის მოხელეები კი აღარ არიან, არამედ დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალები, ციხესიმაგრის მფლობელი „მთავრები“.

შემდგომი საზოგადოებრივი განვითარება იწვევს ამ ცალკეულ წვრილ „სამთავრო ქვეყანათა“ ლოკალურ ხელახალ კონსოლიდაციას უფრო მსხვილ ერთეულებად უკვე ფეოდალურ საფუძველზე. და, მართლაც, VII ს-ის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა: კახეთის სამთავრო, ჰერეთის სამეფო, „ქართველთა საკურაპალატო“ აღმოსავლეთ საქართველოში და „აფხაზთა სამეფო“ დასავლეთ საქართველოში.

ეს ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებიც ერთიან ორგანულ სისტემას.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება. ამიტომ ბუნებრივია, თუ, ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, პირველმა ქართველმა მეფემ მას შემდეგ, რაც მთელი საქართველო გააერთიანა, სათანადო რეფორმაც განახორციელა.

ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ფარნავაზმა მთელი სამეფო ცხრა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყო, რომლებიც სპასპეტს და ერისთავებს დაუმორჩილა.

ეს დიდი საერისთავოები შემდგომი საზოგადოებრივი განვითარების, კერძოდ კი — ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი გაბატონების შედეგად მცირე ერთეულებად ანუ იმავე „ხევებად“ იშლებიან.

საბოლოო ჯამში, საზოგადოების ფეოდალიზაციის ეს პროცესი იმით დამთავრდა, რომ VIII ს-ის შუახნისათვის, როგორც ნიშანდობლივ მიგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა“. ეს დიდ ერისთავთა მემკვიდრე გამრავლებული მთავრები იგივე ძველი „ხევისთავები“ თუ „ხევისუფალნი“ იყვნენ, რომელნიც ახლა უკვე მეფის მოხელეები კი აღარ არიან, არამედ დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალები, ციხესიმაგრის მფლობელი „მთავრები“.

შემდგომი საზოგადოებრივი განვითარება იწვევს ამ ცალკეულ წვრილ „სამთავრო ქვეყანათა“ ლოკალურ ხელახალ კონსოლიდაციას უფრო მსხვილ ერთეულებად უკვე ფეოდალურ საფუძველზე. და, მართლაც, VII ს-ის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა: კახეთის სამთავრო, ჰერეთის სამეფო, „ქართველთა საკურაპალატო“ აღმოსავლეთ საქართველოში და „აფხაზთა სამეფო“ დასავლეთ საქართველოში.

ეს ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებიც ერთიან ორგანულ სისტემას.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება. ამიტომ ბუნებრივია, თუ, ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, პირველმა ქართველმა მეფემ მას შემდეგ, რაც მთელი საქართველო გააერთიანა, სათანადო რეფორმაც განახორციელა.

ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ფარნავაზმა მთელი სამეფო ცხრა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყო, რომლებიც სპასპეტს და ერისთავებს დაუმორჩილა.

ეს დიდი საერისთავოები შემდგომი საზოგადოებრივი განვითარების, კერძოდ კი — ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი გაბატონების შედეგად მცირე ერთეულებად ანუ იმავე „ხევებად“ იშლებიან.

საბოლოო ჯამში, საზოგადოების ფეოდალიზაციის ეს პროცესი იმით დამთავრდა, რომ VIII ს-ის შუახნისათვის, როგორც ნიშანდობლივ მიგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა“. ეს დიდ ერისთავთა მემკვიდრე გამრავლებული მთავრები იგივე ძველი „ხევისთავები“ თუ „ხევისუფალნი“ იყვნენ, რომელნიც ახლა უკვე მეფის მოხელეები კი აღარ არიან, არამედ დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალები, ციხესიმაგრის მფლობელი „მთავრები“.

შემდგომი საზოგადოებრივი განვითარება იწვევს ამ ცალკეულ წვრილ „სამთავრო ქვეყანათა“ ლოკალურ ხელახალ კონსოლიდაციას უფრო მსხვილ ერთეულებად უკვე ფეოდალურ საფუძველზე. და, მართლაც, VII ს-ის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა: კახეთის სამთავრო, ჰერეთის სამეფო, „ქართველთა საკურაპალატო“ აღმოსავლეთ საქართველოში და „აფხაზთა სამეფო“ დასავლეთ საქართველოში.

ეს ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

აკად. ე. მუსხელიშვილი

შუა საუკუნეების საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურის ისტორიისათვის

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მომავალი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია მთისა და ბარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზონებად იყო დანაწილებული.

ფიზიკურ-გეოგრაფიული სპეციფიკა განსაზღვრავდა მოსახლეობის განსახლებისა და მეურნეობრივი საქმიანობის თავისებურებებსაც. მოსახლეობა ნაწილდებოდა მთიელებად და ბარელებად, შესაბამისად, მათი საქმიანობაც დიფერენცირებული იყო ბარულ და მთიურ მეურნეობად. ეს იწვევდა, ასე ვთქვათ, ეკოლოგიური წონასწორობის აუცილებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, მთისა და ბარის მოსახლეობისა და მათი განსახლების ტერიტორიათა შერწყმის ტენდენციით გამოიხატებოდა.

ამგვარად, ფაქტობრივად, ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ერთ ორგანულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც მკვეთრად იყო გამოყოფილი მეზობელი ანალოგიური რეგიონებისაგან.

აღმავალი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარების შედეგად პირველყოფილ-თემური საზოგადოებრივი ფორმაციის ინტენსიური დაშლის საფუძველზე, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ე.წ. „ხევების“ სისტემა. „ხევი“ არის უძველესი ქართული ტერიტორიულ-ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომელიც წარმოიქმნა ბარშიც და მთაშიც. ისინი „სოფლთა“ ერთობლიობას წარმოადგენდნენ და მათ „ხევისთავები“ თუ „ხევისუფალნი“ განაგებდნენ. შემდგომი ევოლუცია განუხრელად ინვევდა ამ „ხევთა“ შერწყმა-გაერთიანებას კიდევ უფრო დიდ „ხევებად“ თუ „ხეობებად“. დასასრულ — ამ უკანასკნელთა გაერთიანებას ერთ „ქვეყნად“, ერთ სახელმწიფოდ, რომლის საფუძველს, ამგვარად, პირველ რიგში, გარკვეული ტერიტორიის მთისა და ბარის მოსახლეობის საერთო ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ინტერესები შეადგენდა. ასე წარმოიქმნა ძვ. წ. IV ს-ში ქართლის სახელმწიფო.

ტისა და ბაგრატ III-ის ძალისხმევით ქვეყანა გაერთიანდა ერთიან ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიად — „საქართველოდ“.

ახალ ქვეყანას შესაბამისი ერთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შეესაბამებოდა.

მართლაც, იმდროინდელი დოკუმენტების მიხედვით გვაქვს საშუალება წარმოვიდგინოთ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების, შეიძლება ითქვას, სრული სურათი: ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია დაყოფილი იყო შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებად (ზემოდან ქვემოთ): საერისთავო-ერისთავო, საერისთავო, საციხისთავო და ხევი (სახევისუფლო). ეს იყო ერთიანი სისტემა.

ამავე დროს, XI-XII საუკუნეებში ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ჩნდება სიახლეც. კერძოდ, თუკი ძველად, კერძოდ, VIII-X საუკუნეებში ადმინისტრაციული ერთეულის (საერისთავოს, ხევის) განმსაზღვრელი ცენტრი, ფაქტობრივად, ფეოდალის ციხესიმაგრე — რეზიდენცია იყო და ამიტომაც მთელი ქვეყანა „საციხისთავო“ ერთეულებად იყო დანაწილებული, ახლა მათთან ერთად სოციალური განვითარების ახალი სტრუქტურული ელემენტი ჩნდება — ფეოდალური ქალაქი. XI-XII საუკუნეები, ცნობილია, სწორედ „ახალქალაქების“ წარმოქმნის ეპოქაა და, შესაბამისად, ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ჩნდება. ეს არის „ქალაქი და მიმდგომი მისი ქუეყანა“ ანუ ქალაქი და მისდამი ეკონომიკურად და ადმინისტრაციულად დამორჩილებული ტერიტორია, დასახლებული „ქალაქის პირის სოფლებით“.

ასეთი ვითარება — საქალაქო ცხოვრების აღმავლობა, შესაბამისი ქალაქების ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრად გადაქცევის ტენდენცია და, ეი., სავაჭრო-სახელოსნო სფეროს წარმომადგენლების, ე.წ. „მესამე წოდების“ ჩაბმა პოლიტიკურ ცხოვრებაში — ახალი ფორმაციული იმპულსების დასაწყისის მანიშნებელი რეალიები იყო, რომელთაც, სამწუხაროდ, განვითარება არ ეწერათ: ჯერ სელჩუკიანი თურქების, შემდეგ მონგოლთა შემოსევებმა და შემდგომი საუკუნეების პოლიტიკურმა სიტუაციამ შეაჩერა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური აღმავალი განვითარების პროცესი. პირუკუ, ქვეყანა სტაგნაციის და სოციალურ-ეკონომიკური რეგრესის გზას დაადგა.

შესაბამისი იყო საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ვითარებაც: ქალაქები და საქალაქო ცხოვრება აღარ განვითარებულა და ქვეყანას შერჩა ძველი „ხევთა“ და „საერისთავოთა“ სისტემა. ასე იყო XV ს-მდე, როდესაც ზემოხსენებული პროცესების გამო საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად.

სამეფო ხელისუფლება დასუსტდა. მეფის ძველი მოხელეები — ერისთავები, ხევისუფალ-ხევისთავები, რომლებიც ადრე მეფის მიერ ინიშნებოდნენ, ახლა ნახევრად დამოუკიდებელ თავადებად გადაიქცნენ და საკუთრივ დაიმკვიდრეს თავისი საგამგეო ტერიტორიები. ზოგი ერისთავი (ოდიშის, გურიის, აფხაზეთის, სამცხე-საათაბაგოს) მთავრებად გადაიქცნენ, რომლებიც მეფეებს საერთოდ აღარ ემორჩილებოდნენ.

საკუთრივ მეფის კუთვნილ მიწებს, მეფის დომენს მოურავები განაგებდნენ. ასე, მაგალითად, XVII ს-ის დასაწყისში ცნობილი გიორგი საკაძე („დიდი მოურავი“) იყო თბილისის, ცხინვალის (ეი.ლიახვის ხეობის) და დვალეთის მოურავი.

ზემოხსენებული სათავადოები და სამოურავოები ე.წ. „სადროშოებში“ იყო გაერთიანებული. სადროშოები სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები იყო, რომელთაც სარდლები ედგნენ სათავეში. სწორედ ამ სადროშოთა საფუძველზე შეიქმნა XIX ს-ში რუსული ადმინისტრაციული სამაზრო სისტემა საქართველოში.

გვიან საუკუნეებშიც ეროვნული ერთიანობის თვითშეგნება, რომელიც თუ უფრო ადრე არა, IX-X საუკუნეებში უკვე აშკარად იყო შემუშავებული და იმით გამოიხატებოდა, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითსახელი „ქართველი“ საერთო იყო საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლისათვის, იქნებოდა ეს ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, მეგრელი, სვანი, აფხაზი, ფხოველი, თუში, თუ სხვა. ეს ეროვნული თვითშეგნება პოლიტიკური დაშლილობის დროსაც არ გამქრალა. ძველი სახელმწიფოებრივი ერთიანობის მყარ სოციალურ და კულტურულ საფუძველზე მიუთითებს ის ნიშანდობლივი გარემოება, რომ გვიან საუკუნეებში ახლადწარმომქნილი პოლიტიკური ერთეულების ზედწოდებად „საქართველოები“ შემორჩა და ბრძოლა ყოფილი ერთიანობის აღსადგენად არასოდეს შეწყვეტილა. ამის ნათელი მოწმობაა XVI ს-ში ქართლის მეფეების, ლუარსაბისა და სიმონის ენერგიული მცდელობანი ამ მიზნის მისაღწევად. ამის ნათელი მოწმობაა ის ფაქტი, რომ როგორც კი ოდნავ ხელსაყრელი საგარეო პირობები იქმნებოდა, გაერთიანების ტენდენცია კვლავ მძლავრად იჩენდა თავს. ასე იყო XVII საუკუნეშიც, როდესაც ვახტანგ V-მ 60-იან წლებში დროებით შეძლო საქართველოს გაერთიანება, და XVIII ს-ის 80-იან წლებშიც, როდესაც დადგა საკითხი საქართველოს გაერთიანებისა ერეკლე II-ის თაოსნობით.

უაღრესად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ე.წ. „ტრახტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული... ქალაქსა ტფილისს 1790 წელსა“, რომელშიც ვკითხულობთ: „ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა, მახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი... აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა“.

ვფიქრობ, შესანიშნავი მოწმობაა იმისა, თუ აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის საზოგადოებამ იმ დიდი კულტურული ბრძოლისა და ეროვნული თვითშეგნების დუღილის დროს, რომელიც საქართველოში ადრეული შუა საუკუნეებიდანვე მომდინარეობდა და რომელსაც ნ. ბერძენიშვილი „ქართველობის დადგინების პროცესს“ უწოდებდა, როგორ გადახარშა თავის შიგნით ტომობრივი ფსიქოლოგიის რეაქციული ნაშთები.

ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის უდიდეს დამსახურებად მხოლოდ იმას არ თვლიდა, რომ მას „თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე განესხეს“, ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მტრის სამხედრო ბაზები საქართველოდან განუდევნია, არამედ იმასაც, რომ „თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთაესხნეს“ ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია და მოსახლეობა ერთიან ეროვნულ ორგანიზმად გადაუქცევია. ეს დავითის შეგნებული პოლიტიკა იყო.

ამგვარად, საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალური მიმართულება იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ყალიბდება ქართული სახელმწიფოებრიობა, ხოლო შემდეგ თვით ერთიანი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო, უძველესი დროიდანვე ხასიათდებოდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ინტეგრაციით. ეს იყო ბუნებრივი და ორგანული განვითარების გზა. ამიტომ არის, რომ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის კუთვნილი არც ერთი მეტრი მიწისა ქართველი ხალხის მიერ დაპყრობის შედეგად შეძენილი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაფრთხო კავკასია

ა.წ. 2-4 ნოემბერს იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ჯერ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ აფხაზეთის კანონიერი უზენაესი საბჭოს შენობის ოთახებში და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ოთახებში, დასასრულ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შედგა სამეცნიერო კონფერენცია აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის საკითხებზე. კონფერენციის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის კანონიერი უზენაესი საბჭო, საქართველოს საპატრიარქო, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მუშაობდა ოთხი სექცია. მოხსენებები ხასიათდებოდა მეცნიერული აქტუალობით და მაღალი აკადემიური დონით.

უკანასკნელი სხდომა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დარბაზში) მიეძღვნა კონფერენციის ორგანიზატორთა და მეურვეთა ანგარიშს და სექციათა მუშაობის შეჯამებას. სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

მსჯელობის დამთავრების შემდეგ კონფერენციის მესვეურებსა და დამსწრე საზოგადოებას მიჰმართა ქ-ნმა ადა მარშანიამ, სპეციალობით იურისტმა და საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის წევრმა. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კონფერენციის მონაწილეებიც და ფართო საზოგადოების გარკვეული ნაწილიც აფხაზი ხალხის აღსანიშნავად ხმარობენ ეთნონიმს „აფსუა“, რაც აფხაზურ ენაში ამ ხალხის ერთადერთი თვითდასახელებაა, და არა ეთნონიმს „აფხაზი“, და ხსენებული სიტყვათხმარება საწყენად მიიჩნია. მას შეეკამათნენ დამსწრენი, ხოლო შემდეგ სიტყვა აიღო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თ. გამყრელიძემ და სრული აპოდიქტურობით განაცხადა, რომ აღნიშნული მნიშვნელობით სიტყვის „აფსუა“ ხმარება უნდა შეწყდეს, რადგან ეს ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც, ვთქვათ, ქართულ ტექსტში სომხური თვითდასახელების „ჰაი“ ხმარება ნაცვლად ქართული ეთნონიმისა „სომეხი“ ან გერმანელის აღსანიშნავად გერმანული თვითდასახელების „დოიჩ“ ხმარება ნაცვლად ქართულ ენაში მიღებული ტერმინისა „გერმანელი“. მასაც შეეკამათნენ, მაგრამ სხდომა მთავრდებოდა და დისკუსია ამ თემაზე არ იქნა გაგრძელებული კონკრეტული შედეგის მიღწევამდე. მის თემასთან (რომელიც, უდავოა, არ მიიჩქმალება მისი დიდი აქტუალობის წყალობით) და მოყვანილ არგუმენტაციასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია „საქართველოს“ მკითხველებს მოვახსენო შემდეგი.

1. დღევანდელი აფხაზი ხალხის აღასანიშნავად ეთნონიმის „აფსუა“ ხმარება სავსებით მართებულია მეცნიერული თვალსაზრისით (ეს ეთნონიმი ამ ხალხის მიერ თავის დედაენაზე ხმარებული ერთადერთი ეთნონიმია საკუთარი თავის აღსანიშნავად) და ამავე დროს იგი სავსებით დაცულია აღრევისაგან მისი შინაარსის გაგებაში: ეს სიტყვა („აფსუა“) არსად, არც ერთ კონტექსტში და არც ერთ ენაში არ აღნიშნავს არავის სხვას, გარდა დღევანდელი აფხაზებისა, რომლებიც ცხოვრობენ (ძირითადად) აფხაზეთში კომპაქტურად და მცირე რაოდენობით (გაბნეულად) სხვაგან. იმაში, რომ დღევანდელ სომეხთა აღსანიშნავად ქართულ ტექსტში ვიხმაროთ სიტყვა „ჰაიები“ (სომხური თვითდასახელება) და გერმანელების აღსანიშნავად სიტყვა „დოიჩები“ (გერმანული თვითდასახელება) არაფერია შეუსაბამო. გააჩნია კონტექსტს. მაგალითად, თუ მინდა ვთქვა, რომ დღევანდელი სომხური, ჩვენი მეზობლების ენა შეიცავს ქართველურ სუბსტრატს (ასეთი თეორია არსებობს), მე შემიძლია ხაზი გავუსვა, რომ ეს შეეხება „აი, ამ სომხების, ჰაიების ენას“ და არა, ვთქვათ, მათი შორეული წინაპრებისას, რომლებიც ქართველურ ენობრივ სამყაროსთან კონტაქტში არ ყოფილან, ხოლო თუ მინდა ვისმე ავუხსნა, რომ „გერმანი“ და „გერმანელი“ ერთი და იგივე არაა, შემიძლია ვუთხრა „გერმანები არიან ჰოლანდიელებიც, ნორვეგიელებიც, ინგლისელებიც და ა.შ., ესენი არიან ინდოევროპელ ხალხთა ერთი ცალკე შტო, გერმანელები კი არიან მხოლოდ დღევანდელი გერმანელები, დოიჩები, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ ამა და ამ მერიდიანებსა და ამა და ამ პარალელებს შორის“.

2. დღევანდელი აფხაზი ხალხის აღსანიშნავად სიტყვა „აფხაზის“ გამოყენება შეიცავს აღრევის შესაძლებლობას და, ამდენად, მეცნიერულად ხარვეზიანია. „აფხაზი“ ჰქვია დასავლეთ საქართველოს მთლიანად IX-XII საუკუნეებში (და, ამდენად, სპარსი პოეტის ტროპი, ვისის თვალებს „მშვილდოსნობა აფხაზთაგან ესწავლაო“, არ არის იმის უდავო საბუთი, რომ იგი აქ დღევანდელი აფხაზების — „აფსუების“ — წინაპრებს გულისხმობს. რუსულ ტექსტებში აუარებელია მსჯელობა „ობეზებზე“ (აფხაზებზე), მაგრამ არანაირი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ ეს გამონათქვამები აფსუების წინაპრებს მივუსადაგოთ. არის კონტექსტები, სადაც ტერმინთან დაკავშირებული ეს აღრევა ისტორიოგრაფიულ შეცდომას ბადებს. სახელდობრ, ტერმინების „აფხაზი“ და „აფსუა“ ვერგარჩევა (მათი უკომენტარო ურთიერთგაიგივება) შობს უსაფუძვლო დასკვნას, რომ იმ დოკუმენტურად დადასტურებულ ისტორიულ სიტუაციებში, სადაც „აფხაზები“ ფიგურირებენ, ლაპარაკია დღევანდელ აფხაზ (აფსუა) ხალხზე. ვინ იყვნენ ეთნიკურად წყაროებში მოფიგურე „აფხაზები“, მეცნიერებამ დაბეჯითებით არ იცის. თანამედროვე აფხაზების (აფსუების) უკომენტარო აღნიშვნა ეთნონიმით „აფხაზი“ ქმნის ყალბ აზრს (შთაბეჭდლებას), თითქოს მეცნიერებამ ეს იცის და ამ ცოდნის შინაარსი თითქოს ისაა, რომ ისინი დღევანდელი აფხაზების (აფსუების) წინაპრები იყვნენ. ამ უსაფუძვლო დასკვნიდან გამომდინარეობს შემდგომი, სავსებით ბუნებრივი დასკვნა: თუ ისტორიულად ცნობილი „აფხაზები“ და დღეს ცნობილი „აფხაზები“ (აფსუები) ერთი და იგივე არიან, ანუ თუ ამ ტერიტორიას „აფხაზეთი“ ჰქვია იმიტომ, რომ იგი აფხაზების (აფსუების) ქვეყანაა (და არა პირიქით: აფსუებს „აფხაზები“ ჰქვიათ იმიტომ, რომ „აფხაზეთად“ წოდებულ ტერიტორიაზე ჩამოსახლდნენ), მაშინ სავსებით ბუნებრივი ყოფილა, რომ აფხაზეთი ამათ ქვეყნად ჩაითვალოს და ამ ტერიტორიის, როგორც მთელის, ნება მისი აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნების იდენტური იყოს, როგორც მისი (ერთადერთი) ავტოხთონი ხალხისა (მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე მოცემული ხალხების ავტოხთონურობის ფაქტორს ოფიციალურად ყურადღება არ ექცევა, რის შედეგადაც, მაგალითად, კოსოვოში ალბანურ უმრავლესობას ცალსახა უპირატესობა მიეცა მის უდავოდ ერთადერთ ავტოხთონურ მოსახლეობასთან, სერბებთან შედარებით). ამგვარად, აფსუა ხალხისათვის (ანუ ხალხისათვის, რომელიც საკუთარ თავს ამ ეთნონიმით აღნიშნავს) ამ ეთნონიმის ნაცვლად „აფხაზის“ წოდება ძალიან ძლიერი პოლიტიკური ილეთია საკუთარი თავის მსოფლიოს თვალში წარმოსადგენად, როგორც ამ ტერიტორიის (ერთადერთი უდავოდ) ავტოხთონური მოსახლეობისა, და ამ საფუძველზე უზარმაზარი უპირატესობების მოპოვება ამ უჯერეროდ „ინტერნაციონალიზებული“ პრობლემის გადაჭრის საქმეში. თქმული არ ნიშნავს, რომ აფსუა („აფხაზი“) სეპარატისტების ზემოხსენებული ყალბი არგუმენტაციის გაბათილებით საქართველოს სახელმწიფო (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ერთგული ხელისუფლება ეყოლება) დიდი მსოფლიო ფორუმების წინაშე თავისი სიმართლის გატანას შეძლებს (სამწუხაროდ, იქ ბევრი სხვა ფაქტორი მოქმედებს, ისტორიულ სიმართლეზე უფრო ძლიერი). მაგრამ იგი შეძლებს იმ ჭეშმარიტად ბარბაროსული მდუმარედ ნაგულისხმევი წანამძღვრის გაბათილებას, რომელიც აფხაზეთის თემაზე წარმოებულ არსობრივად არაკომპეტენტურ მოლაპარაკებათა მუდმივი ფონია: წანამძღვრისა, რომ აფსუა („აფხაზი“) ხალხი ამ ტერიტორიის უდავოდ ავტოხთონური (ამასან — ერთადერთი ავტოხთონური) მოსახლეობაა, რის გამოც მას, რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, მოლაპარაკებათა პროცესში ვეტოს უფლება ეკუთვნის.

3. არსებით მსჯელობას აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზებსა და შესაძლებლობებზე სხვადასხვა შეხვედრათა და განხილვათა პროცესში, კერძოდ, ამ მსჯელობის ისტორიულ ნაწილს (თუ გნებავთ — ამ მსჯელობაში მდუმარედ ნაგულისხმევ ისტორიულ ფონს) არსებითი ხარვეზები აქვს. ერთი ისაა, რომ არ ივლება მკაფიო ზღვარი ერთის მხრივ იმ საკითხს შორის, ვინ არიან ფეოდალიზმამდელ ეპოქებში და ადრეული ფეოდალიზმის ხანაში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცნობილი ხალხები (ტომები) — მისიმიანები, ჰენიოხები, მოსინიკები და სხვანი, მათ შორის — აბასკებიც და აფსილებიც (აფშილები), და მეორეს მხრივ იმ საკითხს შორის, ვინ არიან (ეთნიკურად, გენეტურად და ენობრივად) ის აფსუები („აფხაზები“), რომელნიც დღეს აფხაზეთში ცხოვრობენ. ამ მეორე საკითხზე დღეს, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა მეტია ცნობილი, ვიდრე სულ ცოტა ხნის წინათ იყო (და გულმოდგინედ იმალებოდა საზოგადოებისაგან). ზემოხსენებულ კონფერენციაზე გამოტანილ იქნა (და ჯერმალ გამახარიას ახლახან გამოსულ წიგნში გამოქვეყნებულია), მონაცემები XVII საუკუნეში „აფხაზთა“ (აფსუათა) მიერ აფხაზეთის ძირითადი ტერიტორიების დაპყრობის შესახებ, სახელდობრ, სამეგრელოში, ენგურის მარჯვენა ნაპირის რეგიონში მყოფი კათოლიკე მისიონერების მოხსენებითი წერილები ვატიკანის მისამართზე, სადაც მოთხრობილია, როგორ დაიპყრეს ეს ტერიტორია მთიელებმა, დახოცეს თავადაზნაურობა და მართლმადიდებელი (ცხადია: ქართველი) ადგილობრივი სამღვდელოება, რის შედეგადაც დადგა ამოცანა და გაჩნდა შესაძლებლობა შემოსულების (რომელნიც წარმართნი არიან) და უსამღვდელოოდ დარჩენილი ადგილობრივების შემოყვანისა ვატიკანის მრევლში. იმავე პუბლიკაციაში ამავე დოკუმენტების (აგრეთვე სხვების), საფუძველზე ირკვევა ადგილობრივი (ქართული, მეგრული) მოსახლეობის იძულებითი გამუსლიმანებისა და გააფხაზების მექანიზმი (ეს ხდება ციხეებში თურქულ გარნიზონთა დგომის პირობებში), რომლებიც მკაცრი შინაგანი ლოგიკითაა აღბეჭდილი და ძალიან ჰგავს (შეიძლება ითქვას — თითქმის იმეორებს აღმოსავლეთ კახეთის, დღევანდელი საინგილოს ქართველი უმრავლესობის არა მხოლოდ გამუსლიმანების, არამედ აგრეთვე გალეკების პროცესს (დღეს საინგილოში არსებული ლეკური უმრავლესობა ნაქართველარია). კითხვა დგება: თუ ეს შემოსული დამპყრობელი მთიელი მოსახლეობა იმ ცნობიერებით მოდიოდა, რომ იგი თავისი თანამემამულეების მიწა-წყალზე მიდის, რატომ არ მიიღო მან ამ უკანასკნელთა სახელი „აფხაზი“ (აბასკი, აბაძეხი, აბაზგი და ა.შ.), არამედ აირჩია თავისი მოყოლილი სახელი „აფსუა“? (როგორც ყველა მონაცემი გვეუბნება, ადგილობრივი მოსახლეობა, განურჩევლად თავისი წარმოშობისა, იმ დროისათვის ენობრივად და კულტურულად მთლიანად ქართველიზებულია და ამ კითხვის პასუხიც ეს გახლავთ). და ძველებურადვე დგას სხვა კითხვა: დღევანდელი აფსუური („აფხაზური“) ენა იდენტურია აბაზების ენისა, რომელნიც ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში ცხოვრობენ (არა საქართველოს საზღვრებს ახლოს) და 40 ათას სულს შეადგენენ (რა თქმა უნდა, ყოველგვარი ავტონომიის ნიშან-წყლის გარეშე). რით აიხსნება ეს? იმით, რომ აბაზები აფხაზეთიდან ჩრდილოეთში გადასახლდნენ? (ასეთი გადასახლების არანაირი ნიშანი ისტორიოგრაფიაში არ ჩანს). ხოლო თუ ამ ერთი ხალხის გაყოფა სამი საუკუნის წინ კი არა, არამედ ათი საუკუნის წინ მოხდა, მაშინ როგორაა, რომ მათ მეტყველებაში მეტი განსხვავება არ გაჩნდა, ვიდრე ის უმნიშვნელო, რაც დღეს გვაქვს?

არის სხვა კითხვებიც და სხვა გარემოებებიც, რომლებიც აქამდე არ ფიგურირებს აფსუა („აფხაზი“) ხალხის განსახლების ისტორიის მეცნიერულ კვლევაში. მაგალითად, ასეთი: სამოთხისა და ჯოჯოხეთის აღმნიშვნელი სიტყვები აფხაზურ („აფსუურ“) ენაში არც საკუთარია (აფსუურივე მასალით, თუნდაც სხვა ენათა მოტივაციის განმეორებით, ანუ კალკირებით შექმნილი), არც ქართულია, თუმცა კავკასიონის ქედის აქეთ ისინი მხოლოდ ქართულენოვანი მონოთეისტური და სამოთხისა და ჯოჯოხეთის ცნებათა მქონე რელიგიის გარემოში იმყოფებოდნენ. ეს სიტყვები ამ ენაში არაბულია, შემოსული თურქულის გზით. მაშასადამე, ეს ცნებები მათი აღმნიშვნელი ტერმინებითურთ ამ მოსახლეობას თან მოუტანია სხვა ადგილიდან, სადაც ამ ცნებათა მომცველი რელიგია, სახელდობრ, ისლამი ბატონობდა (თ. გვანცელაძე). ღმერთის ცნებად მათ „ალაჰი“ აქვთ, ხოლო მისი შემცვლელი საკუთარი მასალის სიტყვა აქვთ „ანცვა“, რაც ნიშნავს „დედებს“ (მრავლობითში). კითხვა შემდეგია: თუ ამ მოსახლეობამ, რომლის რელიგიური ცნობიერება ხასიათდება (ეთნოგრაფიულად), როგორც გარდამავალი მდგომარეობა წარმართობიდან მონოთეისტური რელიგიისაკენ, ხუთი-ექვსი საუკუნე ან, მით უმეტეს, ათი საუკუნე გაატარა ქრისტიანობის ექსკლუზიური და განუყოფელი გავრცელების და ბატონობის ტერიტორიაზე — ფეოდალურ საქართველოში, როგორ მოხდა, რომ მის რელიგიურ ლექსიკონში ვერც ერთმა ქართულმა ცნებამ და ტერმინმა ვერ შეაღწია (და ვერც ბერძნულმა)?

დამოწმებული გარემოებები მეტმგონი, საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკურ ერთეულთა იდენტიფიკაცია პრობლემატურია, ხოლო XVII საუკუნეში და მის მახლობელ ხანებში ამ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან აფსუა მოსახლეობის შემოსვლის და მის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობისა და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გააფსუების ფაქტი პრობლემატური არ არის. თუ გნებავთ — აღარ არის. ასეთ პირობებში აფსუა ხალხისათვის ეთნონიმი „აფხაზი“ უკომენტაროდ ნიშნავს მეცნიერებისათვის პრობლემატური საკითხის უპრობლემო საკითხად მიჩნევას (რაც რეალური სურათის შეცვლაა) და ამ საკითხისათვის იმგვარი პასუხის მიცემას, რომელიც, — პოლიტიკურად და მორალურად, — აფხაზეთის ტერიტორიის ბედის განსაზღვრაში აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობას უპირატესობას ანიჭებს ქართულის წინაშე, პრაქტიკულად მას ანიჭებს ნებისმიერი გადაწყვეტილების ვეტოირების უფლებას, რომელიც ქართულს არ გააჩნია. ეს, გასაგები მიზეზების გამო, დაუშვებელია. ამ თემის როგორც პრობლემატური ნაწილის კვლევა ქართული მეცნიერების მიერ გრძელდება (გასაგები მიზეზების გამო) და გაგრძელდება. დღეს საქართველოში ვითარება ბევრად უფრო ახლოსაა აზრისა და არგუმენტაციის თავისუფლებასთან (მიუხედავად ფინანსური ბერკეტების ფაქტორისა), ვიდრე იყო კომუნისტურ ეპოქაში. „კონიუნქტურული“ ტყუილები აღარ უნდა გადიოდეს. ვერც გავა.

ნოდარ ნათაძე

საქართველოს სასაღსო ფრონტის გაცხადება

ქართველი ერის საამაყო შვილმა ელდარ წურწუმიამ სიცოცხლის ფასად დაიცვა სამშობლოს ღირსება და სასიცოცხლო ინტერესი. მან უარი თქვა სამსახურზე საქართველოს მტრების ჯარში. ამისათვის მტრებმა იგი წამებით მოკლეს 2005 წლის 5 ნოემბერს. საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე მისი მკვლელობის გამო, რომელშიც დამნაშავენი არიან უშუალო შემსრულებელნიც და უკანონო სეპარატისტი დე-ფაქტო ხელისუფალნიც, ძმათა სისხლის დასაღვრელად შექმნილი სამხედრო ფორმირების „ჯიმას“ ორგანიზატორნიც. მან აქამდე არ განაცხადა ოფიციალურად, რომ ელდარ წურწუმიას მოქმედება არის გმირობა, და არ მიანიჭა მას სიკვდილის შემდეგ შესაფერისი უმაღლესი სამხედრო ჯილდო. რუსეთის „სამშვიდობო“ ძალებმა, რომლებიც საქართველოში დღეს შევარდნაძის ანტიეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული და გაგრძელებული მანდატით იმყოფებიან, არ მოახდინეს არანაირი რეაგირება ამ დანაშაულზე, ისევე როგორც გაეროს დამკვირვებლებმა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარმა ქვეყნებმა, რომელნიც დეტალურად ადევნებენ თვალს კონფლიქტის მიმდინარეობას აფხაზეთში. საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ უგულებელყო თავისი პირდაპირი კონსტიტუციური მოვალეობა, როგორც მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის გარანტისა.

მომხდარმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ

— ქართველი ერი არ შედგება მხოლოდ მონურად მორჩილი სუსტი ადამიანებისაგან, რომლებიც სიკვდილის შიშით მზად არიან თავის სამშობლოს უღალატონ. მას ჰყვანან ღირსეული შვილები, რომლებიც სიცოცხლეზე უფრო მაღლა აყენებენ თავის პირად მოქალაქეობრივ ღირსებას, თავისი სამშობლოს ინტერესებს და თავის მოვალეობას.

— რუსეთის „სამშვიდობო“ ძალები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში დგანან, არიან საქართველოს მტრები, მათი მიზანია არა სისხლისღვრის აცილება, არამედ სეპარატისტების დახმარება მათს დანაშაულებრივ მოქმედებაში, მკვლელობის ჩათვლით. მათთვის საქართველოში სამოქმედო მანდატის მიცემა იყო სახელმწიფო ღალატი, ისევე როგორც ღალატია ამ მანდატის დღემდე არგაუქმება დღევანდელი ხელისუფლების მიერ.

— მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობა აფხაზეთში მიმდინარე „კონფლიქტის“ „დარეგულირების“ საქმეში არ იძლევა პოზიტიურ შედეგს. იგი ვერ აჩერებს მოქალაქეთა სისტემატურ მკვლელობას აფხაზური მხარის მიერ რუსეთის „მემშვიდობეების“ ხელშეწყობით. აფხაზეთში არსებული პრობლემის (პრობლემების) ინტერნაციონალიზაცია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იყო და არის შეცდომა და დანაშაული სახელმწიფოს წინაშე.

— სეპარატისტული დე-ფაქტო ხელისუფლების დაშოშმინების პოლიტიკა, რომელსაც განუხრელად ატარებდა და ატარებს საქართველოს ხელისუფლება, აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების მიერ ხელის აღება სახელმწიფო ინტერესთა დაცვის ისეთ ქმედით ფორმაზე, როგორიცაა პარტიზანული ბრძოლა, არის შეცდომა, რომელსაც მოაქვს მხოლოდ დამარცხება და შემდგომი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ეს არის დანაშაული სახელმწიფოს წინაშე და, პირველ ყოვლისა, გალის რაიონის მოსახლეობის წინაშე.

— საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების, — ისევე, როგორც წინა ხელისუფლების, — პოლიტიკა საქართველოს საშინაო კონფლიქტებთან დაკავშირებით (აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში) არ არის საქართველოს სახელმწიფო ინტერესთა სამსახურის პოლიტიკა. იგი რუსეთის იმპერიულ ინტერესთა სამსახურია. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იმგვარი დროებითი ყალბი „შერიგების“ ორგანიზება, რომელიც სეპარატისტებს საშუალებას მისცემს მომავალში მოიპოვონ საქართველოდან ზემოხსენებული ტერიტორიების გამოყოფის იურიდიული მექანიზმები, რათა ეს ტერიტორიები საქართველოს წაართვან (ასეთი ყალბი „შერიგების“ პროექტებია ცნობილი „ბოდენის დოკუმენტი“, რომელიც გაეროში დევს, და სააკაშვილის განცხადება, რომ იგი თანახმაა ცხინვალის რეგიონში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნაზე). საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული დუმილი ელდარ წურწუმიას მოკვლაზე და მისი გმირული სიკვდილის მიჩქმალვა საქართველოს მოსახლეობის წინაშე განპირობებულია იმის შიშით, რომ ამ ფაქტის გახმაურება ხელს შეუშლის ზემოხსენებული ყალბი „შერიგების“ და „დარეგულირების“ პროცესს.

ელდარ წურწუმიას ღირსეული მოქმედება სამუდამოდ დარჩება საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ხსოვნაში. სამარადისო დიდება მას!

საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით
ნოდარ ნათაძე

იყიდება საქართველო!

„იყიდება საქართველო მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერი ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ვაუკაცურის ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით, ნაამაგევი სახლით და კარით, ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით, მჭეფარე ნაკადულებით, ლურჯი ზღვით, მოწმენდილი, მოკასკასებული ცით, ერით, ბერით, თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით, გონებაგახსნილი ვაჟებით, მალხაზი ბავშვებით, ვერცხლისფერ თმითშემოსილი პატივსადებ მოხუცებით.

იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით და დით, ცოლით და ნათესავ-მოყვარეებით. ყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული. იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში. იყიდება ერთიანად შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი.

იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებით, ვისაც რამდენი უნდა და როგორც უნდა, ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით. იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს, ოხრად დარჩენილი, აძლევს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს“.

ნიკო ლორთქიფანიძის ეს მხატვრული ტექსტი დღეს აქტუალურია, საქართველო დღესაც იყიდება. იმ გაყიდვასა და ამ გაყიდვას შორის ზოგი რამ საერთოა და ზოგი — განსხვავებული. საერთოა გამყიდველთა ადამიანური ბუნება. ვინაა საქართველოს გამყიდველი — ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ? იგი დღესაც, ისევე როგორც ასი წლის წინ, პირველ ყოვლისა, უჰორიზონტო, გონებადახშული ადამიანია, რომელსაც ჰგონია (თავისი ამ უჰორიზონტობის გამო), რომ ეროვნული განადგურების პროცესი ბუნებრივი პროცესია და საერთო ისტორიულ კანონზომიერებას წარმოადგენს, მას არ ესმის, რომ ერები იცოცხლებენ და გამრავლდებიან, თავისი გამყიდველობით იგი მხოლოდ თავისას სპობს — სხვას კი არაფერს აკლებს. იგი სპობს თავისი შვილისა და შვილისშვილის საარსებო სივრცეს და მას საშუალებას ართმევს დედამიწაზე თანასწორთა შორის პრინციპულად თანასწორი იყოს. მას აყენებს ბოგანოს მდგომარეობაში სახლ-კარიანთა და შეძლებულთა შორის. განსხვავებულია, პირველ ყოვლისა, გაყიდვის ტემპი. დღეს იგი შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ იყო. განსხვავებაა ისიც, რომ დღევანდელი გამყიდველები არ აპირებენ საქართველოში იცხოვრონ. ისინი, მენტალურად, სხვაგან არიან თავისი შთამომავლობიურთ და ამიტომ ცდილობენ მაქსიმალურად დიდი ნაქურდალის გატანა მოასწრონ. მესამე და მთავარი განსხვავება კი ისაა, რომ დღევანდელი გაყიდვის პროცესი, თავის ძირითად ნაწილში, ორგანიზებულია. მას ჩაჯიბების სურვილის გარდა ნგრევის ბრძანებაც განსაზღვრავს.

მთავარი და ყველაზე საშიში განსხვავება არის ტემპი. მტერი ჩქარობს. ჩვენც მისი წინააღმდეგობის განევა უნდა ვიჩქაროთ.

უკრაინის სამზარეულოში

გაყრილ ცოლ-ქმარსავით, იუშენკომ და ტიმოშენკომ დიდხანს ვერ დაიცვეს კორექტული კილო ერთიმეორის ხსენებაში. იუშჩენკო ღიად ახსენებს თავის ყოფილ პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფო სახსრების არასწორ განკარგვას, ტიმოშენკო კი ამბობს, მისი ამგვარი განცხადებები „მის სისუსტეზე მეტყველებსო“. უკრაინის მთავრობას ძირი გამოუთხარა, სხვა ფაქტორებთან ერთად, უშიშროების საბჭოს მეთაურის პეტრო პოროშენკოს კორუფციის წამოწევამ, სახელდობრ, მოსამართლეებზე ზეწოლამ, პრეზიდენტთან მიღებაში ხელშეწყობით მსურველებზე გავლენის მოხდენამ და ა.შ. ეს პოროშენკო დიდი ბიზნესმენია, რომელმაც, ტიმოშენკოს თქმით, იგი და იუშჩენკო ერთმანეთს წაჰკიდა. ასახელებენ კიდევ ბევრ სხვა ქონებრივსა და ძალაუფლებასთან დაკავშირებულ ჭიდილს. დასკვნა (ჟ. The Economist) ასეთია: ყოველივე ამას საფუძვლად უდევს „სიხარბე და ურთიერთმეტოქეობა“. მაგრამ ყოველივეს აქვს თავისი პოლიტიკური მასტიმულირებელიც: ესაა მარტისთვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნები. შეთანხმებულია, რომ კონსტიტუცია პრეზიდენტის უფლებამოსილებათა რაღაც ნაწილს გადასცემს პარლამენტის მიერ არჩეულ პრემიერ-მინისტრს. ბუნებრივია, რომ ამ ახალ სისტემაში ტიმოშენკო მეტისმეტად გაძლიერდებოდა. პრეზიდენტი, ჟურნალის თქმით, დღეს იმდენად შეწუხებულია ახალი ძლიერი მოპირისპირისა და მეტოქის შექმნით, რომ „ეფლირტავება“ თავის ყოფილ მეტოქეს იანუკოვიჩსაც კი. ტიმოშენკომ კი თავის ნარინჯისფერ ბაბთას ლურჯიც დაუმატა და ძალიან მომგებიანად დგას, აქამდისაც პოპულარული, უსამართლოდ დაჩაგრულის პოზაში.

შესაძლებელია (ასე ფიქრობს ჟურნალი) იუშჩენკის ნაბიჯები იმაზე მეტყველებდეს, რომ „თავდება რევოლუცია და იწყება მართვა“ — და, შესაძლოა, ახალი მზაობა „კორუფციის გასაგრძელებლად“. მთელს ამ პერეტრუბაციებში „დიდი წაგებული არის უკრაინა“. იუშენკოს მიერ ძალიან ტექნიკურად გაძვრენილი ახალი პრემიერი იეხანუროვი ტექნოკრატია, რუსეთისადმი შემრიგებლურად განწყობილი, რაც სახიფათოა, თუ გავითვალისწინებთ რუსული აირის ფასების მოსალოდნელ ავარდნას. იმედგაცრუებული უკრაინელები შიშობენ, რომ ახალი ხელისუფლება „თავისი ბუდის გაწყობას და ანგარიშსწორებებს მოუნდება“.



ღაგაკი ლათინური ამერიკა

ლათინური ამერიკის ქვეყნებს მსოფლიოში „საშუალო შემოსავლიანობის“ და „დემოკრატიების“ სტატუსი აქვთ, გარდა ჰაიტისა და ნიკარაგუასი, განსაკუთრებული სიღატაკის გამო და კუბასი ცნობილი მიზეზების გამო. მათ სიღარიბეს მსოფლიო თითქმის არ აქცევს ყურადღებას (აფრიკისაგან განსხვავებით, რომელსაც ყველანაირად თავს ევლებიან), ამგვარად, ისინი არიან „ლაქა მსოფლიოს სინდისზე“ („The Economist). ამ ქვეყნების უბედურებაა შემოსავლის მეტისმეტად უთანასწორო განაწილება. მოსახლეობის 43% (222 მილიონი სული) ღარიბია, ამათში 18,6% — უკიდურესად ღატაკი. ამ სავალალო ციფრებში „ბრალი აქვს, ნაწილობრივ, დემოკრატიისათვის დამახასიათებელ უსამართლობასაც, რაც ბევრს აიძულებს, კითხვის ქვეშ დააყენოს მისი ღირებულება“. იმედია, მდგომარეობა უკეთესობისაკენ წავა, რადგან, ჯერ ერთი, **ამ ქვეყნების ეკონომიკებმა ზრდა დაიწყეს** (დიდი ხნის სტაგნაციის შემდეგ), მეორეც, **მთავრობები ზრუნავენ ღარიბებზე** (ხაზი ჩვენია. რედ.). მაგალითად, მათ აძლევენ ნაღდ ფულს იმ პირობით, რომ შვილებს სკოლიდან არ გამოიყვანენ და დროულად ატარებენ ჯანდაცვის პუნქტებში. ამ წესით მექსიკა ეხმარება 5 მილიონ ოჯახს, ბრაზილია — 7,5 მილიონს. ამ ორს ჰბაძავენ სხვებიც. მათ შორის — ამერიკის გარეთ მდებარე ქვეყნებიც. დახმარების ეს ფორმა ჯობია ყველა სხვას. იგი ეძლევა ქალებს (რომლებიც მას კაცებზე უკეთ ხარჯავენ), მისი ზომაა 50-70 დოლარი თვეში — იმდენად ბევრი, რომ ოჯახის მდგომარეობას დაეტყოს, მაგრამ არც ისე ბევრი, რომ ოჯახებს გაზარმაცებისაკენ უბიძგოს. **ამგვარი პროგრამის განხორციელებას სჭირდება ქმედითი მთავრობა** (ხაზი ჩვენია, რედ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეწის სკოლები (FiniShing Schools)

(The Economist-იდან)

ფრანგი მწერალი ქალის, სარტრის მეუღლის სიმონა დე ბოვუარის სიტყვებით, ქალი კი არ იბადება, არამედ კეთდება. ინგლისის შეძლებულ კლასთა მომჯადოებელი ქალიშვილების წარმოებაში ტრადიციულად დიდი როლი ჰქონდა საბოლოო პეწის მიმნიჭებელ სკოლებს, სადაც ისწავლებოდა ქალებისათვის არსებითი საგნები, როგორიცაა ტანისჭერა და თავის დაჭერა, ეტიკეტი და ყვავილების გაწყობა. დღეს ამგვარი განათლების მიღება ჯერ კიდევ შესაძლებელია შვეიცარიაში, რომლის პროფილს ეწოდება „შესფერისი ახალგაზრდა ლედის პროფესიული წინსვლისათვის". ინგლისში ასეთი სკოლები აღარაა — ისინი გარდაიქმნენ ბიზნესის ან მდივნობის კოლეჯებად, მაგრამ ვინაიდან დედები ახლაც მოწადინებულნი არიან, რომ მათმა ქალიშვილებმა გამართული ჯდომა იცოდნენ და თავაზიანი საუბარი შეეძლოთ, ორმა მანდილოსანმა გახსნა „პეწის აკადემია", სადაც ქალიშვილები და ქალები სწავლობენ „როგორ გახდნენ შეძლებისდაგვარად საუკეთესონი". მაგრამ, ძველი დროისაგან განსხვავებით, აქ საბოლოო ამოცანაა არა ქმრების მონადირება, არამედ ბიზნესის კონტაქტებისა, ამიტომ, მაგალითად, მზარეულობის კურსი გამიზნულია საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე და არა საზეიმო სადილის მოწყობაზე. აქ ისწავლება ღირსებით თავის დაჭერა, საჯაროდ ლაპარაკი, გონიერება (იგი მდგომარეობს პირველადი მედდახმარების აღმოჩენაში და ჯანსაღი საკვების შერჩევაში), ცოტა ჭადრაკი, ინტერიერის მოწყობა და მასაჟი. პროგრამაშია ისეთი ჭეშმარიტად სასაცილო საგნებიც, როგორიცაა სიარული თავზე შემოდებული წიგნით და მანქანიდან გადმოსვლა მუხლების ერთიმეორისგან დაუშორებლად. (ამის ხერხი ასეთია: გამოყავით გარეთ ორივე ფეხი ერთად შეტყუპული მუხლებით, ბრტყლად დააბიჯეთ მიწას და ძლიერად აირეკლეთ სავარძლიდან). რეკლამა საუკეთესო სატელევიზიო დროში გვიჩვენებს, როგორ შეითვისეს ეს საუკეთესო მანერები მსმენელებმა,

პრაქტიკა შამპანურის სმაში

გინებას შეჩვეულმა და მობოყინე ახალგაზრდა ქალებმა, რომლებიც ახლა მკაცრად არჩევენ სიტყვებს საუბრის დროს.

ამ საპატიო პროფესიით გატაცება მამაკაცებსაც ითრევს. ამას წინათ ერთი უფროსი სასტუმროს მორიგე გამოიძახეს მდგმურთან ერთი ანჩხლი ბავშვის დასაწყნარებლად. მან ისე კარგად აუხსნა ბავშვს, საჯაროდ, კარგი ქცევის წესები, რომ მალე კურსები გახსნა, სადაც რიგი შევსებულია 12 თვის წინსწრებით, თუმცა ორსაათიანი გაკვეთილი თითო მსმენელისათვის 80 ფუნტი ღირს. ამჟამად იგი წიგნს წერს სათაურით „ციური მანერები".

„პეწის აკადემიის" პატრონები ახლა მამაკაცთა აღზრდის კურსებსაც გეგმავენ. ძირითადი საგნები, როგორიცაა დგომა, სიარული და ჭამა, მათ იგივე ექნებათ, რაც ქალებს. დაემატებათ რუკის კითხვა, მანქანის მოვლა, თევზაობა, გოლფი და სასცენო მოძრაობა. მუხლებშეტყუპულად მანქანიდან გადმოსვლა, ბუნებრივია, მათ არ მოეთხოვებათ.

ტაქტიკური გადაწყვეტილება პრინციპთა დონეზე

მკითხველმა იცის, რომ გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი ბეწვზე გადაურჩა თანამდებობიდან წასვლის აუცილებლობას (იგი ამ თანამდებობაზე დარჩება თავისი ვადის ბოლომდე, ანუ კიდევ 13 თვეს). სკანდალი, რომელმაც ეს პრობლემა განაპირობა, იყო (და არის) ის, რომ მის ხელქვეით კორუფციის გველეშაპმა იმსხვერპლა 10 მლრდ. დოლარი, რომელიც „გადაიღუნა" პროგრამის „ნავთობი — საკვების სანაცვლოდ" კონტექსტში (სანქციებდადებულ ერაყს, რომელსაც სადამ ჰუსეინი მეთაურობდა, ეძლეოდა ნავთობის გაყიდვის ქვოტა, რომლის შემოსავლითაც მას უნდა ეყიდა საკვები და მედიკამენტების დადგენილი რაოდენობა თავისი ქვეყნისათვის). გამომძიებელმა კომისიამ აშშ ფედერალური რეზერვის ყოფილი თავკაცის ფოლჯერის თავმჯდომარეობით დაადგინა, რომ თუმცა პროგრამამ თავის მთავარ მიზანს მიაღწია, მისი შესრულება (შემსრულებელი: გაერო) ყველა დონეზე, გაეროს მთავარი შტაბბინის ჩათვლით, გამსჭვალული იყო „განიავებით, არაეფექტურობითა და კორუფციით". ბუნებრივად აღძრულმა კითხვამ კოფი ანანის შესახებ ასეთი ფორმა მიიღო: ან მას ხელი არ უნდა ახლონ იმიტომ, რომ პირადად მას, როგორც დაადგინა ფოლჯერის კომისიამ – არანაირი დარღვევა არ მოუხდენია და სარგებელი არ მიუღია, ან იგი უნდა წავიდეს, რადგან მის პასუხისმგებლობაზეა ყველაფერი. ის, რაც მის ხელქვეით მოხდა, სახელდობრ, მოხდა იმიტომ, რომ გაეროს მმართველობას ჰკლებია „მძლავრი ორგანიზაციული ეთიკა". The Economist ამ თემაზე ასე მსჯელობს: კოფი ანანი მის თანამდებობაზე მისი მენეჯერული ტალანტების გამო არ აურჩევიათ (ასე რომ აერჩიათ, მაშინ მას ის, რაც მოხდა, ვერ ეპატიებოდა). იგი აირჩიეს პოლიტიკური მოტივებით. მისი გადაყენება მომხდარი სკანდალის მოტივით წარმოშობდა ყალბ წარმოდგენას მისი ფუნქციის შინაარსის შესახებ, რომელიც წმინდად პოლიტიკურია. გარდა ამისა, შექმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მას ამერიკელები „სჯიან" იმის გამო, რომ ვერ მიიღეს გაეროსაგან ერაყზე დარტყმის სანქცია. გამოსავალი ერთი დარჩა: მომხდარის გამო გაეროს არასრულყოფილი სტრუქტურის დადანაშაულება და მისი გადასინჯვის პროცედურის დაწყება. როგორც მკითხველმა იცის (იხ. ჩვენი წინა ნომერი), ასეც მოხდა.

დემოკრატია და ტექნოლოგია

ტრადიციულ ე.წ. ვიქტორიანულ ინგლისში სასტუმრო-სამიკიტნოები შეძლებისდაგვარად გაყოფილი იყო ხოლმე ორ დარბაზად, სადაც სხვადასხვა ფასები იყო ერთი და იმავე ლუდისათვის და, შესაბამისად, სხვადასხვა სოციალური ფენები დაიარებოდნენ. შემდეგ ეს პრაქტიკა მოიშალა. დარბაზები, როგორც წესი, გაერთიანდა, პოლიციისდა სასიხარულოდ, რომელსაც ამით გაუადვილდა თვალყურის დევნება იმაზე, თუ რა ხდება. მაგრამ არსებობს სხვა ტენდენციაც: მომხმარებლთა ნაწილს ურჩევნია, უფრო ვიწრო წრეში (ჩვენი ენით — „მოყუჩებულად") დალიოს თავისი სასმელი და მოწიოს თავისი თამბაქო (რისი სივრცეც ინგლისში, ისევე როგორც თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოში საერთოდ, თანდათან იკვეცება). არქიტექტორებს ახალი ამოცანა გაუჩნდათ — არაერთ „პაბში" (ამგვარ სასტუმრო-სამიკიტნოებში) ვიქტორიასდროინდელი კედლებისა და ტიხრების აღდგენა, პოლიციას კი — დარდი. მაგრამ ტექნიკამ ორივეს უშველა: რამდენ სათავსოდაც არ უნდა დაიყოს „პაბი", ყველაში კუთხეში დადგება კამერა, რომელიც დააკმაყოფილებს, მოწადინების შემთხვევაში, პოლიციის ცნობისმოყვარეობას.

ჩრდილო ირლანდია დღეს

ჩრდილეთ ირლანდიის ვითარება საქართველოს პოლიტიკისთვის საინტერესოა არა თავისი კონფლიქტის შინაარსობრივი მხარის გამო (იქ პრობლემები სულ სხვაა, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში, ანალოგია მათ შორის ძნელად თუ მოიძებნება), არამედ თავისი ფორმის გამო. ეს არის ძალადობის მომცველი ბრძოლა სავსებით დემოკრატიულსა და სავსებით ცივილიზებულ ქვეყანაში, რომელშიც მხარეების სიმყარე მაქსიმალურია, კანონთან ურთიერთობა სავსებით ცნობიერი და სამართლებრივობის ფასი, მისი პრინციპების შეუვალობა სავსებით ცნობილი. ამავე დროს, იქ არსებობს მოლაპარაკებათა და, — თუმცა კომპრომისი მიღწეული არ არის, — მის გზათა ძებნის დიდი კულტურა, ამიტომ THE ECONOMIST-ის ხედვის გადმოცემისას გვირჩევნია აქცენტირება არა ჩვენთვის უცხო პოლიტიკური საკითხებისა, არამედ მოვლენათა გაშლის ტაქტიკური და, ზოგადად, პრაქტიკული მხარისა.

პროტესტანტთა სამშვიდობო მსვლელობამ 100 მეტრით გაიმრუდა გზა, რათა (დემონსტრატიულად) კათოლიკური არე მოეცვა. ამას მოჰყვა სამდღიანი ძალადობა (როგორც ჟურნალი ახასიათებს — „მუშათა კლასის ლოიალისტების" მხრიდან), რომელმაც ბელფასტის ქუჩებში აგურებისა და დამწვარი მანქანების სახით თავისი ნიშანი დატოვა. ამით გამოცოცხლდა 20 წლის წინათ თითქოს შეჩერებული შუღლობის აჩრდილი. მაშინ კათოლიკეები ებრძოდნენ პოლიციას და ჯარისკაცებს ან კათოლიკეები ებრძოდნენ პროტესტანტებს, ამჯერად პროტესტანტები ებრძოდნენ პოლიციას და ჯარისკაცებს. „ფორთოხლისფერებს" ეს მარში დაუგმო პოლიციამ, მეამბოხეებმა (დემონსტრანტებმა) დაგმეს პოლიცია. ამერიკის წარგზავნილმა სინანული გამოთქვა იმაზე, რომ პროტესტენტებს შესაფერი ლიდერობა არ ჰყავთ. ეს არეულობა დაიწყეს იმ პირობებში, როცა IRA (კათოლიკეთა ორგანიზაცია) მზადაა გადაინახოს თავისი იარაღი, რომელსაც ახლა, — ამ გამოსვლის გამო, — კვლავ აგროვებს და თავს უყრის პატარ-პატარა საწყობებად. ამას, თავის მხრივ, წინ უძღოდა რესპუბლიკელთა პირობა, რომ ხელს აიღებდნენ ყოველგვარ კრიმინალურ ქმედებაზე, რასაც ბლეირმა, — ჟურნალის აზრით, ცოტა არ იყოს ნაჩქარევადაც, — უწოდა „სწორუპოვარი დიდსულოვნების ნაბიჯი". ფონი ამ გამოსვლისათვის იყო უნიონისტების გაღიზიანება იმის გამო, რომ მათი რესპუბლიკელი მოწინააღმდეგეები მეტისმეტად დიდი გამგებიანობით სარგებლობენ ლონდონისა და დუბლინის მხრიდან, და აქციის ნარინჯისფერთა ერთ-ერთმა ლიდერმა, „ორანჯის ორდენის" დიდმა მაგისტრმა „სასოწარკვეთის ღაღადისი" უწოდა. პოლიციის განცხადებით, მარშისათვის გამზადებული იყო ხელნაკეთი ხელყუმბარები და ნავთის ბომბები და დაწყების წინ მარშს ნიღბიანები უწევდნენ ორგანიზებას. ჯარისკაცებს ესროლეს 50-იოდე ტყვია და ნავთის ბომბი, დააზიანეს 2 პოლიციის მანქანა, მოიყვანეს მიწის მანქანა და მიწასთან გაასწორეს ნათურების ბოძები. მონაწილეობდა 700-ოდე კაცი. დებოში გაგრძელდა გარშემო პროტესტანტულ სოფლებში. აქ შეავიწროვეს მცირე კათოლიკური უმცირესობა. ახალგაზრდებმა ამტვრიეს მიტოვებული სახლების კარ-ფანჯრები, გააჩერეს იარაღის ძალით და გაძარცვეს კათოლიკეებიანი ავტობუსი. დაამტვრიეს დუქნები. ეს ყველაფერი მოხდა, უპირატესად, შედარებით ღარიბ და დაუსაქმებელ უბნებში. ამ უბნებს „მსხვერპლად ყოფნის" პოლიტიკა სჩვევიათ. მოსახლეობა აქციას ამართლებს: „რა ვქნათ, სხვაგვარად ბლეირს ყურადღებას ვერ მივიპყრობდითო". პროტესტანტების ნებაყოფლობით პარამილიტარულ ორგანიზაციებში ფეხმოკიდებულია კრიმინალობა, ნარკოგავრცელება და ურთიერთბრძოლა გასაყოფის გაყოფის გამო.

ასეთი პარამილიტარული ჯგუფები კომპლექტდება ოლსტერელი პროტესტანტი მუშათა კლასის წრიდან, ამავე მიმართულების პოლიტიკოსებისაგან მათ ყოფს კლასობრივი კუთვნილება და პოლიტიკური მეტოქეობა. მათმა მცდელობამ, ჩამოეყალიბებინათ პოლიტიკური პარტიები ან პარტია, მარცხი განიცადა, რადგან უფრო აინტერესებდათ ნარკოვაჭრობა და რეკეტი.

ვითარებას ართულებს კერძო, მაგრამ კანონზომიერი მოვლენები: შემთხვევითი მკვლელობა, მისი მომყოლი გადამტერება და ა.შ.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ კათოლიკურმა მებრძოლმა ორგანიზაციამ IRA-მ პირობა დადო, რომ ტერორისტული მკვლელობებისა და აფეთქებების პრაქტიკაზე ხელს აიღებდა ერთხელ და სამუდმოდ. საქმე, თითქოს, ნორმალიზაციისაკენ მიდიოდა. ყველამ იცოდა, რომ მის მიერ იარაღის განადგურებას და არჩევნებს დრო უნდოდა, ისევე როგორც მხარეთა შეგუებას იმ აზრთან, რომ ძალაუფლება გაინაწილონ მოწინააღმდეგესთან. ახლა კი პერსპექტივა უფრო ბუნდოვანია.

სავალუტო ფონდი და დემოკრატია

ჩვენს შუა ხნის თანამემამულეებს კარგად ახსოვთ რობერტ მუგაბე, როგორც მებრძოლი თეთრკანიანთა უსამართლობის წინააღმდეგ, როგორც სვინდისის მრავალწლიანი პატიმარი, აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი და რასის მედროშე. მისმა მღელვარე ბიოგრაფიამ, რომელსაც ყურადღებით თვალს ადევნებდა მსოფლიო — თავისუფლების ნამდვილი მოთაყვანეც და ყალბი აღმსარებელიც, როგორიც იყო საბჭოთა პროპაგანდა, — მრავალი სახიფათო გზაჯვარედინი და ხვეული განვლო. იგი პირად თავისუფლებასაც მოესწრო, მისი ხალხის თავისუფლებასაც, სახელმწიფოს მეთაურობასაც და მსოფლიო აღიარებასაც. მაგრამ... რაღაცამ უმტყუნა და ანტიდემოკრატიაში გადაიჭრა. დღეს იგი ერთერთი ანაქრონისტული მმართველია, რომლის წასვლასაც მსოფლიო ელის და (არც თუ დიდი მღელვარებით) ნატრობს.

პატივცემულმა ლიდერმა სავალუტო ფონდის ვალი დაიდო — 295 მილიონი დოლარი, რომელიც მისი უკიდურესად გაჭირვებული ქვეყნისათვის (ზიმბაბვე, 12 მლნ. მოსახლეობა) ათმაგად მძიმეა. 1999 წლიდან ამ ფონდს ზიმბაბვესაგან ერთი ცენტიც არ მიუღია, რის გამოც ზიმბაბვე ამ ორგანიზაციიდან გარიცხვის კანდიდატი გახდა. მაგრამ მუგაბემ ისესხა, ფულო იშოვა და ფონდს 170 მლნ ჩაურიცხა. ამით მან გააგრძელა თავისი ქვეყნის რესპექტაბელური იმეჯის არსებობაც და თავისი ძალაუფლებაც.

მუგაბე გარეგნობით საქართველოს არც ერთ პრეზიდენტს არ ჰგავს, მაგრამ მართვის სტილითა და დონით ორი ჯერ-ჯერობით უკანასკნელის თითქმის იდენტურია. საკმარისია ითქვას, რომ ზიმბაბვეში ეკონომიკა დანგრეულია და მოსახლეობის 1/3 ემიგრაციაშია. ისევე, როგორც საქართველოში, ემიგრაცია გრძელდება.



რა დააშავა? ხმა მისცა სხვას

სხვა ქვეყნები სუქდებიან, ამერიკა ხდება. რატომ? და რა შედეგით?

(მოკლე გადმოცემა The Economist-ის პოზიციისა)

წინამდებარე წერილი ეხება მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას. იგი მომზადებულია უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტთა ჯგუფის მიერ და შეიცავს მსოფლიოს ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) ევოლუციის ანგარიშსა და პროგნოზს. ვისაც მსოფლიოს მომავალი — და, მაშასადამე, საქართველოს მომავალიც — აინტერესებს, იმისათვის მისი ძირითადი იდეებისა და ფაქტების ცოდნა აუცილებელია (რედ.)

შესავალი

აშშ-ს „მიმდინარე ანგარიში", ანუ მის ხელთ არსებული ფულის რაოდენობა, წელინადში 700 მილიარდი დოლარით მცირდება. ეს თანხა მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს უდრის. ეს დეფიციტი (ჯერჯერობით) ვერ აფერხებს ამერიკის ეკონომიკის ზრდას: სახელმწიფო და მისი ეკონომიკა დაუბრკოლებლად ფუნქციონირებენ — მაგრამ ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დეფიციტის საპირწონეა სხვა ქვეყნებიდან სესხის სახით შემომავალი სახსრები. სახელდობრ, სხვა ქვეყნები ასტრონომიული რაოდენობით ყიდულობენ ამერიკულ დოლარებს და სხვა ფასიან ქაღალდებს. საყურადღებოა ორი რამ. პირველი: ამ სესხის პროცენტი გასაოცრად დაბალია. მეორე. უცხოელებს დღემდე არ სწყინდებათ ამერიკისათვის ამ სესხის ძღევა. პირიქით, უცხო ქვეყნების ბანკები, რომელებიც ამ დოლარებისა და ფასიანი ქაღალდების (BONDS) მუშტარნი არიან, ძირითადად ამ ქვეყნების ცენტრალური ბანკებია (ანუ სახელმწიფოა) და ისინი ამ შესყიდვას აწარმოებენ არა მხოლოდ აშშ სახელმწიფოს ხელიდან (რაც ოფიციალურად გავრცელებულ სტატისტიკებში აისახება), არამედ სხვა ნებისმიერი არაპირდაპირი გზებითაც (რაც სტატისტიკაში არ აისახება). ეს გარემოებები, რომლებიც (მათი მხლებელი დეტალებითურთ) „თავდაყირა აყენებს" ეკონომიკური მეცნიერების მრავალ კლასიკურ დებულებას, ორ კითხვას ბადებს. პირველი. რატომაა სესხის ეს პროცენტი არარეალისტურად დაბალი (როცა, ყველა გარემოების მიხედვით, იგი მაღალი უნდა ყოფილიყო. სახელდობრ, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა დიდია, 4,3% წელიწადში, არსებობს დიდი რიცხვი ალმავალი ძლიერი ეკონომიკებისა, მათ შორის — ჩინეთისა და ინდოეთისა მათი აურაცხელი ახალი კვალიფიციური მუშახელითურთ, და ა.შ. ყოველივე ეს დაბანდების და, მაშასადამე, ფულის სესხად აღების დიდ მოთხოვნილებას შობს). მეორე. რატომაა, რომ იმ კრედიტორ ქვეყნებს არ სწყინდებათ ამერიკელებისათვის ამ უზარმაზარი იაფი კრედიტების ძღევა? პასუხი ამ კითხვებს საერთო აქვთ, თუმცა რამდენიმე პუნქტისაგან შემდგარი. იგი შემდეგია.

სესხის მომცემი ქვეყნები ისინი არიან, ვინც თავის შემოსავლებს მთლიანად კი არ ხარჯავს, არამედ მათ დიდ ნანილს ინახავს. ამერიკა ხარჯავს: იგი, ერთის მხრივ, მოიხმარს, მეორეს მხრივ, აბანდებს (წარმოებაში) და ამ დაბანდებაში დროდადრო „ექსცესებშიც" ვარდება (რაც სავსებით ბუნებრივია არა მხოლოდ მისთვის, არამედ სხვისთვისაც და მსოფლიო სისტემისთვისაც საერთოდ), მაგალითად, ზედმეტს ხარჯავს თავის მრეწველობის გადაიარაღებაზე. ამიტომ ეს „ბუშტი" დროდადრო სკდება ხოლმე და ეს ქვეყანა (ან, მეტნაკლებად, მსოფლიო) იძულებული ხდება ეს გადაიარაღება ცოტა ხნით დაამუხრჭოს, რათა მიღებული ფინანსური ზარალი მოინელოს. სესხის მომცემი ქვეყნები მიღებულ მოგებას არ ხარჯავენ, ანუ მას არც მოიხმარენ, არც ინახავენ. მათ უზარმაზარი ჭარბი ფულის მასა აქვთ, რომელიც „დატრიალებას" მოითხოვს. ამავე დროს დაბანდების არც ის ასპარეზი აქვთ, რომელიც ამერიკელებს მოეპოვებათ თავისი ყველაზე მეტად განვითარებული წარმოების საშუალებების (ASSETS) სახით. ამიტომ გამსესხებელი ქვეყნებისათვის ხელსაყრელია ის დაბალი პროცენტიც, რომელიც აქვთ, ამერიკულ საწარმოო სიმძლავრეს მიაბან, რომელიც თავისი დინამიურობის გამო ხარბად მოითხოვს დაბანდებებს. (ისინი, ასე ვთქვათ, ამერიკული წარმოების თანაგამომყენებლები ხდებიან, თუმცა არაპირდაპირი გზით: ისინი ამერიკულ საწარმოო სიმძლავრეებს კი არ ყიდულობენ (უფრო ზუსტად — ვერ ყიდულობენ, რადგან ამერიკელები მათ არ ყიდიან), არამედ, როგორც ვთქვით, მხოლოდ დოლარებს და ფასიან ქაღალდებს. ამერიკული საწარმოო სიმლავრე ამ დოლარებისა და ფასიანი ქაღალდების მაღალ ფასს იცავს, მათი მაღალი ფასი კი — მათ მყიდველთა უზარალობას). მაგრამ რატომაა, რომ ეს ქვეყნები დაგროვებისაკენ იხრებიან, ამერიკელები კი წარმოებისაკენ და, ზოგადად, დაბანდებისა და აღწარმოებისაკენ? ეს ახალი კითხვაა, რომელიც კონკრეტულ პასუხს მოითხოვს.

გადაწყვეტილების მიღებას „დავაგროვო თუ დავხარჯო"? სახელმწიფოს მასშტაბით სამი სუბიექტი ჰყავს. ერთია თვით სახელმწიფო (და მისი „პოლიტიკის შემქმნელები"), მეორეა კორპორაციები, მესამეა ოჯახი (HOUSEHOLD). პირველი შთაბეჭდილება და პირველი თავისთავად ცხადი აზრი (რომელიც დიდ ცვლილებებს აღარ განიცდის) ისაა, რომ მთავარი გადამწყვეტი ამისა ოჯახები არიან. მათთვის ეს გადაწყვეტილება მდგომარეობს არჩევანში არა დაგროვებასა და დაბანდებას შორის, არამედ დაგროვებასა და მოხმარებას შორის. როცა მოსახლეობა ინტენსიურად მომხმარებელია (და ნაკლებად დამგროვებელი), იგი მოსახმარი საგნების დიდი მყიდველიცაა. ამით სტიმული ეძლევა წარმოებას, რითაც მოცემულ ეკონომიკას (მოცემულ ქვეყანას) განვითარების ფართო ასპარეზი ეშლება (აქედან — თანამედროვე ცივილიზაციის დახასიათება, როგორც „სამომხმარებლო ცივილიზაციისა"). როცა მოსახლეობა უპირატესად დაგროვებაზეა ორიენტირებული, ეს ცუდია, პირველ ყოვლისა, ამ ქვეყნის წარმოებისათვის. ყველაზე უარესია, როცა მოსახლეობის სახსრები არც მოიხმარება, არც ბანდდება, უბრალოდ — „შავი დღისათვის" დევს. ამერიკისა და „დამგროვებელი" ქვეყნების (ესენი მრავალნი არიან) ეკონომიკური მიმართების ეს უმნიშვნელოვანესი მხარე ასეა ორგანიზებული: ამრიკელები ბევრს მოიხმარენ, შეძლებისდაგვარად აბანდებენ და დაგროვებისათვის ნაკლებად სცალიათ, რადგან მათი გარემოს დინამიური ეკონომიკა მოითხოვს, ხელთქონილი თანხა აქვე და ახლავე რამე საქმეში „ჩადონ". უპირატესად „დამგროვებელი" მოსახლეობის მყოლი ქვეყნების მთავრობებსაც და კერძო ბანკებსაც, სადაც ამ ადამიანთა დანაზოგი დევს, საშუალება აქვთ და მოთხოვნილება აქვთ, ეს ფული „დაატრიალონ" და, რაკი მისი რაოდენობა ძალიან დიდია, ეს ოპერაცია, შედარებით ნაკლები პროცენტის მოგებით, ამერიკის აწყობილ ეკონომიკურ სისტემაში მოახდინონ.

მოსახლეობის ეკონომიკური ქცევა, ზოგადად აღებული, გათვლას ექვემდებარება. (მაგალითად, მოსახლეობის დაბერება იწვევს დანაზოგის პროცენტულ ზრდას, ასევე — საპენსიო სისტემის სისუსტე. მოსახლეობის გაახალგაზრდავება, პირიქით, დაზოგვის მტერია. ფაქტორები მრავალია და მათი აღწერისა და პროგნოზირების მეთოდები დამუშავებულია). თავისი პოლიტიკა (რომელიც აგრეთვე პროგნოზირებადია ობიექტური პირობების მიხედვით) აქვთ კორპორაციებს (ფირმებს) და სახელმწიფოსაც. ქვეყანათა ერთ პოლუსს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს აშშ, მეორეს — უპირატესად აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოები და მათი სუპერგიგანტი — ჩინეთი, აგრეთვე მენავთობე ქვეყნები, რომლებმაც „შავი ოქროს" გაძვირებით ასტრონომიული თანხები მოიგეს და არ არიან დარწმუნებულნი, რომ ეს ფასები მალე კვლავ არ დაეცემა.

პრობლემა და გამოწვევა, რომელსაც ქვეყანათა და მათ მოსახლეობათა ეს მიმართება შეიცავს, შემდეგია: როდემდე გაგრძელდება იგი? ანუ როდის გახდება ამერიკის „მიმდინარე ანგარიშის" მზარდი დეფიციტი კატასტროფული? როდის შენყვეტენ დღევანდელი „მევალე" ქვეყნები სესხის ძღევას ან, (კიდევ უფრო ღრმად თუ მივუდგებით), როდის აიღებენ მათი მოსახლეობები ხელს პირწმინდა დაგროვების პოლიტიკაზე?

ამ კითხვის პასუხი იმიტომ არის პრობლემატური, — ანუ ეს კითხვა, სულაც, იმიტომ დგას, — რომ სიტუაციის განსაზღვრაში აქ, საკუთრივ ეკონომიკის გარდა, სხვა ფაქტორებიც მონაწილეობენ: ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სხვადასხვა საუკუნეების განვითარების დონისა და ცნობიერების უთანაბრობისა და ა.შ. (თორემ, ეკონომიკური მეცნიერების კლასიკური კანონების მიხედვით, „დამზოგავ" სახელმწიფოსა და მის მოსახლეობას მხოლოდ საბოლოო ტრიუმფის პერსპექტივა უნდა ჰქონდეს, მხარჯველისას კი — კატასტროფისა). აზრი, რომ შეერთებული შტატების საბიუჯეტო დეფიციტი და საგარეო ვალის ზრდა გამოწვეულია არა ამერიკელების „მფლანგველობით" და მათი „ირაციონალური ზედმეტობით", არამედ მას წყარო გარეთ აქვს, სახელდობრ, მისი მიზეზია ის, რომ სხვებს დაგროვება ურჩევნიათ მოხმარებასაც და დაბანდებასაც, მაღალი ტრიბუნიდან პირველად ამ წელს გამოითქვა და დღეს იგი დასავლეთის პოლიტიკური აზრის ერთ-ერთი ამაღელვებელი თემაა.

მომჭირნეობის ანატომია

ეკონომიკური მეცნიერების ის დებულება, რომ დაგროვება (უხეშად) ტოლია დაბანდებისა, ძალაშია მხოლოდ მთელი სისტემისათვის (კაცობრობისათვის), მაგრამ არა ინდივიდუალური ქვეყნებისათვის. ამ ორის ტოლობას (უხეშად) განსაზღვრავს დაბანდებაზე მოგების პროცენტის მექანიზმი (ავტომატურად): თუ დაბანდებაზე მოგების პროცენტი მაღალია, ის დანაზოგიც დაბანდებაში გადაცოცდება. მაგრამ რეალურად — სხვა ფაქტორების გამო — ეს ასე ყოველთვის არ არის. შეიძლება პირიქითაც იყოს: მეტი დაგროვება (რაკი დამგროვებელი ნაკლებს ყიდულობს) ნაკლებ პროდუქციას იწვევდეს (კეინსი, 1936). დღეს ყველა შეთანხმებულია, რომ ჭეშმარიტებას შეიცავს ორივე თეორია —კლასიკურიც და კეინსისეულიც. პირველი მართალია (რა თქმა უნდა) დროის გრძელი მონაკვეთების მიმართ. მეორე — მოკლეების მიმართ, სადაც ოჯახებისა და ფირმების სურვილი, რომ დაზოგონ, და არა პირიქით, დააბანდონ, თავისუფლად ნავარდობს, და იგი შეიძლება კატასტროფული იყოს სუბიექტური ფაქტორებისა და უკმარისი ინფორმირებულობის წყალობით. (ამიტომ ამ მიმართების რეგულირებაში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია).

ის, თუ რა განაპირობებს დაბანდების სურვილს, მეტნაკლებად გათვლადია (რადგან აქ სიტუაციის მათემატიკური მხარე დიდ როლს თამაშობ), რა იწვევს დაზოგვის სურვილს — ბევრად ნაკლებ გათვლადი. სახელდება, მაგალითად, შემდეგი მექანიზმები: 1. კაცი გეგმავს თავისი ცხოვრების მანძილზე ცხოვრების თანასწორი დონე ჰქონდეს. ახალგაზრდობაში არ ზოგავს, შუაწლებში, თუ კარგი შემოსავალი აქვს, მაქსიმუმს ზოგავს, სიბერეში დანაზოგს თანდათან ხარჯავს. 2. ზოგავს „შავი დღისათვის". ეს ფაქტორი უფრო ძლიერია იქ, სადაც ძნელია სესხის აღება. 3. დაზოგვით შვილებს „ქრთამავენ", რომ სიბერეში მოუარონ. 4. დაზოგვით რეაგირებენ მთავრობის პოლიტიკაზე: თუ ხედავენ, რომ მთავრობა არ ზოგავს, თვითონ ზოგავენ, რადგან მთავრობისაგან მიღებული პენსიის იმედზე ვერ რჩებიან. 5. ამ ფაქტორებს ემატება შემოსავალს მიუჩვევლობის ფაქტორი: იზოგება ჩემი შემოსავლის თითქმის მთელი ნამატი, რადგან წლები მინდა, რომ შევეჩვიო უფრო ხელგაშლილ ცხოვრებას, რის საშუალებასაც ჩემი გაზრდილი შემოსავალი მაძლევს. „ნავთობდოლარები" ასეთი მოტივაციის კარგი მაგალითია. 6. საინტერესოა, რომ დაზოგვა მატულობს სახელმწიფოში ფინანსური უსაფრთხოების შერყევის შთაბეჭდლების გამოც. სახელდობრ, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა ზრდის დაზოგვით თავის დაცვის სურვილს — ყველგან, გარდა ამერიკისა (რაც იმას მოწმობს, რომ ამერიკელი თავისი საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას საშიშროებად არ აღიქვამს).

მომჭირნე გიგანტი (ჩინეთი)

ჩინეთის ეკონომიკური წინსვლის წყალობით ოჯახების მოხმარება გაიზარდა. მაგალითად, თუ 1985 წელს ას ოჯახზე ერთი სარეცხი მანქანა მოდიოდა, დღეს 59 მოდის, მაგრამ „თავისი უზარმაზარი დაბანდების ფონზეც კი", — ჩინეთის დაგროვების პროცენტი (ყველაზე დიდი მსოფლიოში) აოცებს ეკონომისტებს. ამის ფაქტორებია: პირველი, ჩინური შემოსავალგაზრდილი ოჯახი ჯერ მიჩვეული არაა მოხმარების გაზრდას. მეორე. ეს ეხება მოსახლეობის შედარებით გამდიდრებულ ნანილსაც, სანაპირო რაიონებს. მესამე. „თითო შვილის" სისტემამ ჩინეთის ურბანულ არეებში შეამცირა მშობლების იმედი, რომ შვილი შეინახავს, ამიტომ თვითონ იქმნიან სიბერის გარანტიას. მეოთხე. სოცდაზღვევის უკიდურესი სისუსტე. მეხუთე. ოჯახის მწვავე საჭიროებისათვის კრედიტის აღების ფაქტობრივი შეუძლებლობა. ჯამში, ოჯახი ზოგავს თავისი შემოსავლის 25%-ს. მიუხედავად ამისა, ჩინეთის დაზოგვის მკვეთრი ზრდა 2000 წლის შემდეგ მხოლოდ ოჯახების დამსახურება კი არაა, არამედ იმისაც, რომ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთნენ კორპორაციებიც და სახელმწიფოც. სახელმწიფოს შემოსავალი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 20 პროცენტია, მისი ხარჯი — ოდნავ მეტი, რაც 2%-იან დეფიციტს ქმნის. მაგრამ ფაქტობრივად, სპეციალისტების აზრით, სახელმწიფო თავისი პირდაპირი მიზნებისათვის (ხელფასები, მომსახურებები, საქონელი...) ხარჯავს ამ თანხის მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტს, დანარჩნს კი (სოციალიზმის წესისამებრ) ზოგავს, რათა ინფრასტრუქტურაში და სახელმწიფო ფირმებში დააბანდოს. ჩინური სახელმწიფო ფირმებიც და კერძოც დღეს აღმავლობაშია ზოგადი ზრდის, დაბალი კაპიტალის პროცენტის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მუშახელის შემცირების წყალობით. სახელმწიფო ფირმებს არ ეკუთვნით სახელმწიფოსათვის დივიდენდის გადახდა, ხოლო კერძო ფირმებში აქციის მფლობელები არ არიან ჩვეულნი, მაინცდამაინც მკაცრად აკონტროლონ კომპანიის მართვის ხარისხი. ეს ფირმები ძალისხმევის დაუზოგავად მიაწყდნენ რჩეულ დარგებს. როგორიცაა

გაგრძელება მე-13 გვერდზე

სხვა ქვეყნები სუქდებიან, ამერიკა ხდება. რატომ? და რა შედეგით?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ალუმინი, ფოლადი, ავტომშენებლობა, ცემენტი. მაგრამ ამ დარგებში ასეთი კონცენტრაციის შედეგად მიღებულმა ზრდამ უკვე გამოავლინა, რომ ტემპს ვერ გაუძლებს: თუ 2004 წელს ინდუსტრიულ ფირმებს 40% მოგება ჰქონდათ, 2005 წლის პირველ ნახევარში იგი 16%-მდე ჩამოვიდა. შემცირდა კაპიტალური საქონლის ზრდის ტემპიც, მაგრამ ამის მიუხედავად ჩინეთიდან დიდი რაოდენობით გააქვთ იმ კაპიტალური დაბანდების შედეგად შექმნილი ნაწარმი, რომელიც მან წინა წლებში მოახდინა, ამიტომ მისი წამლეკავი შეტევა ბაზრებზე და მისი ნაჭარბის ზრდა, მაშასადამე — დანაზოგის ზრდაც რამდენსამე წელს მაინც გაგრძელდება. ის, თუ რა გავლენას მოახდენს ჩინეთის (შიდა) ინვესტიციების ასეთი ციკლური ცვლილება მისი დანაზოგის (დაგროვების) დინამიკაზე, გადაწყდება იმის მიხედვით, როგორ მოიქცევა მომხმარებელი. თუ ფირმები მოახდენენ შემცირებებსა და რაციონალიზაციებს ეკონომიის მიზნით, შეიძლება მათი დაგროვების პროცესი გაძლიერდეს კიდეც. ასეთ შემთხვევაში დაგროვების პროცესი გაგრძელდება ექსპორტიდან მიღებული თანხების წყალობთ. დაგროვების ტემპის ზრდაც კი მთლიანი საშინაო პროდუქტის 10%-ის რაოდენობით არ არის წარმოუდგენელი. ჯამში ჩინეთში დაბანდებათა ტემპი შენელდება, მაგრამ მათი ეფექტიანობა გაიზრდება. აქციონერები უფრო მომთხოვნი გახდებიან, დივიდენდების გაცემა შემოვა და ამით კორპორაციული მოგების უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი წავა ოჯახებში. მოსალოდნელია, — რადგან ქვეყნის ინტერესთა თვალსაზრისით სასურველია, — ჩინეთის ეკონომიკაში ორიენტაციის მნიშვნელოვანწილად გადატანა შინაურ ბაზარზე საგარეოს ნაცვლად, მაგრამ ამის აუცილებელი პირობაა ის, რომ მომხმარებელმა „გამოიღვიძოს", ანუ დაიწყოს ხარჯვა და, ამგვარად, რადიკალურად გაზარდოს ჩინური წარმოებისათვის შინაური ბაზარი.

რატომ არ უნდათ ხარჯვა ნავთობმწარმოებელსა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს?

ჩინეთსა და იაპონიაზე — ამ ორ „ვეშაპზე" ფულის „მგროვებელთა" შორის — იმ დეფიციტის მხოლოდ 40% მოდის, რაც ამერიკას მიმდინარე ანგარიშზე აქვს. დანარჩენი მოდის მენავთობე და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე. ქვეყნების ამ ორ კატეგორიას ფულის შენახვისა და არდაბანდების სხვადასხვა მოტივები აქვთ.

მენავთობეებს, ჯერ ერთი, ესმით, რომ ნავთობის ფასთა ავარდნა შეიძლება დროებითი იყოს, ამიტომ ფულის შენახვა სჯობს დაბანდებას წარმოების გაფართოებაში, რომელიც ეკონომიკურ აზრს დაკარგავს, თუ ნავთობის ფასი, ვთქვათ, ბარელზე 30 დოლარამდე დაიწევს (ბარელი რომ 40 დოლარი ღირდა, მაშინ მათ წელიწადში, ერთობლივად, 207 მილიარდით მეტი დანაზოგი შექმნეს, 2005 წელს 400 მილიარდს ქმნიან). მეორეც, მათ იციან საკუთარი შეცდომები, როცა ნავთობის წინა კრიზისით გათამამებულებმა ზედმეტი ინვესტიციები მოახდინეს. მათი ეს გონივრული თავდაჭერა, მიმომხილველთა აზრით, დიდხანს არ გასტანს, რადგან მათი ძალიან გაახალგაზრდავებული მოსახლეობისათვის პერსპექტივის შექმნის ინტერესი დიდ დაბანდებებს მოითხოვს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ აზიელებს, მათ შორის — „ვეფხვებს", მათ ახსოვთ 1997-98 წლების საშინელი ფინანსური კრიზისი და, გარკვეულწილად, ჯერ კიდევ მისი შედეგის განკურნების პროცესში არიან ეკონომიის საშუალებით. მაგრამ ეს ახსნად არ კმარა. უფრო დიდი ფაქტორია ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ინვესტიციებს ითხოვს და იზიდავს. კიდევ უფრო დიდი ფაქტორია ამ ქვეყნების სტაბილური ორიენტაცია ექსპორტზე, რაც განაპირობებს მისწრაფებას საკუთარი ფულის გაიაფებისაკენ, რაც ექსპორტისათვის სტიმულია, შიდა მოხმარების გაზრდისათვის კი მუხრუჭი.

რატომ ვიდის მსოფლიო დანაზოგები ამერიკაში და ცოტა ინგლისში, მაგრამ არა კონტინენტურ ევროპაში?

ევროს ზონას (იგი თავისი ეკონომიკური წონით ამერიკის 4/5-ს უდრის) აქვს თავისი დანაზოგის მცირე ნამატი (წელს — 36 მილიარდი დოლარი), ამერიკას — როგორც ითქვა, უზარმაზარი დეფიციტი. რას ნიშნავს ეს: რომ ევროპა სკლეროზშია, ამერიკა კი დინამიურია, თუ პირიქით, რომ ევროპა გონიერია, ამერიკა კი თავზე ხელაღებული მფლანგველი? პასუხი კომბინირებულია. ჯერ ერთი, ევროპის საერთო შედეგი მოიცავს ერთმანეთში უაღრესად განსხვავებული ქვეყნების სურათებს (მაგ. ესპანეთის ეკონომიკა მუშაობს და დეფიციტი დიდი აქვს, გერმანია, პირიქით, დანაზოგთა დიდი ექსპორტერი გახდა და მისი წარმოება ბენზზე გადაუჩრა სტაგნაციას). მეორეც, ევროპას მთლანობაში საერთო მახასიათებლებიც აქვს ამ კითხვასთან დაკაშირებით: ესაა მეტი სტრუქტურული რიგიდობა (უძრაობა), პოლიტიკოსთა არც თუ დიდი ნდობა კეინსის იდეებისადმი (იხ. ზემოთ) და ფინანსური სისტემა, რომელიც არც თუ კეთილად ეკიდება მოხმარებას.

ჯერ კიდევ 20 წლის წინ ამერიკისა და ევროპის ვითარება მსგავსი იყო: ამერიკის ოჯახთა დაგროვების საშუალო ნორმა იყო შემოსავლის 9%, ასევე საფრანგეთისა, გერმანიისა — 12%, ესპანეთისა — 8%, ბრიტანეთისა — 7%. შემდეგ ეს პროცენტი დაეცა ყველგან (ყველაზე ნაკლებად — გერმანიაში და შეუდარებლად მეტად — ამერიკაში). ამ განსხვავების მიზეზი იყო უფრო დიდი მოგება კაპიტალზე და ფინანსური სისტემის სიახლეები ამერიკაში. დიდმა მოგებამ კაპიტალზე (მაშასადამე დაბანდებაზე), აგრეთვე იმან, რომ ამერიკაში კრედიტის მიღება ადვილია, განაპირობა ევროპელთა და ამერიკელთა გზათა გაყოფა. დღეს ამერიკელები ზოგავენ შემოსულის 1%-ზე ნაკლებს, ევროპელები —10%-ს. ევროპას, საერთო ჯამში, ბევრად ნაკლები მაკროეკონომიკური სტიმული მოეპოვება, ვიდრე ამერიკას.

შეუძლია თუ არა ამერიკას უცხოელებისაგან სესხება გააგრძელოს უსასრულოდ?

მაგრამ ამერიკის აქტივები უცხოეთში, როგორც წესი, ბევრად უკეთ მუშაობენ, ვიდრე უცხო აქტივები ამერიკაში. ამის ერთი მიზეზია ის, რომ ყველა მსოფლიო რეზერვები განსახიერებულია დოლარებში, ანუ იმ ვალუტაში, რომლის ბედი დამოკიდებულია ამერიკელებზე და არა სხვებზე. დოლარის კურსზე დამოკიდებულია ამერიკის ვალის რეალური წონა. მეორე მიზეზი ისაა, რომ ამერიკელების პარტნერები მათი დოლარებისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვის ოპერაციებში არიან პარტნერ სახელმწიფოთა ცენტრალური ბანკები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან, რომ მათი ქვეყნების ვალუტა არ გაძვირდეს (რაც ექსპორტს შეაფერხებს). ეს მათთვის უფრო დიდი საშრუნავია, ვიდრე ის, თუ რამდენად მომგებიანი სახით დაუბრუნდებათ მათ ის 2 ტრილიონზე მეტი დოლარი, რომელიც ამერიკელებზე გასესხებული აქვთ (მათ მიერ ამ დოლართა ყიდვის სახით). არსებობს პოპულარული აზრი, რომ ის, თუ რამდენი დოლარი უნდა იქნეს ნაყიდი ამერიკისაგან საერთოდ, პეკინში წყდება. როგორც ზემოთ ითქვა, ის, თუ როდის დაეცემა დოლარი (რითაც ჩინეთი წააგებს, ბევრ სხვასთან ერთად), ამერიკაში წყდება. ამგვარად, ამერიკა „ჩაკეტილია ფინანსური ტერორის რკალში ჩინეთთან ერთად", ისინი ერთმანეთის ფინანსურ პოლიტიკაზე დამოკიდებულნი არიან (რა თქმა უნდა, არა სამუდამოდ). აქ აუცილებელია შენიშვნა. წლეულს, 2005 წელს ჩინეთს თავისი სავალუტო რეზერვების შემქმნის პროცესი არ შეუნელებია, მაგრამ ეს, ძირითადად, არა დოლარს, არამედ სხვა ვალუტის შეძენით მოახდინა. (დოლარი ამით მაინც გაძლიერდა, სხვადასხვა მექანიზმთა მოქმედების შედეგად, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში არსებითი არ არის). ზოგად პროგნოზს ეს კერძო ფაქტი არ ცვლის; ამგვარად, ჯერჯერობით (პერსპექტივაში, რომელსაც ბოლო ამ ეტაპზე არ უჩანს) დოლარის დღევანდელი შემსყიდველები თავის შესყიდვებს განაგრძნობენ და ამერიკული დეფიციტი არანაირად არ ამეტყველდება. ეს, თითქოს შვების მომგვრელია. მაგრამ მხოლოდ „თითქოს", რადგან ეს გარემოება განზიდავს ამერიკელების ყურადღებას თავისი ეკონომიკის ხელახალი დაბალანსების ამოცანისაგან.

ამერიკა მაინც მუძარის ფინაშია

აღწერილი დიზბალანსი ამერიკას ტვირთავს (და ასუსტებს) არა მხოლოდ იმით, რომ ვალს ადებს (რომლის მომსახურებასაც ადრე თუ გვიან ექსპორტზე ზრუნვა დასჭირდება. დღეს ამერიკის ექსპორტი დაუშვებელად მცირეა — მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 10%), არამედ იმითაც, რომ მომხმარებლის როლი, რომელიც ამერიკას ნაკისრები აქვს (იხ. ზემოთ), ძალიან მძიმეა. ამერიკელი მომხმარებელი გადატვირთულია, მას დიდი პროცენტი სტაბილური შემოსავლისა მისდის ვალთა (მართალია, დაბალპროცენტიან, მაგრამ მაინც ვალთა) მომსახურებაში და იგი მზად არაა ფინანსური შოკებს ებრძოლოს, თუკი ასეთები გაჩნდა.

და ბოლოს (რედაქციისაგან)

ჟურნალის მიმოხლვაში უხსენებლად არის დატოვებული ერთი ფაქტორი, რომლის არსებობა და ძალა უკეთ იციან სოციალისტური სულისკვეთების იმპერიის შემადგენლობაში ნამყოფმა ადამიანებმა, ვიდრე მასში არნამყოფმა ანალიტიკოსებმა: როგორც კი გაჩნდება დასავლეთ-აღმოსავლეთის მიახლოებით ტოლძალოვანი დაპირისპირების შესაძლებლობა (დღეს ეს დაპირისპირება ასეთი არ არის), ამ გამარჯვების მიერ ხაზი გადაესმება ყოველგვარ მოტივაციებს ამ დაპირისპრებაში მოგების გარდა, თვით ეკონომიკურის ჩათვლით, და ყველაფერი დაექვემდებარება ამ მკაფიოდ გამოხატულ „ფიზიკალისტურ" — არა „მონეტარისტულ" მიზანს. ამ პერსპექტივის ფრთხილი მიმანიშნებელია თვით მიმოხილვაში მოყვანილი ერთი ეპიზოდი: „ფურორმა ჩინეთის ვერშემდგარი განზრახვის — საშუალო ზომის კალიფორნიული ენერგოკომპანიის „უნიკალის" შეძენისამ — გამოაჩინა, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები შეფიქრიანებულნი არიან ჩინეთის მზარდი დამგროვებლური ნაჭარბის თაობაზე. ისინი, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ კარგია ჩინეთის მხრიდან ამერიკული ხაზინის ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, მაგრამ არა სანარმოო სიმძლავრეებისა". საპირწონე ფიქრები, ალბათ, ჩინელ პოლიტიკოსებსაც აქვთ.

რუსული მხატვრობა ნიუ-იორკში

THE ECONOMIST პეტერბურგის ერმიტაჟის — სახვითი ხელოვნების რუსეთის ყველაზე ღირებული მუზეუმის — მაყურებლებისადმი სიბრალულით წერს, რომ ისინი მრავალი თვის მანძილზე ვერ იხილავენ ამ საცავის ყველაზე ძვირფას ექსპონატებს — ისინი მიემგზავრებიან ნიუ-იორკში, სადაც გამოიფინებიან გოგენშაიმის მუზეუმში და პარალელურად ექნებათ უფრო ნაკლებ ღირებული გამოფენა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ „საგრიალო" წერტილში — ლას-ვეგასში (აქ კეთილშობილი ქვების გამოფენაც იქნება იმავე რუსეთიდან). სიტყვა-სიტყვით თუ გამოვედევნეთ, ჟურნალის ინფორმაცია სავსებით ზუსტი ვერ არის, რადგან ერმიტაჟის ყველაზე დიდი ღირებულება არიან იქ გამოფენილი ევროპელი ფერმწერები (საკმარისია ითქვას, რომ იქ რემბრანდტის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კოლექციაა დაუნჯებული), და არა რუსები, მაგრამ ჟურნალი აქცენტს უსვამს სხვას — რომ მაყურებელი გაეცნობა რუსეთის ხელოვნებას, როგორც ასეთს. მისი ფორმულირებები ფრთხილია, ტაქტიანია და უაღრესად ზუსტია: მაგალითად, იგი წერს, XVIII-XIX საუკუნის რუსული ფერწერის გამოფენა იმ მომენტს „იჭერსო", როცა რუსები ხელს იღებენ დასავლელი ოსტატების სიტყვაშეუბრუნებელ მიყოლაზე (ლაპარაკია ეკატერინე II-ის ეპოქასა და კლასიციზმზე) და როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე საკუთარი თავის აღმოჩენას იწყებენო. ეს საკუთარი რეალობა სევდიანია, ჩაფიქრებული და ჩაფიქრებისაკენ მომწოდებელი, საკუთარ თავში ჩაღერმავების განწყობილებით აღბეჭდილი (იმაზე, თუ რას მიაღწია — თემატურად, სტილისტურად თუ ტექნიკურად — რუსეთის ფერწერამ ამ რეორგანიზაციის შემდეგ, კერძოდ, რას მიაღწია თავის თანამედროვე ევროპულ ფერწერასთან მიმართებაში, ტაქტიანი ჟურნალი, ბუნებრივია, არ მსჯელობს). თუმცა უშუალოდ რევოლუციის წინმსწრებ მხატვრობას — ე.წ. რუს „ავანგარდისტებს" — ევროპაში იცნობენ (მათი დიდი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, მათ ტილოთა დიდი ნაწილი იქ შეიქმნა და დიდი ნაწილიც სსრკ-დან დასავლეთში გადაადგილდა), ჟურნალი ვარაუდობს (სავსებით სამართლიანად), რომ მაყურებელი დაინახავს იმ კონტექსტს, რომელშიც ისინი ალმოცენდნენ, მათი ფონის იმ არსებითი ნაწილის ჩათვლით, რომელსაც ხატწერის ტრადიცია შეადგენს. ჟურნალი, ჩვეული ლაკონურობითა და სიზუსტით, გვახსენებს რუსული (და საბჭოთა) სახვითი (და არა მხოლოდ სახვითი) ხელოვნების ისეთ კარიკატურულ გამოვლენასაც, როგორიც იყო „სოციალისტური რეალიზმი" (გამოფენაზე მისი ნიმუშებიც მიაქვთ თითო ოროლა) — „სოციალისტური რეალიზმი მერყეობს აფექტირებულ გულუბრყვილობასა და კრიმინალურ ფარისევლობას შორის" (აქ ლაპარაკია იმ გამოფენაზე, რომლის ექსპონატებიც დაყადაღდა ამ რამდენიმე დღის წინ)..

ირანის პრეზიდენტმა შვება იგრძნო

აზერბაიჯანის არჩევნები ბრიტანელთა თვალით
(და დიდი თავაზიანობით)

ჟურნალი The Economist (ჩვენი მკითხველისათვის კარგად ცნობილი, უნიკალური ანალიტიკური დონისა და ობიექტურობის ჟურნალი) აზერბაიჯანში ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებს წინადღით (5. XI. 2005) უკიდურესად თავაზიანი, მაგრამ არსებითად ფრიად მრუმე პროგნოზით შეჰხვდა. ეს უკიდურესი თავაზიანობა — და, მასთან ერთად, უჩვეულოდ ოფიციალური, არაშეხუმრებითი კილო, რომელიც ამ ჟურნალს საერთოდ არ ახასიათებს მსოფლიოს დიდ ბოსებთან ურთიერთობაშიც კი, — განპირობებულია, უთუოდ, ერთგვარად შეგონებითი მიზნით: ჟურნალს უნდა, დაითანხმოს ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის ლიდერი, რომ არჩევნების პროცედურას რაც შეიძლება ნამუსიანად გაუძღვეს. ფონის დასახასიათებლად შევახსენებთ მკითხველს: წინა პუბლიკაციაში აზერბაიჯანული პოლიტიკური ვითარების შესახებ იგივე ჟურნალი დაუფარავი ირონიით აყენებდა კითხვას: მოხდება თუ არა „საზამთროსფერი“ რევოლუცია აზერბაიჯანში? ამჯერად, ჟურნალი წერს (შემოკლებით ვაგრძელებთ ამ ტექსტს)სათაურით:

„კასპიის ზღვის წინააღმდეგობა“ — აზერბაიჯანისა და მისი პრეზიდენტის ორი სახე

„გაურკვეველ კავკასიაში საგნები და ამბები იშვიათად თუ არიან ის, რადაც ჩანან. ასე იყო 6 ნოემბრის არჩევნების წინა კამპანიის საქმეც.

ერთი კამპანია მოიცავდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის დეკრეტებს არჩევნების სწორად ჩატარების თაობაზე, კანდიდატების ღია რეგისტრაციას, ეგზით-პოლების ჩატარების გეგმებს და პოლიტპატიმების გათავისუფლებას. მაგრამ ამ თავაზიანობათა მიღმა და მათს სიღრმეში შეფარულია სხვა კამპანია, რომელმაც შეაშფოთა უცხოელი დამკვირვებლები არჩევნებზე და ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. ამ უკანასკნელის რაობაზე მეტყველებს ოპოზიციის კანდიდატთა და მათ მომხრეთა ცემა და დაკავება, მედიის მიკერძოებული პოზიცია და უცნაური დამოწმება შეთქმულებისა გადატრიალების მიზნით, რომელსაც მოჰყვა განდევნილი ოპოზიციური ლიდერის შინ დაბრუნების იდუმალებით მოცული ჩაშლა. ამ არჩევნების შესახებ ჯერჯერობით შეგვიძლია ვიმსჯელო როგორც არა უფრო მეტად სუფთაზე, ვიდრე იყო გაყალბებული სიები საპრეზიდენტო არჩევნებისა 2003 წელს, როცა მისტერ ალიევი მემკვიდრეობით ჩაენაცვლა თავის მამას, საბჭოთა დროის ბოსს ჰაიდარ ალიევს, რომელმაც თავისი ქვეყანა კიდევ ერთხელ მართა თავისი სიცოცხლის ბოლო 10 წელიწადში.

აზერბაიჯანი მნიშვნელოვანია — ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მეზობელი საქართველო, რომელსაც, მისი ტელეგენური და ინგლისურად მოლაპარაკე პრეზიდენტის სააკაშვილის წყალობით, ზოგადად, უფრო მაღალი პროფილი აქვს. აზერბაიჯანს უფრო დიდი მოსახლეობა ჰყავს (8მლნ) და მათში უმრავლესობა მუსლიმანია. იგი მძიმე („უხეშ“) გარემოცვაშია: ჩრდილოეთით ჰყავს რუსეთის ანარქიული რეგიონი დაღესტანი, სამხრეთით ირანი. მას დაკარგული აქვს თავისი ტერიტორიის ნაჭერი 1990-იან წლებში სომხეთთან ომში, რომელიც შესაძლებელია კვლავ განახლდეს. გარდა ყველაფრისა, მას აქვს ნავთობი და გაზი. ერთსაც და მეორესაც ახალი სადენები მალე გაიყვანენ კასპიის ზღვიდან ხმელთაშუისაკენ. თავის არჩევნებსავით, აზერბაიჯანს ორი სახე აქვს. იგი ამაყია, ბუმით მოცული ნაციაა, დასავლეთიზრიებული ელიტითა და ეფექტური დედაქალაქის, ბაქოს მქონე, ამასთანავე, იგი გროტესკულად კორუმპირებულია, კლანური შუღლებით მოცული,მისი ბიუროკრატები სუქდებიან მრუდე გზებით იმ დროს, როცა მოსახლეობის 40% ღატაკია.

ნავთობმა, რუსეთან კონკურენციამ გავლენისათვის ყოფილ საბჭოთა კავშირში და აზერბაიჯანის სტრატეგიულმა მდებარეობამ შეიძლება გვიკარნახოს აზრი, რომ ამერიკა და ევროკავშირი კმაყოფილნი იქნებიან ალიევისა და იმ სტაბილობისა, რომელსაც იგი, — როგორც ჩანს, — გვპირდება. მაგრამ ეს იქნებოდა არასწორი პოლიტიკა — დასავლეთისათვისაც, რომელსაც სჭირდება რეპუტაცია სამუსლმანოში, და თვით აზერბაიჯანისთვისაც. ამ ქვეყნის არჩევანი, შესაძლოა, ასეთია: ან დემოკრატიის მომატება ახლა, ან უფრო დიდი უსამოვნებები ათი წლის ან ცოტა მეტის შემდეგ, როცა ნავთობდოლარების მნიშვნელოვანი ნაწილი გაფლანგული იქნება.

. ნამდვილი გამოცდა („ტესტი“) ეხება მისტერ ალიევს, რომელიც ისევეა კავკასიური გამოცანა, როგორც მისი ქვეყანა. დასავლეთის გასაგონად იგი ლაპარაკობს კორუფციის დაძლევაზე, კეთილდღეობის გავრცელებაზე და ევროპასთან გაერთიანებაზე. ამ მისტერ ალიევს, — ასე ჩანს, — ესმის, რომ რაკი ძალაუფლება აზერბაიჯანში უპირატესად პრეზიდენტის ხელშია (და მისი საპარლამენტო პარტია პოპულარულია), კიდევ ერთხელ გაყალბებული არჩენები მას ზიანს მეტს მოუტანს, ვიდრე სარგებლობას, ამიტომ იგი ცდილობს მოთოკოს გაურეფორმებელი ოფიციალური პირები, რომლებიც არჩევნებს მართავენ. და მეტისმეტად მონდომებული პოლიციელები. მაგრამ მეორე მისტერ ალიევი საიდუმლო შეთანხმებაშია მათთან. ეს მეორე მისტერ ალიევი უარყოფს თავაშვებული დარღვევების არსებობას ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში და მას ვერ დაუძლევია რეფლექსსებრი პოსტსაბჭოური ეჭვიანობა ოპოზიციის მიმართ, აგრეთვე ის დარწმუნებულობა, რომ მხოლოდ წამლეკავი საარჩევნო გამარჯვებებია ღირებული. როცა არჩევნები ჩატარდება, მომავალ კვირაში, მისთვის არ იქნება საკმარისი იმის განცხადება, თავის მოჩვენებით რეფორმატორებთან ერთად, ჩვენ გარდამავალ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა გვყავსო: მან ბოლო უნდა მოუღოს პოლიტიკურ დაშინებას და მიჰხედოს იმას, რომ საარჩევნო დარღვევათა ჩამდენნი დაისაჯონ. ესაა მისტერ ალიევის შანსი იმის დამტკიცებისა, რომ იგი ნამდვილად დემოკრატიული ლიდერია და არა მოჩვენებითი.

მკითხველმა იცის, რომ ჟურნალის პროგნოზი ამხდარია — ძირითად ხაზებში მაინც.

ბალკანეთის ქვეყნები უახლოვდება ევროპას

THEECONOMIST-ის ამ წერილის მიერ მოტანილი ინფორმაცია — მისი, ასე ვთქვათ, მესეჯი. — იმდენადვე დევს გადმოცემის სტილსა და ტონალობაში, რამდენადაც ფაქტებსა და არგუმენტებში. ამიტომ შრომად ღირს იგი მცირე შემოკლებით ტექსტობრივად მოვიყვანოთ.

„როდესაც ფრანგმა და ჰოლანდიელმა ამომრჩეველებმა უკუაგდეს ევროკავშირის კონსტიტუცია, ამ შერყევის ტალღებმა მალე მიაღწია ბალკანეთს. 2003 წელს ევროკავშირის ლიდერები ამ რეგიონს ჰპირდებოდნენ სამომავლოდ ევროკავშირში გაწევრიანებას. ხომ არ ელოდა ახლა ამ პირობას დარღვევა? მოულოდნელია, მაგრამ ამ ბოლო თვის ზოგი მოვლენა მეტყველებს, რომ პირობა არ დაირღვევა. მრავალი წელი და მრავალი მალული გასაცდელი ჯერ კიდევ წინაა. მაგრამ, მიუხედავად წინააღმდეგობისა მის ზოგიერთ დანაყოფში, როგორც ჩანს, მისმა პოლიტიკის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ უმჯობესია ეს ქვეყნები იყოლიონ თავისი კლუბის შიგნით, ვიდრე გარეთ დატოვონ ახალი საშრუნევაბის გასაჩენად.

რუკის შეხედვა აგვიხსნის, თუ რატომ. 2007 წელს რუმინეთი და ბულგარეთი ევროსაბჭოში უნდა მიიღონ, თუმცა არაა გამორიცხული, ამ ვადამ 2008 წლამდე გადაიწიოს. ეს რომ მოხდება, ბალკანეთის დანარჩენ ქვეყნები გარშემორტყმულნი აღმოჩნდებიან ევროკავშირით. თუ მათ არ ექნებათ ევროკავშირში გაწევრიანების ნამდვილი პერსპექტივა, ამას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ბალკანეთის ღარიბთა რეზერვაციაში მოქცეულნი თავისი 22 მილიონი მოსახლეობითურთ, ეთნიკური კონფლიქტებითურთ, ისინი გარდუვალად მოცულნი აღმოჩნდებიან კონტრაბანდით და დანაშაულობით. ყოველივე ამის ღირებულებასთან შედარებით მათი გაწევრიანება ევროკავშირში შეიძლება ბევრად უფრო იაფი აღმოჩნდეს.

ამ ლოგიკის ძალით, ბულგარეთმა ერთი თვის წინ დასტური მიიღო მისი ფორმალური მიღებისათვის ევროკავშირში. ერთი კვირის შემდეგ სერბიამ და მაკედონიამ დაიწყეს წინასწარი მოლაპარაკებები, რომლებიც მათ მომავალში ევროკავშირამდე მიიყვანს. კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი ევროპის კომისია გამოთქვამს თავის პოზიციას ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მაკედონიის მომართვის თაობაზე.

უცაბედი თანხვედრა არ არის, ყოველივე ეს რომ ახლა ხდება. გადაწყვეტილებამ ხორვატიის შესახებ გააადვილა ავსტრიის დათანხმება იმაზე, რომ მოლაპარაკებები იქნას დაწყებული თურქეთთან. სერბიის

დაიმედება და წახალისება იმის საშუალება იყო, რომ შეემსუბუქებინათ მისთვის იმ ამბის მოსმენა, რომ გაეროს გენერალური მდივანი აღჭურვილია უფლებამოსილებით დაიწყოს მოლაპარაკება კოსოვოს მომავალზე, რომლის მოსახლეობა 90%-ად ეთნიკური ალბანელია. კოსოვოს, როგორც ჩანს, ელის დამოუკიდებლობის რაღაცა ფორმა სერბების ნებისდა საწინააღმდეგოდ. გაისად შესაძლებელია მონტენეგრომაც ჩაატაროს რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ. ეს მოვლენები ნაკლებ მძიმე მოსანელებელი იქნება სერბიისათვის, თუ წინ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა ექნება.

ბოსნიაში საერთაშორისო პროკონსული ჰედი ეშდაუნი ამბობს, რომ ის აურაცხელი ძალიან საჭირო რეფორმა, რაც ამ ქვეყანაში გატარდა ბოლო ორ წელიწადში, გავიდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ქვეყნის ლიდერებს ესმოდათ, ეს იყო ევროკავშიში მიღების საფასური. მიმზიდველობის ასეთივე ფაქტორმა იმუშავა მაკედონიაში. 2001 წელს მაკედონიაში ყოვლისმომცველი სამოქალაქო ომის ჩაცხრობის შემდეგ აქაურობა ალბანელებმა და მაკედონელებმა მთავრობაში ერთად იმუშავეს დიდწილად მხოლოდ იმის წყალობთ, რომ ერთად აქვთ იმედი ევროკავშირში შევიდნენ. ყველა მხარე დღეს იმისთვის ლოცლობს, რომ კომისიამ დადებითი პასუხი უთხრას, რომ დეკემბრის თვეში მაკედონიას უკვე მიეცეს მისი სანატრელი კანდიდატობის სტატუსი. მაგრამ დიპლომატთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მას აენთება მხოლოდ ყვითელი შუქი და არა მწვანე, ანუ მას დასტურს მისცემენ კანდიდატობისას, მაგრამ კონკრეტულად არ დაჰპირებიან, როდის უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები მიღების თაობაზე. ევროპის ზოგი სახელმწიფო ამის თანახმაც კი არ არის.

პრობლემა ის არის, რომ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც ოფიციალურად არიან მიღებულნი წევრობის კანდიდატებად, არიან უფლებამოსილნი მიიღონ დიდძალი დახმარება. „ევროპის სტაბილზაციის ინიციატივად“ წოდებული სააზროვნო კრებული (THINK TANK), რომელსაც ბინა ბერლინში აქვს, თვლის, რომ ბულგარეთისათვის მისაცემი დახმარება 340 მილიონ დოლარიდან 2003 წელს გაიზრდება 1,6 მილიარდამდე 2009 წელს, მაგრამ სერბიისათვის, რომელსაც იმავე რაოდენობის მოსახლეობა ჰყავს, დახმარება დაეცემა 240 მილიონ ევროდან 117 მილიონამდე. ეს მიდგომა, სააზროვნო კრებულის აზრით, არის მოკლე დროით გაანგარიშების ნიმუში, რომელიც ვერაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაიცვას რეგიონი, — და, მაშასადამე, მთელი ევროკავშირიც, — ახალ-ახალი ბალკანური პრობლემების გაჩენისაგან.

იტალია და ერაყი

ჟ. THE ECONMIST სავსებით იმის კურსშია, რომ მატერიალური ობიექტი შეუძლებელია ერთდროულად ორ სხვადასხვა ადგილას იმყოფებოდეს. მაგრამ ისიც იცის, რომ არაპირდაპირი სატელევიზიო ეთერი საშუალებას გაძლევთ ერთდროულად გვერდგვერდით მდგომ ორ ეკრანზე გამოჩნდეთ არა თუ სხვადასხვა წერტილებში მდგომი, არამედ ურთიერთსაპირისპირო აზრის გამომთქმელიც კი. ასეთი კაზუსით გამდიდრდა თურმე იტალიის ლიდერის ბერლუსკონის ბიოგრაფია, როცა იტალიაში იგი ერთდროულად აჩვენეს ბუშის გვერდით მდგომიც თეთრ სახლში და მშობლიური იტალიის ერთ-ერთ სტუდიაში მოლაპარაკეც. პირველ ვითარებაში მისი ტექსტი იყო: „ამერიკის გვერდიგვერდ, მისი მოკავშირე ვართ დემოკრატიისა და თავისუფლების საზღვართა განვრცობაში“, რაც „ნეო-კონთა“ („ნეო-კონსერვატორები“. ბუშის ვიწრო შიდაჯგუფი) ჩვეულებრივი ლექსიკონის ნაწილია. მეორე შემთხვევაში იგი ინტერვიუერს ეუბნებოდა იმავე ერაყის ომთან დაკავშირებით „არასოდეს ვყოფილვარ დარწმნებული, რომ ომი ქვეყნის გადემოკრატების საუკეთესო საშუალებაა“, ანუ გამოთქვამდა ზუსტად იმავე არგუმენტს, რაც საფრანგეთს და გერმანიას ჰქონდათ თავის დროზე ერაყის ომის წინააღმდეგ. ოპოზიციამ, რომელსაც თავისი ქვეყნის ლიდერი „ამერიკელების პუდელად“ მიაჩნია, ისარგებლა ამით, რათა კვიმატი კითხვები დაესვა და კვიმატი ეჭვები გამოეთქვა. ამ კითხვებს, რა თქმა უნდა, პასუხები მოეძებნა — ზოგი მეტად გამართული ლოგიკურად და ზოგიც — ნაკლებად. ის პასუხი ამ მრავალთა შორის, რომელსაც ჟურნალი „ცინიკურს“ უწოდებს, შემდეგია: ბერლუსკონი აპრილში არჩევნებს მოელის, ხოლო ამერიკელების მხარდაჭერა ერაყის ომში იტალიელთა თვალში არაპოპულარულიაო“.

ახალი მუსლიმანი ქალები არჩევნების რიგში

ეპიზოდს სერიოზული მხარეც აქვს. იტალია დაახლოებით იმ მდგომარეობაშია, რომელშიც იყო ესპანეთი, როცა ალ ყაიდამ მატარებლები აუფეთქა (191 მსხვერპლი) და არჩევნების მსვლელობას მთავრობის მოწინააღმდეგეებისკენ უბიძგა. ეს მაგალითი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იტალიის კონტინგენტი ერაყში ყველაზე მრავალრიცხოვანია ამერიკისა და ინგლისის შემდეგ. არის კიდევ ერთი მხარეც: დარხეულია ხმა, რომ ამერიკელებს და ბრიტანელებს ყალბი დოკუმენტები ერაყში მასობრივი მოსპობის იარაღის არსებობის შესახებ იტალიურმა სპეცსამსახურებმა „შეუცურეს“ ამების მიზნით (არაპირდაპირი გზით). ბერლუსკონის დემონსტრაციული გამიჯვნა ამ ომისაგან ამ ვერსიის გაბათილებასაც ნიშნავს.

სამხრეთ ერაყშიც დაცხა

რაა, ბოლოსდაბოლოს, „ბრიტანელობა“?

ჩვეულებისამებრ რბილი ირონიით შემკულ წერილში THE ECONOMIST იხილავს იმიგრაციის მსურველთათვის დასასმელი კითხვების პრაქტიკას გაერთიანებულ სამეფოში და სხვაგან. რომელ ქვეყანაში რა თემა ჭარბობს და რომელში — რა. არის ასეთი მიდგომა: „გავაცნოთ მომსვლელს ჩვენი ქვეყანა“. არის ასეთიც: „გავიცნოთ მომსვლელი, შევატყოთ, რამდენად გამოადგება ჩვენს ქვეყანას. პატრიარქალური კითხვები, ბუნებრივია, ყველგან უხვად არის: არკვევენ, რამდენად გამოადგება მომსვლელი თავის ახალ „სამშობლოს“. ბრიტანულ პრაქტიკაში ამ კითხვებს წონა არ ენიჭება. არგუმენტაციისათვის დამოწმებულია მაქსიმალურად კომპეტენტური კაცი — ავტორი ორი თავისა სამი თავისაგან შემდგარ ბუკლეტში ბრიტანეთის შესახებ, რომლიდნაც ნასესხებია გამოსაცდელისათვის მისაცემი კითხვების დიდი ნაწილი. იგი ამბობს, რომ ბრიტანელთა ეროვნულ კულტურას მჭლე განსაზღვრება აქვს. ამის მიზეზია რევოლუციური მემკვიდრეობის სიმწირე და კონსტიტუციის უქონლობა. „ბრიტანელობა ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ბრიტანეთში ცხოვრობთ, იდეალების ნაცვლად ჩვენ გვაქვს (დაუწერელი) წესები“. მისი ბუკლეტის 101-ე კითხვას „როგორ უნდა მოიქცეთ, თუ უცაბედად დაუქციეთ სასმელი უცხო პირს?“ რეკომენდირებული პასუხი ასეთი აქვს: „კარგი მანერები მოითხოვს (და გონივრულიცაა) მას შესთავაზოთ ახალი სასმელის ყიდვა“.

ბრიტანელთა გემოვნების ლაბირინთები

ინგლისში არსებობს უცნაური ეროვნული კანონები, მაგალითად, კანონი გეუბნებათ, რომ „ანტისაზგადოებრივი ქცევა“ ათი წლის ასაკის ზემოთ, რომელიც „აწუხებს, შფოთში აგდებს ან ანაღვლებს“ სხვებს, აკრძალულია განურჩევლად იმისა, შეიცავს თუ არა თქვენი ქმედება დანაშაულს. სასამართლოს შეუძლია უბრალო ზეპირი ჩვენებით აგიკრძალოთ რომელიღაცა ადგილას მისვლა, რომელიღაცა სიტყვის ხმარება ან რაღაცის ჩაცმა და დახურვაც კი. თუ აკრძალვას დაარღვევთ, მაშინ შეიძლება 5 წლამდე ვადით ციხეში აღმოჩნდეთ. ასეთი დრაკონული კანონები ბრიტანეთში პროტესტს არ იწვევს. სპმაგიეროდ ბრიტანელთა მხრიდან მკვეთრ წინააღმდეგობას იწვევს კანონები, რომლებშიც მითითებულია არა აკრძალული მოქმედების შედეგი (მაგალითად სხვების შეწუხება), არამედ კონკრეტული მოქმედება, რითაც მოქალაქეს ერთმევა შესაძლებლობა რაღაცის ქმნისა, რაც, შესაძლოა, აქამდე აზრადაც არ მოსვლია. მაგალითად, ცხადია, რომ აკრძალვა ტრანსპორტში გამოთრობისა (რაც დიდი სოციალური პრობლემა არ არის, მაგრამ მაინც პრობლემაა), საზოგადოების მიერ აღიქმება მისი თავისუფლების ხელყოფად (მაგ. ასეთი ლოგიკით: კაცს შრომით ფული უშოვია, შინ მიემგზავრება. ვის აქვს უფლება, შეუშალოს სასმელით შექცევა და გუნებაზე მოსვლა?). დაკვირვებული ბრძენი, რომელსაც ჟურნალი იმოწმებს, ამ გემოვნებაში შემდეგ ლოგიკას ხედავს: ბრიტანელები ვერ იტანენ, რომ ვიღაცა (ამ შემთხვევაში — კანონი) ზღვარს უდებდეს მათ ჰედონიზმს (სიამოვნებათა მაძიებლობას). მაგრამ ვერც იმას იტანენ, რომ მათ აწუხებდეს სხვისი ზღვარდაუდებელი ჰედონიზმი“ (THE ECONOMIST)

ტონი ბლეირი ებრძვის „ტრეფიკს“

ტონი ბლეირი აპირებს შეებრძოლოს სქესობრივი მონების შემოყვანას აღმოსავლეთ ევროპიდან. ახალ წელს განზრახულია კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რომლითაც გაიზრდება პოლიციის უფლებამოსილებანი. ბლეირს ჰსურს, ტორორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ამოცანაში შევიდეს ამგვარ დანაშაულთან ბრძოლაც. ამაში შედის სატელეფონო მოსმენების უფლებაც და დადგენილ 48 საათზე მეტ ხანს ბრალდების წაუყენებლად დაკავების უფლებაც. გაზ. SUNDAY TELEGRAPH-ის ცნობით ეს განზრახვა ემყარება გამოძიების მასალებს, რომლებიც მეტყველებენ, რა იაფია აღმოსავლეთ ევროპაში ახალგაზრდა ქალის ყიდვა და რა ადვილია მისი გადაყვანა ბრიტანეთში. ასე მაგალითად, ბუქარესტში 2000 ევროდ იყიდეს 19 წლის ასაკის გოგონა გამზადებული სამგზავრო საბუთებითურთ. წელიწადში ინგლისში 6000 ასეთი ქალი მოდის. ბლეირის კონკრეტული წინადადებები მოსალოდნელია დიდი კამათის საგანი გახდეს მინისტრებსა, სამოქალაქო უფლებების დამცველებსა და მეამბოხე ლეიბორისტ პარლამენტარებს შორის.

საწვავის ფასები დასავლეთში

2000 წელს საბარგო მანქანების შოფრების მასობრივმა აქციებმა ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებს უკან დაახევინა: საწვავის ფასები აღარ გაიზარდა. მთავრობები შეთანხმდნენ, საწვავის დაბეგრვას აღარ მოუმატონ. მაგრამ ფასები კვლავ მიდის მაღლა-მაღლა და ევროკავშირის მთავრობები არღვევენ თავის ფიცს პირდაპირი ან ირიბი ფორმით. ინგლისმაც კი, რომელიც ამ ფრონტის ყველაზე მყარი წევრია, გადაავადა გადასახადთა მორიგი გაზრდა. არაპირდაპირი შანტაჟია, მაგალითად, ის, რომ ავსტრიამ კომპანიებს აღუთქვა მათი მოგების წამლეკავი დაბეგვრა, თუ საწვავის ფასებს არ დაწევენ. მოსალოდნელია, რომ ფასები ცოტა დაიწევს, მაგრამ მეტისმეტი ბრძოლა საწვავის გაძვირებასთან წარმოების ამ დარგს ყრუს გახდის ბაზრის სიგნალებისადმი, რაც, ჯამში, ცუდად აისახება საერთო მდგომარეობაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ავტოტრანსპორტის ხარჯები ევროპაში ბოლო 20 წლის მანძილზე მაინც შემცირდა. გადასახადების შემცირება მაშინ, როცა ფასები იზრდება, ჟ. THE ECONOMIST-ის აზრით ცუდი მენეჯმენტია და ცუდი პოლიტიკაა.

გერმანია ჯერ კიდევ გზაჯვარედინზეა

და მასთან ერთად — ევროპაც. ძოველ შემთხვევაში მისი ნაწილი მაინც

მკითხველმა იცის ჩვენი პუბლიკაციებიდან ბრიტანული THE ECONOMIST-ის დამოწმებით, რომ გერმანიის ორჭოფული შედეგით დამთავრებულმა საპარლამენტო

თაფლობისთვე

არჩევნებმა არა თუ გაურკვევლობა, არამედ შიშიც შვა. ორივე კანდიდატმა — მოქმედმა ლიდერმა შროდერმა და ახალმა პრეტენდენტმა ქალბატონმა მერკელმა ხმების 33%-ზე მეტი მიიღო და ორივემ 35%-ზე ნაკლები. განსხვავებამ ვერ შეადგინა ხმათა ერთი სრული პროცენტიც კი მაგრამ რატომ აღიქვამს დემოკრატიული ანალიტიკური აზრი ამ მოვლენას ასე მტკივნეულად — აზრი, რომელიც სხვა შემთხვევაში აზერბაიჯანის მოქმედი პრეზიდენტის ალიევის პოლიტიკურ აზროვნებას ნაკლად უთვლის იმას, რომ მას საარჩევნო გამარჯვებად არ მიაჩნია გამარჯვება, რომელიც თავისი რაოდენობრივი შეფფარდებით „წამლეკავი“ არ არის? პასუხი მარტივია, მაგრამ რთული სიტუაციის მიმთითებელი. საქმე ის გახლავთ, რომ გერმანიას ძალიან სერიოზული რეფორმები სჭირდება, რეფორმებს კი — ნდობის დიდი მანდატი, რასაც ერთპროცენტიანი უპირატესობა არ ჰყოფნის. რატომ სჭირდება დიდი მანდატი? იმიტომ, რომ საჭირო რეფორმები არაპოპულარულია, თუ შეიძლება ასე ითქვას — ანტიპოპულარული. ეს ჯადოსნური სიტყვა ხსნის იმასაც, თუ რატომ ვერ შეძლეს არჩევნებზე პირველი-მეორე ადგილების დამკავებლებმა, რომელთაც ჯამურად თითქმს 70% ხმები აქვთ, ქმედუნარიანი კოალიციის შექმნა. მათ გაურბიან — ნუ ვიტყვით, ისე, როგორც ვირთხები ჩასაძირად განწირულ ხომალდს, მაგრამ გაურბიან ყველანი, ვისაც საკუთარი პოპულარობის დაზარალებისა ეშინია (ასეთი კი, პრაქტიკულად, ყველა ან თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიაა გერმანიაშიც და სხვაგანაც). შედეგად ვითარება ისეთია, რომ პროგნოზი იხრება უაღრესად უჩვეულო სიტუაციისაკენ: კონსტიტუციით გათვალისწინებული კრიზისული სიტუაცია დამთავრდება ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნით დაახლოებით მომავალი წლის მარტისათვის.

მთავარი რეალობა, რომელიც ყოველივე ამას საფუძვლად უდევს, აისახება შემდეგი კითხვით: რატომ (რით) არის არაპოპულარული ის რეფორმები, რომლებიც გერმანიას სჭირდება, და რატომ სჭირდება გერმანიას ასეთი რეფორმა, რომელიც პოპულარული არ არის ანუ ხალხის მასას არ მოსწონს ან, როგორც მინიმუმი, გულით არ თანაუგრძნობს მაინც? პასუხი: იმიტომ, რომ რეფორმის ერთერთი ძირითად მახასიათებელია გერმანიის ეკონომიკური კანონმდებლობის და შრომითი კანონმდებლობის სისტემაში დამქირავებლის უფლებამოსილებებისა და მისი თავისუფლების ხარისხის გაზრდა დაქირავებულისასთან მიმართებაში, პირველ ყოვლისა — მისთვის სამოქმედო ასპარეზის გაფართოება იმის გადაწყვეტაში, ამა თუ იმ თანამშრომელმა გააგრძელოს მოცემულ საწარმოში მუშაობა (თანამშრომლობა) თუ წავიდეს. ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის დღევანდელ პრემიერ-მინისტრს დე ვილპენს, რომელსაც თავისი ძალისხმევის ერთერთ ცენტრალურ თემად თავისი ქვეყნის მასშტაბით შრომის ნაყოფიერებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა აქვს არჩეული, სწორედ დამქირავებლის, — ანუ შრომის ორგანიზატორისა და ინიციტორის — სტიმულირების მექანიზმთა პოვნა და ამოქმედება უნდა. უკვე დიდი ხანია ცნობილია, — და ეს ასახულია არაერთ პუბლიკაციაში როგორც ეკონომიკურ, ისე სოციოლოგიურ და გეოსტრატეგიულ საკითხებზე, — რომ ამერიკის ეკონომიკის ეფექტიანობა ცოტათი, მაგრამ, პრაქტიკულად, თითქმის უნივერსალურად უსწრებს ევროპისას და ამ მცირე

ირონისტის თვალით

უპირატესობის ერთ-ერთ არსებით მიზეზად ასახელებენ სოციალური დაცვის იმ მეტისმეტად მძიმე ტვირთს, რომელიც ევროპულ ეკონომიკას უფრო ადევს, ვიდრე ამერიკულს. კიდევ ცოტა სიღრმეში თუ გავყვებით მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვს, მაშინ შემდეგი მარტივი და ნაკლებ საინამოვნო, თუმცა უნივერსალური ჭეშმარიტების გახსენებაც მოგვიწევს: კომფორტი და ცხოვრების გაადვილება, მწარმოებლური და სხვა სახის ძალისხმევათა შესუსტების ხარჯზე, წარმატების მტერია. სოციალური მოძრაობები, რომლებიც შრომის ფიქსირებული ტვირთის შემსუბუქებას ითხოვენ (შევნიშნოთ ხაზგასმით: შემსუბუქებას და არა რაციონალიზაციას) ლოგიკურად და რეალურად მოქცეულია ბუნებრივი კანონების რაღაცა ჩარჩოში, რომლიდან გასვლითაც უკვე ჩამორჩენის ანუ დამარცხების საშიშროება ჩნდება იმასთან მიმართებაში, ვინც ამ ტვირთის შეუმცირებლად შრომას აგრძელებს. ბუნებრივია (და ლოგიკურად აუცილებელი ჩანს), რომ მასა, რომელიც უპირატესად დაქირავებულთაგან შედგება და არა დამქირავებელთაგან, მშრომელთათვის „მუხრუჭის მოჭერისაკენ“ მიმართულ რეფორმასაც (თუნდ იგი საჭირო იყოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად) და მის დამგეგმავ პარტიას, ცნობიერი ან არაცნობიერი ანტიპათიით შეხვდება: ამ ძირეულ ფაქტთან შედარებით მეორეხარისხოვანია (და, ამდენად, მკითხველამდე მოსატანად არ ღირს) იმის დეტალები, თუ ვინ როგორ „უგანა“ შროდერის ცენტრისტულ-მემარცხენე პოლიტიკურ ჯგუფს ან მერკელის ცენტრისტულ-მემარჯვენე ჯგუფს სამთავრობო კოალიციაზე მოლაპარაკებების (ჯერჯერობით, ფაქტობრივად, ხელმოცარულ) პროცესში.

საყურადღებოა კიდევ ორი რამ. პირველი. ქ-ნი მერკელი ატლანტისტური სულისკვეთებისაა, ანუ არა ევროპულ ინტეგრაციაზე ორიენტირებული, არამედ ამერიკელებთან თანამშრომლობის გამყარებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ მან დიდი და არაპოპულარული რეფორმებისათვის ძლიერი მანდატი, — ანუ საერთო-სახალხო ნებართვა, — მიიღო, ამას მოჰყვება, შესაძლოა, ევროპის ყველაზე დიდი ეკონომიკის, — გერმანიის — გამორჩეული დაახლოება ამერიკასთან ეკონომიკურ სფეროშიც, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ხელს არ შეუწყობს ევროპის შემდგომ ინტეგრაციას ამერიკელებისათვის მეგობრული, მაგრამ ქმედითი მეტოქეობის განვითარების მიზნით. თუმცა ეს მეტოქეობა არასოდეს მივა იმ ზომამდე, რომ იოტისოდენად მაინც დააზიანოს ზოგადდასავლური სტრატეგიული ერთობა (რისი იმედიც დასავლეთის მოპირისპირე ძალებს ამაოდ აქვთ. სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილი ანალიტიკური წერილი ჟ. THE ECONOMIST-იდან გაზ. „საქართველოს“ მკითხველისათვის მიწოდებული აქვს ზოგად ხაზებში), იგი მაინც რეალობაა და მას საზოგადოების თვალში (განსაკუთრებით, ევროპელებისაში) დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული (რაშიც დასავლეთის მოწინააღმდეგე ძალების იმედი, ამგვარად, ფუჭი არ არის).

მეორე. დილემა — შრომითი, ეკონომიკური და სოციალური ტვირთის შემსუბუქება თუ ეროვნული ეკონომიკის ზოგადსახელმწიფოებრივი მასშტაბით წინწაწევა — გერმანიის მოსახლეობისათვის დიდი ხნის ცნობილი თემაა. გაზ. „საქართველომ“, ზემოხსენებული ჟურნალის დამოწმებით, უკვე მიაწოდა მკითხველს ერთი არა მხოლოდ საინტერესო, არამედ უაღრესად მრავლის მომასწავებელი ცნობა. 2005 წლის პირველ კვარტალში გერმანიის

ეკონომიკამ სტაგნაცია განიცადა: მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა არ მოხდა. მაშინ გერმანიაში ჩატარდა რეფორმა, საზოგადოების მხარდაჭერით, რომელმაც დაქირავება-დათხოვნის პირობები დამქირავებლისათვის გააუმჯობესა და ამასთან ერთად, — მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად, — შემოსავლები, ზოგადად, რაღაცა ზომით შეამცირა. რეფორმამ შედეგი მოიტანა (სხვა ზომებთან ერთად, როგორიცაა, მაგ. ნაბიჯები მრეწველობის გადაიარაღებამოდერნიზაციისაკენ): გერმანიამ თავისი მოკლეხნიანი ეკონომიკური მარცხი დაძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლდოვა ბრიტანელთა თვალით

ქვესათაურით „არამზადა რესპუბლიკა დნესტრისპირეთი და მისი მოკავშირეები" THE ECONOMIST აქვეყნებს მოლდოვას დღევანდელი მდგომარეობის მოკლესა და ანალიზგაკრულ აღწერას. იგი ახსენებს რეალური პოლიტიკური ვითარების ძირითად ხაზებს, არაოფიციალურის ჩათვლით, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ძირითადს, და არა ყველას.

იმის მიხედვით, თუ როგორ შეხედავთ, თვითმარქვია რესპუბლიკა, ჟურნალის აზრით, წარმოგიდგებათ ან მაფიის მიერ მართულ „სახელმწიფოდ", რომელიც მილიარდობით დოლარებს რეცხს და იარაღს ყიდის არამზადა სახემწიფოებზე და ტერორისტებზე (იარაღი მას, საბჭოთა არსენალების სახით, აურაცხელი აქვს), ან რუსულენოვანთა თავშესაფრად, რომელთაც სხვა შემთხვევაში დევნა დაემუქრებოდათ. დასავლეთს უნდა ამ თეორიულად მოლდოვას ნაწილი ანკლავის დემოკრატიზაცია და დემილიტარიზაცია, რაც აწმენდდა ზემოხსენებულ უკანონო ბიზნესს და დაასტაბილებდა ევროპის ამ ულარობეს ნაწილს. აგრეთვე უნდა შინ გაშვება მოზრდილი რუსული კონტინგენტისა, რომელსაც 1992 წლიდან — მოლდოვას სსრკ-დან გასვლის დროიდან, — „სამშობლოში" ფუნქცია ეკარგება. ისინი დარაჯობენ უზარმაზარ საბჭოთა არსენალს, მაგრამ მათი მთავარი მიზანია მხარი მისცენ ავტოკრატიულ რეჟიმს სმირნოვის მეთაურობით. რეჟიმის მეორე საყრდენია სუკელებით გაჟღენთილი უშიშროების სამინისტრო. ვერც ერთი მხარე ადგილიდან ვერ ძრავს სიტუაციას. რუსეთმა ვერ აიძულა მოლდოვა, დასთანხმებოდა ფედერაციას, ხოლო დასავლეთს, რომელიც მხოლოდ დროდადრო ახერხებს აქაურებისათვის ყურადღების მიპყრობას და რომელსაც, ამასთანავე, აფერხებს თვით მოლდოვას გაურკვეველი ქცევა, არა აქვს დნესტრისპირეთის რეჟიმის მოცილების შესაძლებლობა. ეუთოს მონაწილეობა ჩაშალა ოსტრუქციამ რუსეთის მიერ, მოლდოველი და სხვა ოფიციალური პირები გამოთქვამენ უკმაყოფილებას უკრაინის წაჯეკუკუჯექობის პოლიტიკის გამო და ჩივიან, რომ არც გაერთიანებული სამეფო, რომელიც დღეს ევროკავშირს თავმჯდომარეობს, არც ევროკავშირი და არც ამერიკა არ ჩქარობენ რუსეთთან დალაპარაკებას ამ საკითხზე.

ახლა დაწყებულია მხარეებს შორის მოლაპარაკების მორიგი ეტაპი ხუთი გარეშეს (რუსეთი, ამერიკა, ეუთო, უკრაინა, ევროკავშირი) მონაწილეობით. შედეგი ჯერ თითქმის ნოლია: შეთანხმებულია მხოლოდ, რომ ეუთოს ეთხოვოს გეგმის შედგენა მოლდოვას დემოკრატიზაციის სამეთვალყურეოდ. რუსეთი და უკრაინა, აგრეთვე ნაწილობრივ ევროკავშირი მხარს უჭერენ მოლდოვაში და დნესტრისპირეთში ერთდროულად არჩევნების ჩატარებას, თუმცა დნესტრისპირეთი თვითონ გეგმავს არჩევნების ჩატარებას 11 დეკემბერს. დასავლეთი არ აპირებს მეთვალყურეთა გამოგზავნას იმ მოტივით, რომ არჩევნები თავისუფალი არაა და პატიოსნური არაა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები შეიძლება ადგილობრივ ოპოზიციას შანსს აძლევდეს ცეცხლი შეუნთონ სმირნოვს.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ რუსეთი მისდევს ორ მიზანს. ოფიციალური კურსია მოლაპარაკების გაგრძელება. მეორე, კრემლიდანვე მომდინარე მიზანია, მხარი დაუჭირონ დნესტრისპირეთის და სხვა მსგავსი მრავალეროვან ადგილებს, რათა წარმოადგინონ ისინი „მრავალკულტუროვნობის" ნიმუშებად, რაშიციგულისხმება რუსულენოვანი მოსახლეობისათვის და რუსეთზე ორიენტირებული მოსახლეობისათვის სპეციალური სტატუსის შექმნა. საბჭოთა ყოფილი იმპერიის სხვა ნაწილები, როგორიცაა ბალტიკა და კავკასია, ამაში ავის მომასწავებელ ნიშნებს ხედავენ.

საქართველოს დღევანდელი ვითარების გასაგებად ჟურნალის ციტირებული მასალა არაერთი საინტერესო ინფორმაციის შემცველია ეთნიკურ ჯგუფებზე (რუსების ჩათვლით) დაყრდნობის პოლიტიკის როგორც პრინციპთა, ისე დეტალთა მხრივ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, უთუოდ, ის ცნობაა, რომ დასავლეთს მოლდოვას დიპლომატიური და სხვა სახის დახმარების გზას უხშობს თვით მოლდოვას (მისი მოხელეების სახით) უცნაური ქცევა იმ შესაძლებლობათა სრული არგამოყენების სახით, რაც მოლდოვას ამ გარედან მართული სეპარატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გააჩნია. ეს ეფემისტური გამოთქმა — „უცნაური" (Erratic) ქცევა — გასაღებს იძლევა იმ ალეგიკური წარუმატებლობის ასახსნელად, რომელიც საქართველოს აქვს თავის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში 1991-92 წლების გადატრიალებიდან დღემდე.

ერთადერთი კაზინო ბრიტანეთში

ბრიტანეთის უდავოდ დემოკრატიულმა და ამავე დროს ბრძენმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქვეყანაში, ექსპერიმენტის სახით, დაიშვება მხოლოდ ერთი კაზინოს ფუნქციონირება. სად იქნება იგი? ერთერთი პრეტენდენტია ბლექპული — ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული, გარეგნულად არასაინტერესო ადგილი ინგლისში, რომელიც სწორედ ამ თავისი არაეფექტურობით და სიახლეთა უქონლობით უამრავ ტურისტს იზიდავს. ტურისტების მომავალი ქცევის პროგნოზირება ამ დარგის ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ბლექპულს, ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ, ამ მხრივ ცუდი პერსპექტივა არა აქვს თუ ვიმსჯელებთ მისი დღევანდლამდელი წარმატებების დინამიკის მიხედვით. (თუ ის ერთადერთი კაზინო აქ განთავსდება, მაშინ ხომ მის ბედს ძაღლი არ დაჭყეფს). მთავარი დასკვნა ბლექპულის აქამდელი პრაქტიკიდან და მისი სამომავლო ოპტიმიზმის მთავარი საფუძველი ის არის, რომ, როგორც ჩანს, ხანდახან HOMO ECONOMICUS-იც (ადამიანი, როგორც ეკონომიკის მოქმედი პირი) იმგვარ ქცევას ირჩევს, რომელიც პირდაპირ წინააღმდგომაშია მის საუკეთესო ეკონომიკურ ინტერესებთან.

ახალი „მესეჯი" მოზარდებისათვის: თავი შეიკავეთ სექსისაგან

ამ ახალი პედაგოგიური ინიციატივის (ჯულია ჰენრი) მიზეზია სტატისტიკა, რომელიც მეტყველებს სქესობრივ დაავადებების და ვადამდელ ორსულობათა რიცხვის მკვეთრ ზრდაზე. აზრი, რომ თავშეკავება ისევე უნდა ასწავლონ, როგორც ასწავლიან ჰიგიენის რიგის საგნებს, მომხრეებს იძენს. ჯერჯერობით ინიციატივის ავტორი საცდელ გაკვეთილებს ატარებს 14 წლის ვაჟებთან და გოგონებთან, რომლებიც „მორცხვობისაგან თავისუფალნი არიან"

(sunday telegraph)

ქველმოქმედი ტიხეში

თავისი ქალაქის ყველაზე დიდი ფილანთროპი დაკ ლაზენი დაიჭირეს იაფ მოტელში პროსტიტუციასთან დაკავშირებულ საქმეზე. მოსახლეობა აღშფოთებული იყო ამ საპატიო კაცის მიმართ ჩადენილ უმადურობაზე, მაგრამ პოლიცია მართალი აღმოჩნდა. ქველმოქმედს 3 მილიონი დოლარი ჰქონდა დაბანდებული დანაშაულებრივი ქსელის ორგანიზებაში, რომელიც მისი რაიონის გოგოებს და ქალებს პროსტიტუციის ქსელში აბამდა. საქმეში აღმოჩნდა ნარკოვაჭრობაც. სასამართლომ ფილანთროპს 20 წლის პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ 18 წლით გადაუდო, რადგან იგი მკურნალობას გადის. ლათინური ანდაზაა: DURA LEX SED LEX — „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია".

დიდი პოსეჯის გასაჭჯელო

დღეს დიდი მენეჯერების მაღალ ხელფასებზე მსჯელობა ისევე გავრცელებულია, როგორც მაგალითად, ამინდზე წუწუნი. მათი ხელფასები იზრდება, მაგრამ სამაგიეროდ იზრდება ამ ხელფასთა დამოკიდებულობაც მათი შრომის ნაყოფიერებაზე. თუ საქმე კარგად მიდის, მართლაც შემოსავალი დიდი პროპორციით ეზრდებათ, თუ არა — ზარალდებიან. ყოველ მათგანს ელის ჩაძირვაც და შამპანურში ბანაობაც. 30 უძლიერეს ფირმაში მათი მაქსიმალური დანამატები წელს ხელფასის 150% უდრის, შარშან უდრიდა 125%-ს. იმ მიზნით, რომ მენეჯერები დაინტერესებულნი იყვნენ შედეგების არა ერთჯერადი, არამედ სტაბილური გაუმჯობესებით, მათ ამ დანამატებს უნესებენ გრძელი ვადით, რამდენიმე წლით. აქციონერები წინათ კენჭს უყრიდნენ მათი გასამრჯელოს ზრდას, ახლა სათათბირო ხმაღა აქვთ კანონის თანახმად. მაგრამ ამ ხმას დიდი გავლენა აქვს. ძირითადად, ხელფასების ზრდას სტაბილური ტენდენცია აქვს.

შექსპირი ქაბულში

ავღანეთი გვემულია 25 წლიანი ომით — მტერთანაც და თავისიანთანაც. იგი გვემულია ახალი შინაომების შიშითაც მას შემდეგ, რაც ყველა ოკუპანტი თუ „მემშვიდობე" წავა. მაგრამ ხალხს, — მით უმეტეს, რომ იგი არ დამარცხებულა, — არც სიხარულის ძარღვი გასწყვეტია, არც ხელოვნებისა. ამას წინათ ქაბულში შექსპირის „სიყვარულის ამაო გარჯა" დადგეს ბაღში, სადაც მოგოლთა იმპერიის დამაარსებლის სიფლავია, და საზოგადოებაში, სადაც ქალის გამოჩენა სცენაზე ლამის სიძვის ატესტატის მიცემას უდრის. როცა ბაღში საღამოს ლოცვისთვის მომწოდებელმა მუეძინის ხმამ შეალწია, მაყურებლნი ბრალეულობის გრძნობით შეიშმუშნენ — მაგრამ სპექტაკლი შეირგეს და თავისი კულტურისუნარიანობა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საკუთარ თვალში და სხვათა თვალში.

პიესა სპარსულ ენაზე ითარგმნა ირანში და ადაპტირებულ იქნა ქაბულელთათვის ადგილზე. დამდგმელი იყო ენერგიული ფრანგი მსახიობი ქალი კორინ უაბერი. ოთხი ჯენტლმენი, რომელნიც სიყვარულისაგან თავდაჭერის აღთქმას დებენ პიესაში, გამოყვანილნი იყვნენ როგორც ქაბულელი კეთილშობილნი. ქალები წარმოდგენილნი იყვნენ რუსებად, რამაც პრობლემა შექმნა, რადგან არავის უნდოდა რუსის თამაში, ამიტომ შემდეგ პიესა შეასწორეს და რუსები ინდოელ მოცეკვავეებად შეცვალეს. ყველაზე დიდი პრობლემა იყო ქალი მსახიობების პოვნა. ზოგ მათგანს ამან მართლაც დიდი უსიამოვნება მოუტანა და ერთი ოჯახიდან გამოაძევეს კიდეც ამის გამო. ამ ქალთა უმეტესობა რთული ბიოგრაფიისაა — ომში დაქვრივებული, ნატანჯი, ნაშიმშილევი, ერთი — დასავლელების მიერ დატრიალებულ ფილმში თამაშისათვის პრემიამიღებული და ძალიან ლამაზი (შექსპირის სახელი მან პირველად ქნ უაბერისაგან გაიგონა). სპექტაკლს დაესწრო 200-ოდე ავღანელი კაცი და აუარებელი უცხოელები, რომლებიც აღტაცებას არ მალავდნენ.

სპექტაკლს გასტროლიც ელის და რისკიც, რადგან ავღანეთში დღეს ხელისუფლებაში ბევრია „არარეფორმირებული" სულისკვეთების ადამიანი. შესაძლოა უარესიც მოხდეს — შექსპირის სიტყვების არ იყოს: „განვედით, ღირსეულნო. სცენაზე ღრუბელი წვება!". მაგრამ იმედია, ყოველივე კარგად ჩაივლის.

ჯლეკ უელიზლეჯენ ამბავი

NASA-ს გამოცხადებული აქვს 104 მილიარდად ღირებული პროექტი მთავარეზე ფრენის განახლებისა (რაც ორმაგად საინტერესოა იმის გამო, რომ არაოფიციალური „ხმებით", ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრისაკენ გასეირნების მცდელობები შეჩერებული იყო იმის გამო, რომ... იქ უმაღლესი განვითარების სხვა არსებები აღმოჩნდნენ, (რომლებმაც ადამიანებს ამგვარი ექსკურსიებზე ხელის აღება გვიბრძანეს. რედ.). აქცენტი კეთდება ფართო საზოგადოებისათვის მთვარისაკენ გზის გახსნაზე, რასაც, THE ECONOMIST-ის ცნობით, ამ უკანასკნელის მხრიდან „მოულოდნელად დიდი სიხარული" მოჰყვა. 2018 წლისათვის NASA-ს იმედი აქვს, ერთკვირიანი ვიზიტების ორგანიზება შესძლოს და ამ სტუმრობის ხანგრძლივობა თანდათან გაზარდოს. 2010 წლისათვის მას იმედი აქვს, რომ ხელთ ექნება „შატლის" მონაცვლე ახალი კოსმოსური ხომალდი „თოთქმის გასაფრენად გამზადებული" მაინც. ჟურნალის ცოტა არ იყოს ირონიული სკეპტიციზმის კილო, რომლითაც გადმოცემულია ეს სენსაციური პროექტები, ეხება საქმის მხოლოდ ფინანსურ მხარეს, და არა ტექნიკურს. სახელდობრ, იგი კითხვებს სვამს იმის შესახებ, საიდან იშოვის ზემოხსენებული კოსმოსური სააგენტო დამატებით ფულს, თუ თავისი პროგრამების აქამდე ცნობილ ნაწილებს არ მოაკლო.

მედიცინის საგანი თუ... პოლიტიკის საგანი

უგანდას მყარად ეჭირა პირველი საპატიო ადგილი შიდსის წინააღმდეგ მებრძოლ აფრიკულ ქვეყანათა შორის: 27 მილიონი მოსახლიდან იქ შიდსმა, ჯერჯერობით, მხოლოდ 1 მილიონი იმსხვერპლა. ბრძოლა წარმოებდა დასავლეთის ქვეყნების ფინანსური დახმარებით და... აკროსტიხული (ქართულად „ანბანთქების") ფორმით, ოღონდ ის ანბანი, რომელზეც ეს ლოზუნგია აწყობილი, ლათინურია და ენა — ინგლისური. შიდსთან ბრძოლას განსაზღვრავს სამი ლოზუნგი: ABSTAIN (თავი შეიკავე) — BE FAITHFUL (იყავ ერთგული) — USE A CONDOM (იხმარე კონდომი (პრეზერვატივი)! ჯამში — ABC. სამწუხაროდ, დღესდღეობით ამ სამედიცინო კამპანიის მიმდინარეობა შეფერხდა. საქმე ის გახლავთ, რომ პირველ ლედის სახელად ჯანეტს, პრეზიდენტის მეუღლეს, კათოლიკური რწმენა აკავებს ისეთი მორალურად მიუღებელი საგნის გამოყენებისაკენ მოწოდებაში, როგორიცაა პრეზერვატივი. ამიტომ მან თავის მოწოდებებში აკროსტიხის მესამე ელემენტი გამოტოვა. უფრო მეტიც: მის გამოყენებას ლამის იდეოლოგიური ომი გაუმართა. შედეგი საგანგაშოა: თუ ამ მრისხანე დაავადების სტატისტიკა მოსახლეობის 18%-დან 6%-ზე იყო ჩამოსული, ახლა მან კვლავ მატება იწყო და კაცებში 7%-ს, ქალებში კი 9%-ს მიაღწია. პირველი ლედი თავის ამ იდეოლოგიურად მოტივირებული ცალმხრივობის შედეგს იმით ასწორებს, რომ გაასკეცებული ენერგიით იღწვის პირველი ორი ლოზუნგის (თავდაჭერისა და მეუღლეობრივი ერთგულება) სარეალიზაციოდ. მან საზოგადოებას მოუწოდა ქვეყანაში ქალწულთა აღწერის ჩასატარებლად.

რად ჯდება ამგვარი „გადახრები" (რბილად რომ ვთქვათ), იქიდან ჩანს, რომ მთავრობამ საწყობებში გააჩერა 30 მლნ პრეზერვატივი, რომლებიც უნდა დარიგებულიყო. ხოლო გულგრილობის უსიამოვნო სუნი დაჰკრავს იმ ფაქტს, რომ შიდსის წინაალმდეგ ბრძოლის გლობალურმა ფონდმა ამ უბედურ ქვეყანას შეუჩერა 155 მილიონიანი გრანტი იმის დამოწმებით, რომ მანამდე სადღაც „არასწორი გაცვლითი ოპერაციის" შედეგად 280 ათასი დოლარის ზარალი მოხდა.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.